ISBN 978-9941-429-51-4

ნია ბოჯდელი

ცულის ცულეი

ნია გორგოლიანი

გულის გულში

ლექსები

ქუთაისი
2013



ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

ჩემი ლექსების კრებული გამოდის პირველად, თუ არ ჩავთვლით პოლიტიკოსებისადმი მიძღვნილ ბროშურას, რომელიც 2011 წლის 26 მაისს დაზარალებულ და დაღუპულ ადამიანებს მივუძღვენი.

ნია გორდელი არის ფსევდონიმი, რომელიც სახელის (ნაირა) შეკვეცით და ადგილობრივი წარმომავლობით (გორდელი) შევათანხმე. ჩემი გვარი არის უგულავა. იგი ძალიან ნაცნობი გვარია, მაგრამ, ერთი პოეტისა არ იყოს: „გაცნობა ადვილია – გამოცნობა არის ძნელი“. უგულავა ასოცირდება გულთან... სწორად არის გამოცნობილი – ამ გვარში მონახავ უგულოსაც და უგულესსაც...

როგორც ჩემი წინაპრებიდან გადმოცემით ვიცი, ამ გვარის მამაკაცები ამაყები, ვაჟკაცურები და მებრძოლი ხასიათის არიან, ქალები – სიბრძნისაკენ მიდრეკილნი, დამდგარი ხასიათის და ოჯახის ერთგულებით გამორჩეულნი. ამაში დავრწმუნდი საგვარეულო შეხვედრების დროს, როცა ეს ხალხი ახლოს გავიცანი. რაც შეეხება პოეზიას – უგულავებს უყვართ პოეზია; გვარის ბევრი წარმომადგენელი წერს ლექსებს. მათ შორის არიან ცნობილი მწერლებიც და პოეტებიც. ამ გვარში პოეტებისა და მწერლების სიმრავლემ მაფიქრებინა ფსევდონიმით წიგნის გამოშვება.

საქართველოში უყვართ პოეზია, სიმღერა, ხელოვნება. მუდმივმა ომებმა და განსაცდელებმა ჩვენში ვერ ჩაახშო ეს გრძნობები...

ვიღაცამ ერთხელ გვაკადრა: რა გამღერებთო!.. მერე ისიც შეგვახსენეს: რა გაცეკვებთო!..

ჩვენ ჰარმონია, გზნება და ტემპი სისხლში და სულში გვიზის. ამ გრძნობას ვერავინ და ვერაფერი ვერ დაგვაშორებს. მიუხედავად ჩვენი ქვეყნის დამხობისა, დაქცევისა, დამცირებისა და შეგინებისა, ვმღეროდით, ვცეკვავდით და ლექსებსაც ვწერდით...

„საქართველო პოეტების ქვეყანაა, როგორც თევზს არ შეუძლია უწყლოდ ყოფნა, ასევე ქართველებს არ შეუძლიათ არსებობა პოეზიის გარეშე“, – წერდა თავის მოგონებებში, ქართული კულტურის დიდად დამფასებელი და კარგი მცოდნე, „ვეფხისტყაოსნის“ რუმინულად მთარგმნელი, პოეტი, ვიქტორ კერნბახი.

ამასთან დაკავშირებით ორ ამბავს გავიხსენებ:

ჩემს ბიძაშვილებს უყვარდათ სიმღერა... ერთ-ერთი ძმა ახალგაზრდა გარდაიცვალა. ორმოცზე ძმებმა სურვილი გამოთქვეს – უნდა ვიმღეროთო (ჩვენში წესი არ არის ორმოცზე სიმღერა). ხალხს გაუკვირდა... ძმებმა სიმღერა დაიწყეს... იქ დამსწრე საზოგადოება თანდათან მიხვდა – ისინი კი არ მღეროდნენ, ტიროდნენ...

სამამულო ომის წლებში, ჩემს მეზობელ სოფელში ყოფილა მუსიკალური სმენით და ნიჭით დაჯილდოებული ოჯახი. მთელმა სოფელმა იცოდა, როცა მათი სახლიდან ფანდურისა და სიმღერის ხმა გამოდიოდა, ოჯახი მშიერი იყო... რა თქმა უნდა, ეს იყო სიმღერაც და საუბარიც ღმერთთან მათ ტანჯვაზე, მათ უბედურებაზე და მათ შიმშილზე... ჰოდა, ღმერთი რაღაცნაირად აძლევდა მათ საზრდოს და საკვებს. სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას ჩვენი, როგორც ერის, არსებობის შენარჩუნება და გადარჩენა საუკუნეების მანძილზე.

ვფიქრობ, არ იქნება ზედმეტი, უგულავას გვარის წარმომადგენლების რამდენიმე ლექსი რომ გაგაცნოთ, რომლებშიც ვიპოვე ჩემი სახეც, ხასიათიც, ტკივილიც და წუხილიც. მათში ბევრი მსგავსება აღმოვაჩინე. ჩემი ლექსები მათი ლექსების გამოძახილიცაა.

ბევრს ახსოვს და უყვარს მწერალი და გმირი ირაკლი უგულავა. მას ეკუთვნის დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი არაერთი ნაწარმოები, რომლებშიც მწერლის და ქართველი ხალხის გმირული გამოხატულება და სულია ჩაქსოვილი.

„გაბოროტებული ვეცი კარ-ფანჯრებს და დაჭედილი ფიცრები ავაღლიტე. სუფთა ჰაერი, მზე და სინათლე შევუშვი ოდაში... აგერ ვარ, მათი ნაშიერი, ჩამოვედი პირნათელი, არც გვარი შემირცხვენია და არც ჯიში!“ – ამბობს მისი გმირი, ომიდან შინდაბრუნებულს, ოჯახის არც ერთი წევრი ცოცხალი რომ არ დახვდა, სახლის კარ-ფანჯრები კი – აჭედილი და ჩარაზული. მისი გმირის სიტყვები, რომლითაც ირაკლი უგულავა გვესაუბრება, არის მაგალითი მამულიშვილობისა, კერის და ფუძის სიყვარულისა და მისაბაძია ყველასათვის...

თანამედროვე მწერალი და პოეტი ედვარდ უგულავა, მოხიბლული მშობლიური მთებით და ქვეყნის სიყვარულით, გულანთებული ეძებს გამოსავალს მოჯადოებული წრიდან; არ ერიდება, სიმართლე პირში ახალოს მოძალადეებს; მზადაა, მრავალგზის გაიმეოროს: „მაცალეთ ჩემი საქართველო!“... ან კიდევ:

ქარი ჩადგება, ისევ გავა თვე,
ახლა სიცოცხლე სულ სხვა ფერია.
მე გათოშილი ბარტყი გავათბე
და თქვენს ცხოვრებას ეს მირჩევნია.

სევდით ნასეტყვი სათუთი სახე,
როგორც ყოველთვის, აქეთ ბევრია.
მე პურის ნატეხს ჯვარი დავსახე
და თქვენს ღრეობას ეს მირჩევნია...

ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როცა ჩემი გარდაცვლილი ბიძაშვილის, ზაურ უგულავას სასთუმალთან, რეცეპტების უკანა გვერდებზე დაწერილი ლექსები ვიპოვე...

ასეთი მკაცრი ხასიათის ადამიანი თუ ლექსებს წერდა, ვერ იფიქრებდა კაცი. გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ ლექსებიდან:

ზეცა ფიქრებმა გადააშავა,
არ მეუბნება არას ფერია,
მარადიული ვარ დამნაშავე
და ჩემი ბრალი არაფერია...

* * *

შენ მაცხოვარმა დაგბანა ფეხი,
შენ კი პილატეს ხელი დაბანე.
სამშობლო გახდა მგლების ფარეხი,
შენც რა ხანია ეშმაკს გამსგავსებ...

მაშინ, როდესაც ჩვენი ახალგაზრდების ზოგიერთი წარმომადგენელი ცდილობს, პარლამენტში უღირსად შეხტეს (თუმცა, ამაში უფროს თაობას და მშობლებს უფრო ვადანაშაულებ...) და უღირსად დაიკავოს პარლამენტარის სკამი, 21 წლის თამთა უგულავა თავისი სამშობლოს სიყვარულს და მისი უბედობით ნატკენ გულს მთვარეზე, მზეზე და ვარსკვლავებზე დაატარებს, – ღმერთს ევედრება ქვეყნის გადარჩენას...

თამთამ ლამაზი თვალები იმიტომ გაახილა, რომ მასში ადამიანური, ჰუმანური, სიბრალული აისახოს, სამშობლოს სიყვარულით ანთებული იწვოდეს მხოლოდ. წაიკითხავთ და ამაში თვითონ დარწმუნდებით. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, თხუთმეტი წლის გოგონა, თავის სიყვარულს სამშობლოსადმი ასე გამოხატავდა:

რა ლამაზია კუს ტბასთან ღამით,
მთვარე ამოვა და თვალს ჩამიკრავს,
სურვილს გავუმხელ და დიდი ამბით,
მაღლა ზეცაში ჩუმად ამიყვანს.
იქიდან მოსჩანს ზღაპრული მხარე,
სადაც ლამაზი მთა და მდელოა,

სადაც ირმები მღერიან ღამე,
იცოდეთ ყველამ, საქართველოა!
სადაც ჯიხვები დაფეთდებიან,
არწივის ფრთებით დახეულ ცაზე,
სადაც კვირტები აფეთქდებიან,
წმინდანი ნინოს სანუკვარ ჯვარზე.
სადაც სიცილით იტირებს ვაზი,
სადაც ლამაზი მთა და მდელოა,
სადაც ქვასაც კი სული აქვს ნაზი,
იცოდეთ ყველამ, საქართველოა!

* * *

ეს გაუმარჯოს ამ ჩვენს მიწა-წყალს,
ჩვენი ცხოვრების უმძიმეს უღელს,
ჯერ თქვენ არ იცით, როგორ მიყვარხართ
და სხეულს გული რარიგად უცემს...

* * *

თეთრი დროშებით ვთელავ იალაღს,
სისხლისფერია დღეს მეფის დახლი,
თავისუფლებით ვტენი იარაღს
და დამონებულ სიცოცხლეს ვახლი.

* * *

დღეს ისევ ავალ მთვარეზე ფეხით,
წუხელ სიზმრებმა უწყალოდ მცემეს,
ჩამოვუჯდები ანგელოზს ფერხთით
და მოვუყვები ადამის ცრემლებს.
დღეს ისევ წავალ სიშორის მთებში
და მოვიშუშებ ფიქრებს ნატყვიარს,
ენძელებს დავკრეფ ვარდების რთველში,
დახვრეტილ სულზე მზედ რომ მატყვია.
მთა მიწის ტკივილს ნისლებად იცმევს,
სულის სილურჯე ოცნებად მიკვირს,
ვინატრებ სევდით დასეტყვილ სივრცეს
და მონა ლიზას ღიმილით სიკვდილს....

ცა შემოდგომის რექვიემს იკრავს,
სულის სინაზეს თანდათან ვკარგავ,
მიწას სხეულზე ღილივით ვიკრავ
და მზეს იესოს ცრემლებით ვქარგავ.
მტკივა და ტკივათ სულის საცეცებს,
სიმძიმე ლეშად ქცეული ხორცის,
ღამის წყვდიადში თვალებს ვაცეცებ
და ვგრძნობ სინათლე ხელებზე მკოცნის.
ცრემლი მარწუხებს ბოლომდე მიჭერს,
იუდა ღალატს ბოლომდე ხვდება,
მებადურია, ვინც თევზებს იჭერს
და მათთან ერთად ყოველდღე კვდება.
მეწვის სხეულის ყოველი ნაკვთი,
ვიღაც ქარიშხალს აჭედებს უროს,
დაასხით ცეცხლზე ცისფერი ნავთი
და დამწვით! როგორც ჯორდანო ბრუნო.
გზა სიმარტოვეს იებით ირთავს,
ჯოჯოხეთს თეთრი ლოდინით დავღლი,
სანამ სიბერე ცოლად შემირთავს,
სანამ სიცოცხლე ოცნებით დამღრღნის...

თამთას ემოციები, მისი გრძნობების სიღრმე და სიფაქიზე არ გაგიკვირდებათ, თუ მამამისის, ბადრი უგულავას, ლექსებს გადაავლებთ თვალს:

ეს მერამდენედ დავტოვე მიწა,
კვლავ შევაფარე ოცნებებს თავი,
ხორცის სიმძიმე მისასვლელს მიწვავს,
რომ გავუსწორო ანგელოზს თვალი.
თავდახრილია ჩემი სიცოცხლე,
არ მაქვს უფლება შევაქო გვარი,
ცაო, ხელები გამომიწოდე,
რომ ზეციური შევაღო კარი...

* * *

შენ, შენი ჯვარით საუბრობ ღმერთთან,
მე, ჩემი რწმენით ვეძებ ნაპირებს,
დავრჩი პირისპირ საკუთარ მხეცთან
და გველეშაპთან შებმას ვაპირებ.
ყველა სიცოცხლის არის ბუნება,
დაბადებიდან იყოს ცოდვილი.
მითხარი, ზღვარი სად გეგულება,
რომ ბოროტების დავსვა წერტილი.

არც ბადრი უგულავას ემოციები გაგაოცებთ, თუ ლექსის წერის ხელოვნებაში გაუცნობიერებელი მამამისის – რუბენ უგულავას ლექსებს წაიკითხავთ:

სიცოცხლის ბოლოს, ჩემი დღის მიმდეგს
გადავაბარე თოფი შვილს, - მივეც,
ხელში შემომრჩა კუნელის ჯოხი,
ჯოხი ჩემი მთის - ნადდი და სწორი.
თურჩუს მთის წყლებო, ჩემო უფსკეროვ,
წყალო ცივო და საკალმახენო,
მინდა ისევე ის განმეორდეს,
რაც ბავშვობაში თქვენთან ვნახეო...
ახლა, ამ ჯოხით შორეულს მივალ,
ორჯერ ვინ ნახა ერთი დღის დილა?..
ვნახე და დამრჩა მოგონებისთვის,
რაც იყო ჩემთვის ყველაზე წმინდა...

* * *

მთას დავიბადე, მთის შვილსა
მიყვარდა მთისა ნადირი,
დათვებთან შეჩეხებისას
სროლაც არ იყო ადვილი.
ერთხელ მომხიბლა ირემმა,
რომ იდგა ყელმოღერებით,

მოკვლა მინდოდა – არ მოვკალ,
ხელი არ დამემორჩილა,
მისმა მშვენებამ, სილაღემ
გამთიშა, დამიმორჩილა...

არ მიკვირს და ეჭვიც არ მეპარება სამშობლოს ქედებით და მათი სიყვარულით მოხიბლული ჩვენი დიდი ბაბუა – არსენ უგულავაც რომ ამბობდა ლექსებს და თან ღიღინებდა, წასარეთის ტყეში, ხეჭეჭურის კვირტებს როცა ამყნიდა მწარე პანტის ძირზე...

ახლა ჩემს შესახებ:

ლექსებს ვწერდი, მაგრამ გამოქვეყნებაზე არ მიფიქრია. ვფიქრობდი, როცა მე ამ ქვეყნად არ ვიქნებოდი, ჩემს შვილებს გადაეწყვიტათ, რა უნდა ექნათ. ამა წლის 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე, ჩემს ოჯახში ჩემი და ჩემი მეუღლის მეგობრები იყვნენ სტუმრად, მათ შორის იყო ჩემი მოძღვარი – მამა არჩილი. როგორც სუფრას სჩვევია, საუბრისას შევეხეთ სხვადასხვა თემებს, მათ შორის, დღევანდელი ჩვენი უბედურების და პოლიტიკური მდგომარეობის საკითხებს. მამა არჩილმა და სხვებმაც მითხრეს: ვიცით, რომ წერა გეხერხება, რატომ არაფერს აქვეყნებო (შინაურულ წრეში მეგობრები კითხულობდნენ ჩემს ლექსებს). ამის შემდეგ ამეკვიატა: დაწერე, დაწერე, დაწერე... და აი, დავწერე...

ჩემთვის, ბოლო ოცდასამი წელიწადი, როგორც ნებისმიერი ქართველისთვის, იყო წლები უბედობის, ომის, შიმშილის, სიცივის, ტკივილის, გაუცნობიერებლობის და უიმედობის. ბუნებრივია, ამას უკვალოდ არ ჩაუვლია. მისი მიზეზები ყველას სხვადასხვანაირად ესმის. მიმაჩნია, ეს წლები უნდა გაგვევლო და ეს განსაცდელები უნდა გადაგვეტანა, რათა ახლა, ხმამაღლა თუ არ ვიტყვით, გულში მაინც ვიფიქროთ, დავიმსახურეთ თუ არა ეს ყველაფერი, – გადავწყვიტეთ ჩვენ ჩვენი ბედი სწორად თუ არა...

ოცდამეერთე საუკუნე დაიწყო იმით, რომ ადამიანის არსობითი და არსებობითი პრობლემები კვლავ დღის წესრიგშია და იმაზე მეტად მწვავეა, ვიდრე ეს იყო წინა საუკუნეებში. ადამიანმა დაკარგა ბრძოლის უნარი, ფესვები დედა ბუნებასთან და თავად ბუნების გადაკეთება მისთვის შეიქნა ყველაზე მეტი კრიზისის შემცველი, რამეთუ, ის დაემუქრა და ეჭვქვეშ დააყენა არამარტო მისი აზროვნება, არამედ მისი ფიზიკური არსებობაც. უბრალო ადამიანებთან ურთიერთობამ მიმახვედრა და დამანახა თანამედროვე აზროვნების სიმცირე და არალოგიკურობა. სოფელში, პატარაობისას, ბებია მიყვებოდა, რომ, თურმე, მისმა ერთმა მეზობელმა არ იცოდა დათვლა. დილით ქათმებს რომ გამოუშვებდა საქათმიდან, რომელიც ღვთის მადლით მრავლად ჰყოლია, ასე ითვლიდა: ერთი, ერთი, ერთი, ერთი და ა.შ. ბოლოს იტყოდა: ყველა ადგილზეაო ან თუ დააკლდებოდა ამბობდა სახელს, ესა და ეს ქათამი მაკლიაო. ამაზე ძალიან ვხალისობდით. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა...

ახლა ვსვამ კითხვას: სჯობდა ის უცოდინარი ქალი თანამედროვე, განათლებულ, ზოგჯერ სახელმწიფო შტოში მოკალათებულ პოლიტიკოს ან დიპლომატ ქალბატონებს თუ არა? (რა თქმა უნდა უცოდინარობას არ ვქადაგებ), თანაც საკითხის ასე დასმაც არამართებულია.

მაშინ ასე ვთქვათ: ბუნებას რა ურჩევნია?...

ქალბატონმა, რომელმაც დათვლა არ იცოდა, მისთვის რიცხვები რაოდენობა არ იყო. მისთვის რიცხვები იყო განსხვავებულობა, მრავალფეროვნება, ინდივიდუალურობა, იგივე არსებობითობა და ასე განსხვავებულობაში, სწორედაც რომ, მილიონზე მეტ განსხვავებულობას ითვლიდა. მას არავითარი განზრახულობა არ ჰქონდა, განსხვავებულობა შეეკვეცა, გადაეკეთებინა ან რაიმე სარგებელი მოეძებნა მასში. უბედურება და ტრაგიზმია იმაში, რომ თანამედროვე, ცნობილი, განვითარებული ქვეყნების ქალბატონები, თუნდაც, ჰეტეროებში და ჰომო-

ებშიც ხედავენ მხოლოდ ციფრებს, სამართავ მასას ამომრჩევლებისას. არავითარი ინდივიდუმი და არსებობითობა მათ არ აინტერესებთ. სწორედაც რომ, ათამდე ვერ დაითვლიან „განსხვავებულ“ ადამიანებს. აი, ჭრილი, რომლიდანაც იყურებიან ისინი. ეს არის თანამედროვეობის დიდი კრიზისი – მთავარი ეგზისტენციალური კრიზისი, რომელიც თანდათან თვალსაჩინო ხდება. და კიდევ, ციფრები, ინფორმაცია, ცოდნა და თუნდაც, აზროვნება ჭკუა არ არის. ჭკუა სხვა რამ არის. ის არის „გადარჩენის გასაღები“, როგორც ეს ნაკლებად ცნობილმა პოეტმა და მწერალმა უწოდა მას. ჩვენი აზროვნება ძალიან პირობითია და თანაც მწირია, რათა უფრო მაღალ დონეზე შეფასდეს ყოველივე ეს...

აზროვნება, უპირველესად, გულისხმობს ჯანსაღი ადამიანის აზროვნებას, ისეთისას, როგორიც უფალმა შექმნა, სხვანაირად ყოველთვის გაუკუღმართებას მივიღებთ. ეს საბოლოო ჯამში ყველასთვის ცუდი იქნება.

სოფელში მეზობელმა შემომჩივლა, ამ ბოლო დროს მცენარეები ხმებაო. მე შევეცადე მეცნიერულად ამეხსნა მიზეზი: შეცვლილი ბუნება, მომატებული რადიაცია, უჟანგბადობა და ა.შ. ამაზე მან მიპასუხა: თქვენ რას მეტყვით იმდენს, რასაც თავად მცენარეები და ბუნება გვიყვებაო, ისინი ჩვენ თავისი ენით გვესაუბრებაო. დიდი ხანია ჩვენ ბუნებას ყურს არ ვუგდებთ. მართლაცდა გასაოცარია, ჩვენ ყველას, ის თავისი განუმეორებელი სიმბოლიებით რომ გვესაუბრება...

ბუნებასთან მთავარი კავშირი გავწყვიტეთ, მთავარი ძარღვი დავკარგეთ, მასთან საუბარზე უარი ვთქვით, ჩვენი გრძნობების საცეცები დაჩლუნგდა და ველოდებით, როდის გადმოგვიყრიან საკვებს, მოგვცემენ ინფორმაციას, ციფრებს, რაოდენობრივ მონაცემებს, ჩვენი გრძნობების სიფაქიზე გაქრა და დაიკარგა...

ჩვენ თუ პოეზიაზე ვსაუბრობთ:

წართმეული უფლებები, უძლურება პრობლემების წინაშე, თავისუფალი, ჯანსაღი მისწრაფებების შეზღუდვა, დაბლოკილი აზროვნება, აზროვნება სხვისი დაკვეთით, არაჯანსაღი გარემო, უჟანგბადობა... გაუცნობიერებელი ბანგით თრობა, მცირე სივრცეში ჩამწყვდეული სული... ამ პრობლემების გადასაწყვეტად გზების ძიება და მათი გაცნობიერებაა მთავარი პოეზია დღეს. არ შეიძლება, სული არ აჯანყდეს ამ გარემოში და არ ეძიოს თავდაცვის და თავდახსნის საშუალებები...

...თუმცა მიმაჩნია, რომ ბუნებას ორიგინალური წესები აქვს და იგი ყოველთვის თავის სასარგებლოდ მუშაობს. უნდა გვახსოვდეს, თუ ადამიანი, ერთ დღეს, მისთვის ზედმეტი აღმოჩნდება, იგი მას მოიშორებს!... ამაზეც უნდა დავფიქრდეთ...

კრებული შედგება ოთხი ნაწილისაგან: „გულის გულში“, „ადრეული გაზაფხული“, „პოლიტიკას და პოლიტიკოსებს“ და „აზრთა კონა“.

განწყობილებები, განცდები, სიხარული, სიყვარული, სინანული, ტკივილები, - სხვა რა უნდა იყოს „გულის გულში“...

„ადრეული გაზაფხული“ სიყმაწვილის წლებშია დაწერილი და იგი ჩემს მეუღლეს მივუძღვენი.

რაც შეეხება „პოლიტიკას და პოლიტიკოსებს“... ყველაზე დიდი წუხილი და ის, რამაც ჩემი არენაზე გამოჩენა გამოიწვია, ეს არის ჩემი სამშობლო და მასთან დაკავშირებული ტკივილები...

მავანი იკითხავს: რატომ ეს ფორმა?..

ჯერ ერთი, მეც ვერ ვხსნი რატომ... სპონტანურად მოვიდა ჩემში, მეორეც, ყველამ უნდა ნახოს, ყველამ უნდა გაიგოს, ქვეყანა უნდა შესძრას ამ სისაძაგლემ!.. ისტორიას უნდა შემორჩეს „მათი“ კარიკატურული სახეები...

„პოლიტიკას და პოლიტიკოსებს“ წინ უძღვის ფოტომასალა, რომელიც 2011 წლის 26 მაისის პირსისხლიან დარბევას ასახავს. ეს არის ახალი კადრები, რომელიც

ამა წლის 26 მაისს მედია-კავშირმა „ობიექტივმა“ გამოაქვეყნა. ამ კადრებში შემთხვევით აღმოვაჩინე ჩემი ძმაც... ეს, როგორც ჩანს, „მათი“ გადაღებული კადრებია... კარგად რომ დაემახსოვრებინათ, სურათებს უღებდნენ, შემდეგ მათი ოჯახის წევრებს და ახლობლებს რომ გასწორებოდნენ. აღმაშფოთებელია, რომ დაზარალებულთა უმრავლესობა ხანდაზმული ხალხია. მათი სახეები, მათი გამომეტყველება არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს ქართველ ხალხს, მით უმეტეს, კარიერის მოტრფიალე ახალგაზრდობას. ეს უნდა იყოს მაგალითი და ნიმუში იმისა, როგორ არ უნდა გაუსწორდე საკუთარ ხალხს, ხელკეტებით როგორ არ უნდა სცემონ საკუთარი მშობლები და მამები...

მიმაჩნია, საზოგადოებაში ამჟამად არსებული „უაზრობის სივრცე“ რაღაცნაირად უნდა გაიწმინდოს და ახლით შეივსოს, რომ ჯანსაღი ფორმა მიიღოს. მე ვიქნები თუ სხვა, ხმა უნდა ავიმაღლოთ, რათა ხელიდან არ გამოგვეცალოს ის მარგალიტები, რაც წინაპრებმა დაგვიტოვეს და გვიბოძეს... ჩვენს მაგივრად ეს სივრცე უღირსებმა არ უნდა შეავსონ და დაიკავონ!...

ამით ჩემი სათქმელი დავასრულე... ახლა მკითხველი გადაწყვეტს, მისი აზრი და ჩემი აზრი ემთხვევა ერთმანეთს თუ არა. მისი შეფასება იქნება დასტური იმისა, გავაგრძელებთ ღირსეულად სვლას და მოღვაწეობას თუ არა...

გულის
გულში

მედეას დაბრუნება

როგორც მარცვალი მიწის და ზეცის,
ის ყველა ქალში არის და ღვივის.
სწორედ ეს იყო განგება ბედის,
მას ყველა ქალის არგუნეს ტვირთი...

როს ცისკარი გამოკრთება ცაზე,
ღამის წყვდიადს მწვერვალები დაფლეთს,
ჩაეშვება ბნელ ხევებში მძიმედ
მოლივლივე ჩანჩქერები ნისლის;
როცა ქარი ველ–მინდვრებზე გაფენს,
კავკასიონს თეთრ ბურუსში გახვევს,–
პონტოს ზღვაში აზვირთდება ტალღა
და ფაზისში შეაცურებს აფრას.
აქ ჩერდება აქოჩრილი ტალღა,
ოქროს ხომალდს მზის ქალღმერთი მართავს.
მას სახეზე ცის ნათელი ახლავს,–
რაც შეუთხზავს მითებსა და არაკს.
ქალი იხმობს მოთარეშე ქარებს,
აშლილ ფაფარს ჩამოუშლის ტალღებს,
ცის მნათობთა მარგალიტის მძივებს
მიმოაბნევს მოლივლივე წყალზე.
დგას მედეა! – ცის ელვარებს თაღი
და ბრწყინდება ჯადოსნური მხარე...
ის დაბრუნდა!.. ვინც ღმერთებმა შექმნეს,–
მზის სხივისგან გამოკვეთეს ქალი.
ამაყ კლდეებს ცის ცვარ–ნამი აწვიმს,–
ეს მედეა მწარე ცრემლით ტირის.
ლამაზ ველებს მზის სხივები ათბობს,–
ეს მედეას ღიმილია ტკბილი.

ჩანგი უკრავს და იღვრება ჰანგი,
ეღვიძება მიძინებულ მთა–ბარს.
როგორც სხივი ვარდის კოკორს გაშლის,
როგორც იგი გააღვიძებს მარცვალს,
ეღვიძება თვალმილულულ ბალახს,
აფახულებს შველის ნუკრი თვალებს.
ეს სიმღერა საიდუმლოს ამხელს,
სინანულის დიდი ძალა ახლავს;
შეაჩერებს, გაუღვივებს გრძნობებს
ცოფმორეულ და აღრენილ მხეცებს;
ცხარე ცრემლი დასდინდება ლოდებს,
წყარო რაკრაკს, ქარი კისკისს შეწყვეტს.
ყვება ქალი მის სევდიან ამბავს,
ბედუკუღმართ სიყვარულზე მღერის,
განაბული ისმენს მთა და ველი,
ამაყ კლდეებს მოუხრიათ ქედი;
ნადირ–ფრინველთ აუწყვია ხმები,
ყველა ჩიტი მის სიმღერას მღერის;
ბანს აძლევენ, ზუზუნებენ მთები,
სატკივარი გასჩენიათ ერთი...
ეს ის ხმაა, შეწყობილი ჰიმნი,
საიდუმლო ბუნებისგან ქმნილი,
ყველა სულდგმულს თავის გვირგვინს ადგამს,
ერთმანეთთან აკავშირებს, აბამს...
... გარიჟრაჟზე, როცა ლამაზ მთა–ველს,
ეფინება ცის ცვარ–ნამი დილის
ეს, მედეას ცრემლებია მწარე,
ეს, მედეა დაბრუნდა და ტირის...

კოლხეთი

სადაც წალკოტი მუდმივად ჰყვავის,–
სადაც ღმერთებთან საუბრობს კაცი,
გაქვავებულ და დაკოჟრილ ტანში
საუკუნეებს მოუჩანს ძარღვი...

არესის ველზე, ჰეკატეს ბაღში
კვლავაც გრძნეული ჩურჩულებს ქარი,
აქაც, მზის ხნულით დავლებულ კვალში,
სიბრძნის თავთავებს ჩაურგავს თავი...

დატყვევებულა სიმართლის კაცი,
აქ, ამ კლდეებზე, დალეწილ ხმაში,
გულში დაჭრილი, დაბმული ჯაჭვით
კაცობრიობის სინდისი ბღავის!..

კავკასიონის დაღარულ მთაში,
მხოლოდ პრომეთეს ყვავილი ჰყვავის;
ადამიანის მთავარი ძარღვი
დაუფლეთია სისხლისმსმელ არწივს...

ქართული სისხლი მდინარე ფაზისს
გაუტანია მსოფლიოს ზღვაში...
დაფლეთილ გულში, დაწრეტილ ძარღვში
ნარჩენი სისხლი ადის და ჩადის...

...ჩარაზულია სიმართლის კარი,
ავსებულია ფიალაც, თასიც...
გამოკვანძული ოხვრით და ტანჯვით,
ბედის ჭრიალებს წყეული ჯაჭვი...

ველზე სისინებს გრძნეული ქარი:
თავს აიშვებსო სიმართლე კაცის...
გუგუნებს, გმინავს, ბანს აძლევს ხმაში
და ექო ექოს გასძახის მთაში!..

საფეხურები

საფეხურები ვისთვის კიბეა,
ვისთვის მანძილი – გზა გასავლელი.
საფეხურები ვისთვის შიშია,
მხოლოდ სიმაღლე და ცათამბრჯენი.
ვისთვის, უბრალოდ მზა წინაღობა,
ვისთვის, ცხოვრების გზის დასაწყისი.
საფეხურების ზოგსაც რიდი აქვს,
საფეხურების ზოგი გიჟია,
თუ კაცი მოძმე და კეთილია,
საფეხურები მისთვის ხიდია.
ვისთვის მზე არის ცის კაბადონზე
და შეუძლია მისი მოწყვეტა.
საფეხურები ვისთვის სამყარო,
ცხოვრების აზრი და სიმბოლოა.
საფეხურების გავლა ზოგისთვის
მხოლოდ თამაში და აზარტია;
ვისაც სიმაღლის შიში აწუხებს,
მისთვის მისჯილი საწამლავია;
ვისაც სიმაღლის დაპყრობა უნდა,
მისთვის ნანატრი გასაქანია.
საფეხურები ვისთვის სიბრძნეა
ასვლა–ჩამოსვლის ოსტატობისა;
საფეხურები ვისთვის ცირკია,
დიდი ტრამპლინი და ასპარეზი;
ვისთვის ცხოვრების დიდი ტვირთია
და გასაწევი მძიმე ჯაპანი;
ვისთვის სიბრძნეა – ცხოვრების სიბრძნე,

წასაკითხავი და დასასწავლი;
ვისთვის მწვერვალი და დასაპყრობი,
ცივი, მკაცრი და მიუწვდომელი;
ვისთვის ციხეა და განაჩენი,
ქვესკნელისაკენ ჩასაძრომელი.
საფეხურები ვისთვის რითმაა,
ლექსის პწკარებში ჩასაქსოველი;
ვისთვის რეკვაა – ზარების რეკვა,
მეორედ მოსვლის მაუწყებელი;
ვისთვის სიწმინდე და ნეტარება
ან საუკუნო სასუფეველი.
საფეხურები ვისთვის ტახტია,
ძალაუფლების საბრძანებელი;
საფეხურები ცის კაბადონზე
ზოგსაც ჰგონია უფლის ნაბოძი.
საფეხურები ჩვენი ტვინია,
დაუპყრობი და ძნელად საცნობი;
საფეხურები ჩვენი ბედია,
ცხოვრების აზრი და გასართობი.
საფეხურები ყველგან ჰკიდია,
ზოგიც პატარა, ზოგიც დიდია,
ზოგისთვის, მართლაც დიდი ტვირთია,
მთელი ცხოვრების გზა და ხიდია!..

რა უნდა გქონდეს, რომ დაიფასო...

უნდა მოხვიდე, რომ დაიბადო,
უნდა გწყუროდეს – წყალს დაეწაფო,
უნდა გციოდეს, სხვა რომ გაათბო,
უნდა გტკიოდეს, სხვა შეიბრალო.
უნდა გიყვარდეს – მას რომ გაუგო,
უნდა დაშორდე, რომ მოგენატროს,
უნდა დაკარგო, რომ დაეძებდე,
უნდა დააკლდე, რომ მოგიძებნონ.
ძალა რომ გქონდეს, უნდა იპოვო,
დროს რომ გაასწრო, უნდა აჩქარდე,
დიდი სიმტკიცე, რომ გადალახო,
დიდი სიზუსტე – მიზანს არ ასცდე.
უნდა გაწვალდე, რომ დააფასო!..
გაბედულება – რომ დაგინახონ,
დიდი იღბალი, რომ გაგიმართლოს,
ბედის ვარსკვლავი, რომ გაანათო,
უნდა იბრძოლო, რომ გაიმარჯვო!..
სხვა აღმაფრენა, რომ გაგაკვირვოს,
თავი შეიცნო, სხვა რომ დახატო,
თავიც გიყვარდეს, რომ დაგაფასონ.
სიცოცხლე ღირდეს, რომ გააგრძელო,
შემოგძახებენ? – ხმა აღიმაღლო,
არ დაიღალო, ზავი არ დასდო,
ამოიმღერე, თუ გაგაწვალოს!..
თუ გაგწირავენ, უნდა გამაგრდე,
რომ მოითმინო, უნდა ამაღლდე,
რომ დაეცემი, უნდა წამოდგე.

რომ გამოიცნო, არ გამოსცადო,
თუ მოტყუვდები, თავს დააბრალო,
თუ დააშავებ, უფალს გაანდო...
სხვას უნდა მისცე, შენ რომ გამდიდრდე,
არ დაიშურო, არ დაიზარო,–
სიკეთის ქმნა რომ სხვასაც გადასდო!..
ზღვა სიყვარული – სხვა რომ აავსო,
თავად იწვოდე, სხვა რომ გაათბო!..
წინაპრის სიბრძნე – ძვლებს ჩაკირული,
უბრალოდ, მომხვდურს არ გაატანო,
ძვირფასი განძი თუ გაბადია,
მომავალს ფრთხილად გადააბარო:
შენი სამშობლოს დიდების ხატთან
ყველა სანთელი უნდა აანთო!..

ნიღბები

თუ დააკვირდით უცნაურ ამბავს,–
საკუთარ თავთან ყოველთვის სხვა ვართ.
საუბედუროდ, გავუტაცნივართ
ბალ–მასკარადში ნიღბებით თამაშს...

თუმცა, გრძნობები, თოთო ბავშვივით,
მუდამ მოვლილი გვაქვს და სათუთი.
ეს შიში არის, თუ დაცვა თავის,
მაშ, რისთვის გვინდა ეს მასკარადი?!

თითქოს არ ვჯავრობთ, თითქოს არ ვწვალობთ,
თითქოს არ გვტანჯავს წუთისოფელი,–
ყველა დროების დიდი ტირანი,
მორგებული გვაქვს ჩვენ ეს ნიღაბი.

რომ, სათუთ გრძნობებს შენახვა უნდა,
მართლა სჯირდება მოვლა და დაცვა,
ალბათ, ჩემამდე პასუხი კითხვას
ათასმა ვინმემ მრავალჯერ გასცა.

მაგრამ, არ ვიცი, აზრს და შინაარსს,
ამ აბდაუბდას თუ ვინმე ჩასწვდა;
შენი სხვისაში რომ არ გარიო,
უნდა დაუშვა იქ რკინის ფარდა!..

ზღვა სიხარულით ივსები ზოგჯერ
და დატორტმანებს ფეხქვეშ სამყარო,
ეს ყველაფერი შენია მხოლოდ,
სხვას ვერ აუხსნი და ვერ გაუყოფ...

ან გენატრება კვლავ იავნანა,
დედის გულმკერდში ლოყების ჩარგვა:
სევდის, ტკივილის და ბოღმის ნაცვლად,
საფლავის გულზე ყვავილის დარგვა.

ზოგჯერ არ ვყვებით მოვარდნილ ტალღას,
თუმცა მეგობრის ღალატი გვტანჯავს,–
მელანქოლია შემოგვხვევს საბანს
და გადაგვაქცევს ცრემლების ღვარად...

რომ გადავმალოთ გრძნობები სხვაგან.
არავინ ჩასწვდეს ჩვენს ფარულ ზრახვას
და არ ახადოს დაფარულს ფარდა,
გამუდმებულად ნიღბები მზად გვაქვს.

თუმცა, ყოველი ირგებს თავის როლს,
ზოგჯერ ნიჭით და ზოგჯერ უნიჭოდ,–
ყველაზე ცუდი ის არის სწორედ,
რომ გვავიწყდება ვინ ვართ უნიღბოდ!..

ამიტომ ვრჩებით უფალთან მარტო
და აღსარება გვინდა გავანდოთ,
ამდენი ბილწი თამაშის შემდგომ,
რომ განაჩენი გამოგვიტანოს!..

„გულის გულში“

სადაც სიცოცხლე ამარცხებს სიკვდილს,
სადაც იწყება წამი და რითმი,
სადაც სინათლე სიბნელეს ფარავს,–
სადაც მშვიდობა სუფევს მარადის.

სადაც სიყვარულს საზღვარი არ აქვს,
სადაც მიჯნური გულს უძღვნის მიჯნურს,
სად, ერთგულებას წრფელი გული აქვს
და მეგობრობის ფასი იციან.

სადაც ქიმერას ლაგამს ადებენ,
ხარკს არ უხდიან წუთიერ ვნებებს.
არ არის ბოღმა, არ არის ღვარძლი,
ზღვარი დაიდო სად, ავის – კარგის.

სად, რწმენას წმინდად ატარებს კაცი,
სად, თავმდაბალი გულზვიადს სჯობნის.
აქ არ ჰყოვნიან სამადლო საქმეს
და დამაშვრალი პოულობს ნუგეშს.

სადაც მგზნებარე ცეცხლი ინთება,
სადაც გმირული იწრთობა სული,
სადაც დუღდება და იბადება
ადამიანის სინდის–ნამუსი.

სადაც წმინდანებს ნათელი ადგათ,
სადაც თავს იდრეკს ადამიანი,
სად, მორჩილების იციან ფასი,
ღმერთთან გულღიად საუბრობს კაცი.

სადაც სიმართლე არის მძლეთამძლე,
სადაც კეთილი ბოროტს ამარცხებს,
სად, გულის კარებს ფართოდ აღებენ,
რადგან მზე სტუმრობს ადამიანებს!..

სადაც წარსული მომავალს ხვდება,
სად, ღვთის ნათელი არასდროს ქრება,
სადაც იმედი არასდროს კვდება,
რადგან სიცოცხლე –„ამ გულით" ფეთქავს!

გზა ნათელისა

რომ შევიყვარე კამკამა ზეცა,
ვითა სიმართლე სისპეტაკისა,
რომ შევიყვარე ეს ლურჯი მთები
და სიამაყე წმინდა გულისა.

რომ შევიყვარე ეს უძირო ზღვა
მსგავსი უსაზღვრო სიყვარულისა,
რომ შევიყვარე ეს ბილიკები,
ყოვლის მომცველი – გზა ნათელისა.

რომ შევიყვარე ცისკრის ვარსკვლავი,
ნიშნად სიცოცხლის გამარჯვებისა,
რომ შევიყვარე ფრინველთ გალობა,
ვითა გალობა – რეკვა ზეცისა.

ზღაპრულ ფერების ვიგრძენი ტრფობა,
ვით უსასრულო ტრფობა ფერისა,
რომ ყვავილების სურნელი მათრობს,
ვით საუკუნო კმევა ზეცისა.

შევისისხლხორცე პური და ღვინო
გონების საზრდოდ თავად უფლისა,
რომ შევიყვარე წყაროთა დენა,
წყარო – სიმბოლო უკვდავებისა.
უფალო, გმადლობ, უფალო, გმადლობ,
მომეცი ნიჯი აღმაფრენისა!..

ხეჯეჯური

ბაბუამ ეს ხე, ასი წლის წინ,
ტყიდან მოტანილ ველური
ჯიშის პანტა მსხალზე დაამყნო.

ჩემს სარკმელში იჯყიტება,
ჩემს სარკმელში ტოტებს არხევს,–
დგას ამაყად ხეჯეჯური,
დატვირთული, მსხმოიარე.

დაკოჟრილი – ფესვმაგარი,
ყველა სეზონს ალამაზებს,
ქარია თუ ნიავქარი
მის ტოტებში დაფრიალებს.

გაზაფხულზე, როცა ყვავის,
არემარეს სურნელს აფრქვევს,
ყველა მწერი და ფუტკარი
მის ყვავილებს დასტრიალებს.

ცხელ ზაფხულში, მხრებგაშლილი,
ფოთლით ფარავს ცის ლაჟვარდებს,
მის ჩეროში შეხიზნული,
სამოთხის ბაღს მიამსგავსებ.

შემოდგომას – დატვირთული
სიამაყით ტოტებს არხევს,
ქვებს ასკდება მწიფე მსხალი
და სიუხვით გულებს ავსებს.

ფეხმორთხმული იანვარი,
როცა ქარბუქს ატრიალებს,
თავს ეხვევა წრიპა–შაშვი,–
ფითრის კენკრას იპარავენ...

მის მკლავებში იხლართება,
მზე ამოსვლას ვეღარ ასწრებს,
თავად მთვარე, ვარსკვლავები
ამ ტოტიდან მითვალთვალებს.

ჩემს სარკმელთან მიდი–მოდის,
მას ჩემს გარდა ვერვინ ამჩნევს,
ჰოდა, ჩემი ოცნებები
მის ტოტებში შევასახლე...

ასწლიანი, ფესვმაგარი,–
ჩემს სარკმელში მოდარაჯე,
დგას ამაყად ხეჯეჯური,
დატვირთული, მსხმოიარე!..

გორდის მთებს

ვუძღვნი ძმის ხსოვნას. როცა ეს ლექსი წაიკითხა, მითხრა: ზუსტად ასეთი რამ მინდოდა. ოდესმე, მეც დამეწერაო...

თურჩუს მთის ქარს, თუკი ვინმე,
მიენდობა, გაჰყვება...
იქ, ზემოდან, მესხეთის მთებს
სიამაყით დახედავს;
ასხის მთის ქედს, ერთხელ მაინც,
ფეხქვეშ ვინმე გათელავს;
ვინც შეხედავს კავკასიონს,
ამაყს, ცივს და განდეგილს;
ხვამლის მთამდე ვინც აიტანს,
საგანძურებს აკრეფილს;
ნოღის ციხეს, ველის ციხეს,
ვინც მოივლის ლაშქრობით;
დადიანის ხეივანში
ერთხელ მაინც გაივლის;
ან დედოფლის წყაროს შესვამს,
უკვდავების – სამოთხის;
გორმაღლიდან თურჩუს მთამდე,
ვინც ვარსკვლავებს ამოთვლის;
ვინც ოკაცეს გადახედავს,
საქაჯიის მთებიდან;
ვინაც ნახავს, წყალვარდნილი
მთიდან როგორ გადმოჰქუხს;

უფსკეროდან ცივი წყარო
კალმახს როგორ ამოჰყრის;
ვინაც ცხენებს აჯირითებს
მეიდანის ბალახში;
ვინც გაათევს, ერთხელ მაინც,
ღამეს მწყემსის კარავში;
ანდა, ჯინკებს ვინც დაიჯერს
ქვერეყანის ჯალაში...
ვინც მისწვდება ირემს რქაში–
მაღლა მთიდან წამოსულს;
ვინაც მოსწყვეტს ლამაზ ყვავილს–
სალი კლდიდან გადმოსულს;
ვინც მდელოზე სუფრას გაშლის,
მთვარეს ნახავს ამოსულს;
სილამაზის სასწაულის
ზღაპრულ ძალას გამოცდის, –
ის ამოხსნის ამ ადგილის
საიდუმლოს ჯადოსნურს!..

ვუძღვნი პატრიარქს

...იოანე ყვება მძიმე ჟამთა სნებას:
მზე ბნელდება როცა – ძაძით იმოსება,
ეცემიან მთანი – ვარსკვლავები ქრება,
ფარისეველთ, გლახაკთ ჯკუა უბნელდებათ,–
იქცევიან კაცნი ბილწთა ფეხის მტვერად!..
მწყემსნი თაყვანცემად ეშმას რიგში დგება,
მხეცის ნიშანს იკრავს და მას უერთდება.
იოანე გვამცნობს მძიმე ჟამთა სნებას:
განსაცდელის ჟამი უღვთოდ არ ეგება,
ვინც ღაღადისს ავლენს, უფლის ნებას ჰყვება,
გზას არ უბნევს ფარას – სულით არ ეცემა
და აცილებს სამწყსოს უფსკრულს გადაჩეხვას,
ვინც ატარებს სამოსს უწმინდესს და სპეტაკს,
სათნო სიყვარულის გულის კარს არ კეტავს,
ღვთისმშობლის ხმას ისმენს – გრძნობს მის
ცრემლთა დენას,–
ღვთის გზას ვინც მიჰყვება, გადაარჩენს ერსაც!..

ეს ყველაფერი მაკვირვებს!..

ყველაზე მეტად მაკვირვებს:
ცისკარზე თვალის გახელა,
მზის დიდებული ამოსვლა,
ღრუბლებში გამონათება,
ალაგ და ალაგ მთა–ველზე
მზის ხალიჩების დაფენა,
ნისლებში მთების გახვევა,
მათი ხევებში ჩაშვება,
გზა–ბილიკების დახვევა,
ბუნების იდუმალება...
დაღამებისას, ბინდ–ბუნდში,
ცა–ვარსკვლავების გაღება,
დაუსაბამო სივრცეში
მათი კაშკაშა ნათება...
განთიადისას, ფრინველთა
აჟღურტულება და სმენა.
სტვენა, გალობა, ძახილი,–
მათი ჭიკჭიკი და ენა...
ბუნების გამოღვიძება,
პატარა ია – სამფერა,
აკაციების სურნელით
აპრილის შემობრძანება...
ცრემლები ვაზის – უფლისა,
მის ფესვთან ქედის დადრეკა,
მისი ცრემლებით ტირილი,
მერე ჭიგოზე ახვევა...
კაცის მოვლენა – გაჩენა,
სიკვდილი – გარდაცვალება,
მათი მიზეზის გარკვევა,–
ძიება და ვერ გაგება...

დედულეთი

წარსულ დღეების შორეულ ლანდში,
კრთის და ლივლივებს პატარა სახლი...
ჩემი ბავშვობის გზა–გასაყართან,
ვით მეთვალყურე, იმ სახლში დავრჩი!..

იქ, კვლავ იწყება ბებოს ზღაპარი,
გარდასახული ბავშვური აზრით:
ღელის პირიდან ამომძვრალ ნისლში
დამწკრივებული ჯინკების მარში...

მზე ალიათის გორაზე ცხოვრობს,
ლამაზად მორთულ და მდიდრულ სახლში,
ამოგორდება ის მედიდურად,
ჩამოთლილ კლდეებს გაახვევს ალში.

მერე ხევებში გადაეშვება,
წყალვარდნილს ჩქერზე შემოეხვევა,–
ანცობს, ნავარდობს წყალის შხეფებთან,
ხან დაიშლება ცისარტყელებად...

ზარნაშო* მოჰქრის გაღმა მთებიდან,
კვლავ ამიტაცებს ნიგვზის ფესვიდან,
მის ლამაზ ფრთებზე ფრთხილად დამისვამს,
თავის ბარტყებთან ისევ წამიყვანს.

* ზარნაშო (ძვ.) – დიდი ბუ.

შვილების საზრდოს, თითქოს, მეც მაწვდის,
მეც მაბანავებს ოკაცის წყალში...
თამაშით დაღლილს და გადაქანცულს,
ისევ მაბრუნებს ჩემს ლამაზ სახლში...

როცა ფიქრები ბებოს გავანდე,
გათვალულაო პატარა ბავშვი,–
მიდგა და მოდგა, – გამოიკითხა
და მომიყვანა მეზობლის ქალი...

ლოცვა–ბუტბუტი ჩამესმის ახლაც,
დანის ტრიალში, ნახშირის კვამლში...
განა ფიქრები გამომილოცა,
იმ ოცნებებში ვცხოვრობ და ჩავრჩი!..

ჩემს ანგელოზს

გამორჩეული მე არ ვყოფილვარ...
მაგრამ სხვებისგან ბევრჯერ ვიგრძენი,
პატივსაცემი და სათაყვანო,
ჩემში, რატომღაც, ეს – შენ იყავი...
ამ უსასრულო ჯაჭვურ ქაოსში,
რწმენას და იმედს ეს – შენ მაძლევდი,
ზღაპრულ გმირივით, შენი წყალობით,
ბეწვის ხიდზედაც ბევრჯერ გავრბოდი...
ზოგჯერ ვფიქრობდი, რომ მიმატოვე
და განსაცდელში მარტო ვიყავი,
ბოლოს ვხვდებოდი... ომგადახდილი,
რომ ყოვლისშემძლე ეს - შენ მიცავდი.
გთხოვ, მაპატიო, რომ ვარ უგნური,
რომ დავიბადე ბრმა და უნიჭო,
შენ, მშვენიერი და უღალატო,
რომ თავის დროზე ვერ შეგიცანი...
არ მომანიჭა ძალა ბუნებამ,
მოზომილ საზღვრებს ვეღარ გავცილდი,
ამ ჯოჯოხეთურ ყოფა–ცხოვრებას,
შენს ერთ ღიმილზე უმალ გავცვლიდი!..

...მის მიმართ კითხვა ხშირად მიჩნდება,
რატომ მფარველობს და არ მიწყრება?
უსუსურ ბავშვად მიმიჩნევს ალბათ
და ყრმის თვალთვალი არ ავიწყდება,
საით გადავდგამ პირველ ნაბიჯებს,
აინტერესებს და მაკვირდება!..

საზოგადოების კალაპოტში

ჯერ ბუმბული შემიღუნღლა,
ერთხანს ფრთებით მაფრინა,
სადმე, შორს რომ არ გავეშვი,
დიდი ჯაჭვი დამკიდა,
მის კარებთან დამაყენა,
შეგონება მასმინა,
მერე წნეხში გამატარა,
მის ჭკუაზე მაფიქრა,
საზრდო მომცა, – გამომკვება,
ჩინ–მედლები დამკიდა,
მის ცარიელ კალაპოტში
უხვ მდინარედ მადინა, –
მინდოდა, თუ არ მინდოდა,
ბევრი ცოდვაც ამკიდა.

არ მავიწყდება!..

გულში თამამი აზრის გავლება,
როცა ამგვარი შანსი გაჩნდება,–
დედამიწიდან წასვლა–გაფრენა,
მზის ბილიკებზე ფეხის დადება.

არ მავიწყდება, უკან დაშვება...
მეორედ მოსვლა და მონატრება.
მუხლმოდრეკილი მისვლა ხატებთან,
მონანიებით ცრემლის დაფრქვევა.

დიდი გრძნობების განცდა – გაგება,
სიყვარულისთვის მსხვერპლის გაღება,
სამშობლოს დაცვა და დაფასება,
სისხლის დაქცევა და გადარჩენა.

მეგობრის ნახვა და შეყვარება,
ერთგულებისთვის ფიცის დადება,
გულის კარების ფართოდ გაღება,
სიყვარულისთვის ხიდის გადება.

ბედთან საშიში გათამაშება–
შეუპოვარი ბრძოლა – გაბედვა,
მისი სიმუხთლე და დამარცხება,
მოლიპულ გზაზე ფეხის წაცდენა...

ამაოება – გულის გატეხვა,
უიმედობა – ხელის ჩაქნევა....
ზღვა იმედების თავზე დანგრევა,–
ამ ნანგრევებში ახლის დაწყება!..

მძიმე ტვირთების მხრებზე დადება,
ჯაფა–შრომაში წლების გალევა,
მართლის ძებნაში ქოშის გაცვეთა,
სულის შენახვა და გადარჩენა!..

მიწიერ ფართან ზღვარის დადება,
ჩარაზულ კართა გახსნა–გაღება,
სამანთა კვეთა და გარდატეხა,
ღვთის საუფლოში გადაბარგება!..

ნუ მითვალთვალებ!..

ნუ მითვალთვალებ, წყეულო ბედო,
ნუ მითვალთვალებ, ავს ნუ მიქადი...
ჩასაფრებული ნუ ხარ მარადჟამს,
მუხლზე დაცემულს, წიხლს ნუ დამადგამ!..

წლების მანძილზე, ტანჯული შრომით
შეძენილ სიბრძნეს ქარს ნუ გაატან!
სულის სიღრმეში მწირ მარგალიტებს,
ხელის მოქნევით ძირს ნუ დაფანტავ!

რწმენის და წმინდა გრძნობების ფასად,
ავად მოქნეულ მუშტს ნუ გამარტყამ!
ცხოვრების მიმქრალ წლების სიღრმიდან
ბოღმას და სევდას ნუღარ გამატან!

თუ დავეცემი ღალატის ხელით,
შავ და ცივ ლოდებს გულს ნუ დამადგამ,
დაჭრილს, დავარდნილს და გადაქანცულს
ტალახის გროვას ნუღარ გამარტყამ!..

ქარს

ხანდახან მინდა, მოვარდნილ გრძნობებს
ავყვე და გავყვე ღრუბლებში მარტო,
ნუ დამიფანტავ ლამაზ ოცნებებს,
ხელს ნუღარ მიშლი, ნუ დამსდევ, ქარო!..

ზოგს, იქნებ, მართლაც ნიავით ართობ
ან, იქნებ, სევდის გაქრობას ლამობ,
თუმც პირველობას არავის ანდობ,
ხანძრის ჩაქრობას არასდროს ჩქარობ.

ხან გრიგალი ხარ, ხანაც ხარ სათნო,
მიმართულებას ნუ იცვლი, ქარო,
ასეთ უპიროს და არა სანდოს,
მითხარი, გული როგორ დაგანდო?..

თუ ქარიშხალში დამტოვებ მარტო,
თუ გამოაცლი ამ გრძნობებს საზრდოს,
მაშინ ატეხე განგაში, ქარო,
და ინავარდე ღრუბლებში მარტო!..

დაჟანგდა პაპის დუქანი

მამის და პაპის პაპისგან
სამჯედლო მერგო დუქანი,
რკინის რამ მეგდო ნაჯერი,
უხეში, გამოუწვავი,
საბერველს ხელი დავავლე,
საცეცხლურს შემოვუძარი,
გახურდა გრდემლი ქურაში
და გამოვჯედე უზანგი...
ხმალი გავბრძმედე, რა ხმალი,
ოფლი დავღვარე უზღვავი!..
სიმტკიცის ახალ საზომად,
ახლა გამოდგა დურალი,
ხმალი ჩაჟანგდა ქარქაშში,
ბრძოლის დავკარგეთ უნარი!..
ჩაქუჩი, გრდემლი, უზანგი
დადუმდა პაპის დუქანში...
წინაპრის ნაქონ ქურაში,
ვეღარ დავჯედე ლურსმანი,
ხარები ნაალპურალი,
ვერც ბედაური ქურანი.
დრო დადგა ბედუკუღმართი,
დაგროვდა ბოღმა–ბუღმანი...
სიტყვა გავჩარხე ქურაში,
ამასაც უნდა მუღამი,–
მამის და პაპის ნაქონი
გადავაკეთე დუქანი.

ბედის მხედარი

შენს კარავთან არასოდეს მოვა ბედი,
ბედის მხედარს თავად უნდა ჰგავდე,
მისი ცხენი თავად უნდა გახედნო,
გააქანო, გახვითქო და დაღალო!..

გააქანო, ის ტაიჭი უებრო,
სალ კლდეებსაც მტვერს დაადენს რაში,
მინდორ–მინდორ კი არ უნდა ატარო,
ეკალ–ბორცვი – ტევრი უნდა გაკაფო!

მთის ხევებს, მთის ფერდობებს არ აფარო!–
მთაგრეხილებს უნდა გადაატარო,
განა, ყველგან თავი უნდა დახარო,
განა, ყველგან მტერი უნდა ახარო!..

შენს კარავთან გელოდება რაში,
ნუ აყოვნებ, შეკაზმე და გასწი!..

პოეტები ჯოჯოხეთის კართან

ერთი... ორი... სამი...
რიგში დაწკაპულან.
მოლოდინში, ბნელში
შიშით გათანგულან...
ჯოჯოხეთის კართან პოეტები დგანან...
„ვერ გადაურჩებით დაწვას და დანაცვრას,
ჩააგდეთ ქარცეცხლში ყბედი და მასხარა"!–
შიშით დაზაფრულებს მათ ეშმამ დასჯყავლათ...
დასძახა და ცეცხლმა კარები გადახსნა...
ჰოი, საკვირველი რომ მეტი არა ვთქვათ...
თუ იცით,
თუ იცით, რამდენი გადარჩა?!..
კარებთან, მათ გვერდით, უფალი ჩამდგარა:
ეს ერთი,
ეს ორი,
ეს სამი... დათვალა!..
დათვალა და ყველა თავისთან წაასხა,–
მგოსნები უფალმა ზეცაში გაგზავნა,
ეშმაკს კი სიბრაზემ თვალები დასთხარა.
და ვინ თქვას... და რა თქვას?...
ოდეს, უფალმა თავის კალთა გადააფინა,–
სიტყვა სათქმელი–
უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ა დ!
სიტყვა უფლის გადაარჩინა.

ოცნების ზღვას ავავსებ

ვერ შეგელევით, ვერ დაგტოვებთ, ვერ დაგშორდებით,–
მე განშორების და ტკივილის დამწვავს შანთები...
მე დავბრუნდები ცისკრის ქარების ნაზი სურნელით,
ვერ შეაჩერებს ჩემს ფიქრს და სრბოლას ბნელი ხლართები:
გაზაფხულის წვიმად მოვალ, მთებს ნისლებში გავახვევ,
ნაკადულებს გამოვყვები და ველ–მინდვრებს ავავსებ,
აყვავებულ ატმის ყვავილს ლამაზ ფერებს წავართმევ,
სადაც მივალ ლურჯთვალება იის სურნელს დავაფრქვევ,
ჩემს ბავშვობას შევეყრები – ვესტუმრები დაქალებს,
დედის კალთას მოვეხვევი – ბავშვურ ცრემლებს დავაპნევ,
ცხრაკლიტულის კარს გავაღებ – მე ვიპოვი გასაღებს,
ყველა საოცნებო სურვილს ავუსრულებ გლახაკებს.
ქარს გავყვები, შემოვივლი მიტოვებულ საფლავებს,
წინაპრების ძვლებს დავხედავ, ზეცით ლოცვას აღვავლენ,
თქვენს სულებში შუქს გადმოვღვრი – წამით ნებას
დავარღვევ,
ანგელოზის ფრთების ცემით – ღიმილს მოვგვრი პატარებს,–
მათ აკვანთან გულმოდგინედ მზის ხალიჩებს დავაფენ,
ყველა სურვილს ავასრულებ – ოცნების ზღვას ავავსებ.

ბებერ მუხას

ვუძღვნი ბიძას - ხუტუნა უგულავას

რამ შეაშფოთა, რამ შეაკრთო შენი ფიქრები,
ბებერო მუხავ, ფესვმაგარო, მითხარ რას ელი?..
პირველად გნახე სევდიანი, გულგატეხილი,
მე კი მეგონე გოლიათი და უძლეველი.

იქნება, დაჰკრა უცნაურად სხვაგვარმა სიომ,–
ყველა სიმდიდრე გაიფანტა, წარსულ დროს გაჰყვა,
ზღაპრული სკიპტრა გადააგდე ხელთ არ გიპყრია
და სიდიადე შავ და ბედკრულ ყვავ–ყორნებს დარჩათ.

იქნებ, ცას მოწყდა ერთადერთი შენი რჩეული,
იქნებ, შენს ფესვთან საყვარელი გვირილა დაჭკნა,
იქნებ, არ გწყალობს ძველებურად ნაკადულები
და ცისკრის ქარებს დაეკარგათ, არა აქვთ, ეშხი...

ანდა, ეს არის ბედისწერის უცილო ხვედრი,
უძირო სევდა და ნაღველი რჩეულთა წესი,–
გადმოცემული წარსულიდან გამჯდარი ჩვენში,
უკვდავებისკენ მიმავალი მთავარი ღერძი.

საუბრობ მასთან...

გამუდმებულად საუბრობ მასთან
                  და არა კაცთან,
მაგრამ... დუმილი ოქროს წესია
                  მისთვის ჩვეული...
მაინც საუბრობ – არ გწყინდება
                  შეხვედრა მასთან.
შენ, შენსას ითხოვ!.. ზოგჯერ, ჯავრით
                  ბრაზმორეული,
თუმცა... საქმე გაქვს მხოლოდ მასთან
                  და არა კაცთან...

საკუთარ სულის გასაღებს ვეძებ...

ჩუმად, მალულად, აკრძალულ გზებით
საკუთარ სულის გასაღებს ვეძებ.
გასაოცარი რამ მემართება:
თითქოს მიპარვით, მე აღარ ვწერდე,
საკუთარ სკივრში ვიპარავ ლექსებს.
ვიპარავ სიტყვებს, ვიპარავ რითმებს,
ვკვებავ უცნაურ აზრებს და ფიქრებს...

...საკუთარ სულის გასაღებს ვეძებ
და გაუსაძლის ტკივილებს ვითმენ...
მერე... სიტყვები, ძალასაც იძენს
და... უნებლიედ, თქვენს აზრებს ვიწყებ!..

ბედისწერა

მითხარი, გული როგორ დაგანდო
ან საიდუმლო რატომ გაგანდო?..
ჩემი ცხოვრების წესს რომ განაგებ,
ვინა ხარ ჩემი, რისთვის მდარაჯობ?..

იქნებ, მხსნელი ხარ – თავზე მევლები,
განსაცდელის ჟამს არ მტოვებ მარტო,
იქნებ, მტერი ხარ – მტრულად მღალატობ
და ელოდები ფეხს თუ დაგაყრდნობ...

შენ უფლება გაქვს მმართო, მაწვალო
და ჯოჯოხეთის კარი მანახო...
იქნებ, შენ ჩემი ბედისწერა ხარ,
მთელი ცხოვრება გსურს, რომ მატარო!..

მკაცრი სამართლით და მკაცრი განსჯით,
თითქოს, მცდიდი და თითქოს მაწრთობდი,
ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი მაშინ,
დახლართულ ხრიკებს თავზე მამტვრევდი!..

ვინა ხარ, რა ხარ – რა გიდევს გულში?
მტერი ხარ, ძმა ხარ, მამა თუ დედა?..
გაურკვეველი – მომავლის შიში
სულ მაკანკალებს და მზარავს ფიქრი...

ზოგჯერ მოდიხარ – მოგაქვს ამბავი,
არ ვიცი, არის ცრუ – თუ მართალი,
შენ ბედისწერა გქვია, თუ რა ხარ,
რატომ გიბოძეს მესაჯის ნიჯი?..

ცხოვრებისაგან სილაგაწნილი,
პირქვე რომ ვეგდე, უფსკრულის პირზე,
შენ დამიფარე და ამამაღლე,
შემომაცალე სიბნელის რიდე...

მომეცი ძალა და ნებისყოფა,
შენ, მიმიყვანე წმინდა ხატებთან,
შენ, სიყვარულის მიბოძე ნიჯი,
გადამიშალე სულ სხვა სამყარო....

წინ მიმიძღოდი – ვიწრო ბილიკზე,
ბრმა ნაბიჯებით დიდხანს დაგყავდი,
მე არ ვიცოდი და არც ვფიქრობდი,
ჩემს ცხოვრების გზას როგორ მართავდი...

პირისპირ შეგხვდი – თვალებში გიმზერ,
პირქუში სახე ისევ გიღიმის...
ჩემო აჩრდილო! და ბედისწერავ!
რას ფიქრობ? – რისი გამხადე ღირსი...

ცხოვრების საზრისი

მიჰქრის და მიჰქრის დღეები – იწვის,
რაღაც გვაკლდება და გვემატება
წლების სიღრმიდან ამოფრქვეული,
ცხოვრების სიბრძნე და განსჯის ნიჯი.
ამაოდ შრომობ, ამაოდ იღწვი,
რომ დაარღვიო ცხოვრების რიტმი,
ალმოდებული, მგზნებარე გულით
უშედეგოდ და უმიზნოდ ივლი!..
რაღაცას ვეძებთ და ვაფერმკრთალებთ
გაღვივებული სულის ნაპერწკლებს,
ვდევნით საკუთარს – სხვისას ვაღმერთებთ,
გულმოდგინებას და ცდას არ ვაკლებთ.
ცხოვრების ყოველ წამში და წუთში
სიცოცხლის აზრს და მიზანს დავეძებთ!..
თითქოს ვპოულობთ – ვართ საქმის ყურში
და ცრუ ფიქრებით თავსაც ვაჯერებთ...
ამდენ გასართობს და სათამაშოს
ბედის მესაჯე მისთვის გვთავაზობს,
დაბადებიდან – აღსასრულამდე,
მზაკვრული სვლებით კარგად გაგვართოს!..
ფიქრს ნუ დაძაბავ ბრძნული აზრებით,
შენ ხარ თოჯინა - სხვისი ბრძანებით,
ცოდვილ სხეულში გამომწყვდეული,–
სამყაროს ერთი ციცქნა ნაგლეჯი!..

რით მოიხიბლე?

რით მოიხიბლე, რამ გაგართო, რა გამოძრავებს?
ამ ცხოვრებაში რა იპოვე – რა გამოსძალე?..
თუ შეგიქმნია ჭირნახული – ოდა სახლები,
მოგისმენია აღტაცების სიტყვა საქები;
გულთა ხიდები სანატრელი არ აგიგია?
სულთა სიმები არ დაგიკრავს, არ გაგიბია?
მაშინ, ქონება უსარგებლო დიდი ტვირთია,
რომ მრუდე იყო, გალეული, შენს მიერ გზები,
გამოედევნე, მის დევნაში დალიე წლები,
და... უნებურად, სატყუარას დაავლე ხელი...
...შენს გულში ჩუმი მოლოდინის ზარებიც რეკდა,
ახლა იხსენებ დანანებით და გიპყრობს სევდა...
ხომ დაიჯერე წლების წინათ, და გქონდა რწმენა,
იცი, ნამდვილი გულთმისანი არასდროს ცდება!..

... თქვენც, პოეტებო, რადგან სიტყვას ასე ამეფებთ,
დიდ მოლოდინებს ნუ ააგებთ – ააპწკარედებთ;
ყველა სათქმელი აწონილი–დაწონილია,
სიტყვა პირველიც, საბოლოოც დაწერილია!..

ხანდახან ლექსი დაწერილიც მოფრინავს ციდან

ზოგან, რითმას მოაქვს აზრი,
ხანაც, აზრებს რითმა მოჰყავს,
დასათმობი არც ერთია,
როცა ფრთებს შლის ჰარმონია...
ნაძალადევ მიკრულ სიტყვას,
მიდებ–მოდებ ხარახურას,
სჯობს აზრები გაიმართოს,
ვაჟკაცურად წარმოითქვას,
ლექსი უნდა დაიბადოს,
ლექსი უნდა წარმოიშვას.

ბრძენი პოეტი

„ჯეშმარიტი პოეტი არ შეიძლება სრულ ჯკუაზე იყოს".
(დემოკრიტე)

ბრძენმა გადაწყვიტა, პოეტი გამხდარიყო,
რად გინდა? – მის გვერდით მუზები აღარ იყო...
წავიდა, ეძია, იარა – სად არ იყო...
დაღლილი დაბრუნდა და ძალაც აღარ იყო...
რა გინდათ, რა გითხრათ?
რა იყო და არ იყო!..
ერთ დღესაც, მის კართან მუზები დამდგარიყო...
ეს ბრძენი - პოეტი და შლეგი გამხდარიყო!...

სასახლის ნაშთები

მე გავიზარდე დადიანების სასახლის კარზე –
მის დარბაზებში...
მის ხეივნებში ვატარებდი ლამაზ ბავშვობას.
ვერაფერს გეტყვით ჯავჯავაძის ლამაზ ასულზე,
ვიცი, თავისთვის გაიშენა ეს ხეივნები...
ერთ მშვენიერ დღეს, თავხედურად დავისაკუთრე,
ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი გახდა ყველა ქონება...
მეფურ ცხოვრებას შევნატროდი და ფუფუნებას,
ხან მიზიდავდა ბანოვანთა თავგასულობა:
მყავდა მონები, ავლა–დიდება,
სრა–დარბაზები, მოქარგულობა,
ფარჩა–დიბები და მაქმანები,
ოქრო–მკერდები და მორთულობა,–
მზე გვიღიმოდა და ბავშვურად გული ხარობდა,
ჩემს დაქალებთან ვიგონებდი ათას გართობას...
... ახლა, ამ ბაღში, ნაშთებია ძველი დიდების
და შორეული, გაცრეცილი ჩემი ბავშვობა...
პატარის, დიდის, მან არ იცის არვის დანდობა,
მითხარით, კიდევ რამ გაუძლო დროის გამოცდას?..

შემოდგომის ეტიუდები

ამ სიბნელეში როგორ გვიჯირს
გავლა სუყველას,–
ბუზღუნებს ხალხი...
და სიმყუდროვეს ხანდახან არღვევს–
ყეფა ძაღლების.
აქა–იქ სოფლის შუკაში
გაივლის კაცი
და ჩაინთქმება სიბნელეში,–
მიდის ურემი,
შემოდგომის სუნი ტრიალებს ირგვლივ–
გამხმარი ჩალის,
ფუსფუსებს, თითქოს, ღამეს ათევს
ფოთლებში ქარი,
მეზობელი კარს უღებს მეზობელს–
ჭრიალებს კარი.
სანთელი ანთია სოფლის განაპირა,
პატარა ქოხში–
ბუტბუტებს ქალი.
ფუსფუსებს ქარი...
ჭრიალებს კარი...
ხან, ნიავს მოაქვს შემოდგომის
სურნელი ჩალის...

არ გაქვს უფლება
გასცდე ამ საზღვრებს

ძნელია, იპოვო საზღვარი ფიქრშიც,
ეძებ შენს ადგილს ცხადშიც და ძილშიც:
ეს შენ ხარ, თუ ხარ აჩრდილი სხვისი,
უცხო სხეულის ნაწილი სხივი.
დაეძებ აზრებს, კრიბავ ძალღონეს,
ბუნდოვან ძალიც ამ სიმს ათრთოლებს,
ანგელოზს ფიქრში ფრთებით ამკობენ,
უცხო საკმევით თითქოს ათრობენ....
მიჰყვები ძალებს და გაძლევს შვებას,
უცხო აზრების საკვებით გკვებავს,
სითბოს, სიყვარულს, სიცოცხლეს ფერავს
და აფერმკრთალებს სიკვდილის სევდას.
...არ გაქვს უფლება, გასცდე ამ საზღვრებს,
ფიქრებს, ფრთებს, ქარებს დაჰყვე და გაჰყვე,–
მიწიერ სევდას, მიწიერ ფარებს
ზმანების რიდით ჰკვეთდე და ფლავდე!..

პოეტს...

შენი ლექსები და გენია ვის არ ათბობდა,
ახლა კი მიკვირს, რამ გაქცია ქუჩის მათხოვრად.
ეს შიში არის, სიმხდალე და სხვაგან გაქცევა,
თუ განაწყენდი – ხვედრი შენი არ მოგეწონა?!

ვერ დავინახე გაქცევაში აზრი მთავარი
და თუ ბრძოლაა – გამარჯვება ან დამარცხება.
იქნებ, ეს არის დაყრუება, თვალის დავსება,
გმირული დასკვნა – გენიოსის მტკიცე ნაბიჯი.

ვერ აამაღლე ცხოველურთან შებმული სული,
ვერ ამოქაჩე და მწვერვალზე ვერ აიყვანე;
ფხიზელ გონებას ალკოჰოლით ყოველდღე ახშობ,
რომ საბოლოოდ დააძინო – დაასამარო.

იქნებ, ნაბიჯი მერყეობა სულაც არ არის,
იქნებ, ეს არის უმაღლესი გონის კარნახი;
ყოველი ბრძოლა - ამბოხი სულის რომ უარყავი,
„გაუმაძღარი აზროვნების“ მადა ჩაჰკალი!..

...რომ დავიბადე აპრილის თვეში

საიდან მოდის ამდენი ძალა
და ენერგია დაუშრეტელი?–
არ გაგიკვირდეთ, თუ შეამჩნიოთ
მოზღვავებული ჩემი გრძნობებიც...

...რომ გაზაფხულებს მოვყავდი ქვეყნად,
რომ გაზაფხულის სუნთქვით ვსუნთქავდი,
აფეთქებული კვირტების ეშხით–
რომ დავიბადე აპრილის თვეში!..

შევისისხლხორცე და დავინახე
ბუნების შვილთა გარჯა–ფუსფუსი,
წინსვლის და სრბოლის სიმბოლო მყავდა
ცაში გაჭრილი ლაღი ბულბული.

ჭექა–ქუხილმა ბრძოლა მასწავლა
და შემართება – ძლიერმა ქარმა,
თუმც, გაზაფხულის ნაზმა ფერებმა,
ყველა სიმკვეთრე ფრთხილად წაშალა...

მე გაზაფხულმა ამავსო რწმენით,
ყველა სიკეთე მან დამამადლა,–
ავი და კარგი ჩემში რაც არის,
შეალამაზა და შეაზავა...

შეხვედრა

მდუმარებით მოიხიბლა წამი,
წარსულს ისე გადახვია მკლავი,
ყოვლისშემძლემ მოატყუა თვალი
და სამყაროც ჩაატია მასში.

აქ, ამ წამში ჩაიწურა, თითქოს,
ვარდისფერი გარიჟრაჟის კვალი;
ეს ხომ დიდი მოგონება იყო,
ჩვენს ბილიკებს წაეყარათ თავი.

რაც გაგვაჩნდა, ის ძვირფასი განძი,
სიყმაწვილე გაელვების მსგავსი;
იქ ხომ ჩვენი სიყვარულიც იყო,
შორეული ვარსკვლავივით მკრთალი.

ჩაფერფლილი, ბუნდოვანი აზრით
ვერ ავწონეთ ამ შეხვედრის ფასი;
ეს ცხოვრების სიურპრიზი იყო,
ჩვენ მდუმარე მოწმეები გავხდით.

ჩემს წინაპრებს

ლოცვა–შეგონებით აზრი გაგვინათეთ,
ნისლი მოხვეული ფრთხილად გაგვიფანტეთ,
თქვენი სათქმელიდან სიტყვა დაგვიმატეთ,
ჩუმი ნაპერწკლები ელვად აგვინათეთ.

ტანჯვა–გასაჭირში კვლავაც დაგვიფარეთ,
თუკი შევფერხდებით – ტევრი გაგვიკაფეთ,
სული აგვიმაღლეთ, სევდა გაგვიქარწყლეთ,–
ნათელ, სამშვიდობო გზაზე გაგვიყვანეთ.

ახსნა–დარიგება თუკი დავივიწყეთ,
თქვენი ძალისხმევით თვალი აგვიხილეთ,
გრძნება–სახებიდან სიტყვა აგვიკინძეთ–
დიდი საიდუმლო ფრთხილად გაგვიმხილეთ.

უცხო ხელწერილი თუ ვერ გავარჩიეთ,
სწორი სიტყვა თუკი მცდარად წავიკითხეთ,
ცდა და მონდომებით ვეღარ გაგაკვირვეთ,–
თქვენი სულგრძელობით კვლავაც გვაპატიეთ.

თეთრი ხიდიდან

(ოტია იოსელიანს)

თეთრი ხიდიდან ალმაცერი ვიგრძენი მზერა...
    თქვენ მე მხედავდით?–
        მგონი, რომ არა.
თქვენ ვერ მამჩნევდით ვერც მე და ვერც სხვებს...
    თუმცა, რომ არა!
თქვენ ყველას ხედავთ, ყველას უყურებთ
და თქვენ ლინზებში ყველანი ვჩანვართ!..
თქვენ, საუკუნეს ხედავთ ირიბად.
სხვებსაც გონიათ ხედავენ სწორად.
    არა, სჯობია,
        რომ ალმაცერად
            ხედავდე სწორად!..

ქართველ ხალხს!

საიდან მოდის ამდენი რისხვა,
ვინ დაგატეხა თავს?..
სხვისგან რომ ელი,
მუდარით შველას,
შენ რა შეჰყარე თავს?!..

რას ელოდები?..

რას ელოდები გამოფიტული,
სულის ჭრილობებს, ნეტავ, რით წამლობ?..
ხან მეკითხები, ხანაც მაცდური,
მზაკვრული მზერით დიდხანს მდარაჯობ...
გაშლილ ხელისგულს ისევ დავყურებ
და ენერგიას ვიკრებ არნახულს,
ვატყობ, ცდუნებას ვეღარ გავუძლებ,
ჩანს, კიდევ ველი მზეს და გაზაფხულს...
ისევ – წარსული თუ გამიტაცებს,
ისევ – თუ მოვა მწვანე აპრილი
ან თუ მესროლა ცამ ბედისწერა,–
ათას სახვევში გამოკვართული...
ალბათ, ცის კიდეს გადამატარებ,
ჯადოსნურ ქვეყნებს ისევ მანახებ,
ამოვარდება ქარი ძლიერი,
გულქვად, სალ კლდეებს კვლავ მიმანარცხებ!..
ისევ ამოვალ – ამოვბობღდები,
ისევ შევიცვლი სხვაფრად შავ კანებს
და იმედი მაქვს, რომ ბედისწერა
არ დამანახებს წყეულ შავ კარებს!..
ო, ბედისწერავ, იქნებ დამინდო,
ასე სასტიკად რატომ თამაშობ?!
ხვალ რას მიპირებ ან რას მიქადი,–
ღვთის გულისათვის, იქნებ გამანდო!
ისევ ზვირთებში არ გადამაგდო,
კეთილი ნება იქნებ დამანდო;
აღარ ჩამქოლო – აღარ დამზაფრო,
შავი ღრუბელი იქნებ გაფანტო!..

მეგობარს

(ნანი ჩიქოვანს)

ახლა, ის ჩემთან აღარ მეგობრობს...
მან მიმატოვა ბავშვობის შემდგომ;
სადღაც გაფრინდა – უცხო მხარეში,
მოგონებები შემომრჩა მხოლოდ.

მის წასვლას ისევ ბავშვურად ვდარდობ,
ხანდახან, როცა დავრჩები მარტო;
კვლავ ველოდები მის დაბრუნებას
და ამ სასწაულს ზღაპრულ ბედს ვანდობ...

იქნებ, ქარიშხალს გამოედევნოს,
სადმე გამოჩნდეს ღრუბლების ბოლოს,
და ველოდები ფიქრში გართული,
რომ ხელი კვლავაც გამომიწოდოს!..

იქნებ, ეკუთვნის ის სხვა სამყაროს,
მას აქაური ხმები არ აკრთობს,
ანდა, ის წასვლას სულაც არ დარდობს
და მეგობარი მართლაც არ ახსოვს?..

იქნებ, გამოჩნდეს სიცოცხლის ბოლოს,
უდროოდ წასვლა მოიბოდიშოს,
გული დაღლილი – გამოფიტული
ამ სიხარულით კვლავ ამიჩქროლოს!..

გაჰყევი გუმანით გზას...

წმინდა აზრებით უნდა განიწმინდო–
გაჰყევი გუმანით გზას.
მიჰყევი გრძნობის საცეცებს,–
არც დაგანებებს თავს...
ახალ სივრცეში ჩაიძირები,
წამით დაჰკარგავ რას?–
ჯუჯყით დაძონძილ შავ წამოსასხამს,
მსუბუქად იგრძნობ თავს...

გთხოვთ, ჩემს მიმართ მოწყალება გაიღოთ...

ნუ დაკორტნით ჩემს გულმართალ
სტრიქონებს,
გთხოვთ, ჩემს მიმართ მოწყალება
გაიღოთ.
ამ ცხოვრებამ ყველა ნიჭი
წაიღო,
წვრილმანებმა ჩემი ტვინი
დაიპყრო...
ახლა დროა, ის სასწორზე
დაიდოს,
რაც შემომრჩა – გულალალად
დაგითმობთ...

მეგობარს...

(გულოს)

მეგობარო, შენთან მოსულს,
კარებს თბილად გამიღებ,
გაკვირვებით ელდამოცულს,
სევდა თავგზას ამირევს...

ეს უმანკო, საღი მზერა
წარსულ დღეებს აღმიდგენს.
ეჰ, ცხოვრების მაჯისცემას
ყურს არავინ არ უგდებს!..

ერთი მითხარ, ეს ჯაღარა
როდის გქონდა გულნარა?
თვალის მიღმა ნაოჭები,
მართლა არ დამინახავს...

ეს ცხოვრების მკაცრი ზოლი,
მკაცრი ბასრი ისარი,
წარბებშუა მოქცეული,
შენს სახეზეც ვიცანი...

გაკვირვებით რომ გიყურებ,
ხომ არ გიკვირს, რას ვეძებ?..
მაგ თვალების ნაპირს მიღმა
ბავშვურ მზერას დავეძებ!..

ამ ცხოვრებამ დარდის გარდა,
კიდევ რამე გაჩუქა?–
ალბათ, ბავშვი გაგიჩინა,
დარდი გაგიჩაუქა.

კიდევ, კიდევ – რა გადაგვხდა,
სად ვიყავით მას შემდეგ?–
უდარდელი ბავშვობიდან,
რამდენ ჯუჯყში ჩავეფლეთ?..

ვიცი, ჩემი სარკე ხარ,
ჩემს დარდებსაც ასახავ,
მეგობარო, მიგიხვდი...
მეგობრის გულს რა სტანჯავს...

მასზე და მანვე

(ადამიანზე)

ჩემს ლექსებს ხელში
აიღებს ისიც...
გაოგნებული დარჩება ვიცი.
არადა იცის?...
არ არის სხვისი!...
მასზე ავაწყვე რითმი და მწკრივი;
ჩემი ლექსების ის არის გმირი,
მანვე ამივსო ლექსების სკივრი.
მისი ცხოვრების მზითა და ბინდით,
კარგა ხანია ვცხოვრობ და ვიწვი!...

მამა არჩილს

მამაო, უფალი ჩემთან არის,
ნუ ჯავრობ, ილოცე სხვისთვის.
ვერ ხედავ? – ღაწვებზე ცრემლები დამადნა,
ვერ ამჩნევ? – ფრჩხილიდან წამასკდა სისხლი...
ვლოცულობ, მამაო, ვლოცულობ!..
არა მაქვს სხვაგვარი ფიქრი...
სამრეკლო ცის კარზე დამადგა,
ანგელოზს ვუყურებ თვალდათვალ...
მამაო, ვლოცულობ, ვლოცულობ,
სხვაგვარი არა მაქვს ფიქრი,
მამაო, ჩემს გამო ნუ ჯავრობ,
ყოველდღე კოცონზე ვიწვი...

ახალგაზრდობა

(ვუძღვნი შვილიშვილს)

ზღვა ენერგია, ქუხილი–ელვა,
წვა და დუღილი, – სიმკვეთრე ფერთა,
თვალთა ციმციმი და აღმაფრენა
მზე ენერგია და გარდატეხა.

ამხედრებული სრბოლა და ძებნა,
დაუნდობელი დუშმანთან – მტერთან,
ეკლიან გზაზე გაკვეთა ტევრთა,–
გოლიათებთან ბრძოლა და შებმა!..

მამაპაპური ხმალის მოქნევა,
ახალი სიტყვა და გამოწვევა,
ჩვენი მომავლის მკა და მოწევა,
იმედი ხვალის – ჩვენი მოსწრება!

დედამიწაზე რატომ ჩამოდი?...

(ბიძინა ივანიშვილს)

ჯერ კიდევ ადრე, – ღრმა ბავშვობაში,
აღმოგაჩინე მნათობთა შორის...
და ციმციმებდი – ჩემი რჩეული,
გამოკვეთილი ვარსკვლავთა ხომლში.
თუმცა, გიცდიდი,
მუდამ გელოდი!..
ათასი წელი და კიდევ მეტი
მრავალთა შორის მეგულებოდი...
მე გამიკვირდა... კიდეც აღვშფოთდი...
და დანანებას ჩემთვის ვამბობდი...
რჩეულ პლეადას როცა გამოცდი;
ადამის ენა – ქართული ენა,
მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ა დ
შენ რომ წარმოთქვი!..

...ცას კიდევ მოსწყდა ერთი ვარსკვლავი,
გულს ძაფის რითმი და მოთმინება;
ცა–მირიადებს რატომ გამოწყდი,
დედამიწაზე რატომ ჩამოდი?...

თურჩუს მთის მელანქოლია

მთას ნისლი გადასწოლია,
შემოხვევია სევდად,
ქარს ფრთები ჩაუკეცია,
ხევში ჩამდგარა ლეგად,
წყაროს რაკრაკი ჩამწყდარა,–
ფოთოლთ სიჩუმე ნებავთ.
ბალახებს თავი ჩაურგავთ,
ცვარ დასდენიათ ცრემლად,
ყვავილებს მონატრებიათ
ნიავთან ნაზი ცეკვა.
გველეშაპს გადუკლაკნია
კუდი მდინარის ხევთან,
გადმოყოლია ველ–მინდვრებს,
ზანტად მიჰყვება ქშენას.
ნისლში ჩაწოლილ ხევებზე
ვერ გადააჯდო მზერა,–
კლდეიდას ქორი ჩამოჯდა,
ფრთებს უნიათოდ კეცავს.
ცივწყაროს წყალი შემდგარა,
შვლის ნუკრს შიგ ჩაუხედავს,
გარინდებული კალმახი
გაჰყურებს ალმაცერად.
მთა ველ–მინდვრების დედოფალს
ნისლები შემოეხვა,
სახეს, მოხატულ წამწამებს,
თვალებს უსველებს სევდა...
ცელქი ნიავი ჩამდგარა,
ქარს ფრთები შეუკვეცავს...

მინდოდა მეთქვა...

მინდოდა მეთქვა და ვერ ვამბობდი,
მინდოდა მეთქვა, ვეღარ გამოვთქვი...
ხან არ მეცალა – მეჩქარებოდა,
დრო არ მყოფნიდა, სადღაც გავრბოდი...
ხანაც არ მსურდა, მეზარებოდა,
ენა მებმოდა და ვერ ამოვთქვი...
ან როცა მსურდა, ბინდი მეკვროდა,
უაზროდ, უშნოდ და ულაზათოდ,
იმ სიტყვის ნაცვლად, ვამბობდი სულ სხვას!..
არადა მსურდა...
ო, როგორ მსურდა,
რომ ყველაფერი ისევე ისე...
სწორედ რომ, ზუსტად
„ის" უნდა მეთქვა...
ახლა კი ვნანობ,
ძალიან ვნანობ:
დედავ და მამავ,
დებო და ძმებო,
ჩემო შვილებო და ახლობლებო,
რაც ვერ გითხარით
სწორედ რომ ისე,
ისე ლამაზად...
და, კიდევ უფრო, უფრო ლამაზად,
ის, რაც მე მსურდა,
რომ ვერ გითხარით,
ის, რაც მე მსურდა,
რომ ვერ გამოვთქვი...

ფოთოლცვენა

ჩემს სარკმელთან ტოტი ძლიერ ირხევა
და თანდათან ფოთლებისგან იცლება...
ჰორიზონტზე მზე პირქუშად ჩამდგარა,
მთელი დღეა ქარი აღარ დამცხრალა...

ამაღამაც ქარი არ დაწყნარდება...
იცის მთვარემ და ნაღველით ივსება...
ქარის ნებას მიენდო და მიჰყვება,
ჯრელ ღრუბლებში აკვანივით ირწევა.

დღეს ამინდი უცნაურად იქცევა...
ჟრიამული აუტეხავთ ჩიტებსაც,
ქარი წივის და როლებში იჯრება,
ყველა სიმი გულსაკლავად ირხევა...

სულში უცხო შთაგონება იქმნება,
იდუმალი ჰარმონია იღვრება...
შემოდგომის სევდიანი სიმღერა –
„ფოთოლცვენის“ სიმფონია იწყება...

განმეორება

უკვე მრავალჯერ თქმულს და გაგონილს
ჩვენ ვიმეორებთ ცოტა სხვაგვარად,
უკვე დაწყობილს და აშენებულს
ვშლით და ვაშენებთ უფრო ლამაზად!

ჩვენ ვყვირით, როგორც ყვიროდნენ სხვები,
ცოტა ხმამაღლა, ცოტა ამაყად!
ჩვენ ვიბრძვით, როგორც იბრძოდნენ წინათ,
გზნებით, ჟინით და მაინც სხვაგვარად.

ჩვენ მივისწრაფით ზეცაში ისევ,
ხმა და ღაღადი აღარ დამცხრალა,
ქედს ვიხრით ისევ, კვლავაც ვადიდებთ
სხვა მონდომებით – ცოტა სხვაგვარად.

თუმც, ყველა ცდილობს თქვას თავის სიტყვა,
აღმოაჩინოს და დაამკვიდროს...
ის იმეორებს მრავალჯერ ნაცადს,
სხვა აღმაფრენით, ცოტა სხვაგვარად!

რომ თავის სიტყვა ეთქვა თამამად,
მსხვერპლი შესწირა ბევრი მავანმა,
ზოგიც ძიებამ სად არ ატარა,
განმეორებამ აღარ დაგვღალა!..

დედიკო გიხმობს!..

(მარი კრავეიშვილს)

... ეს ხმა სცილდება სამყაროს კიდეს,
მე შენს ნაკვალევს ფეხდაფეხ მივსდევ:
მარი!.. მარიკა, სადა ხარ შვილო!–
გესმის?! გეძახი! - დედიკო გიხმობს!
მარი!.. დავცქერი შენს უხმო სხეულს,
მარი!.. დაგეძებ უცნობთა შორის.
ვტირი, ცრემლები უიმედოა,
მარი!.. ამომდის სული უშენოდ...
ო,... ეს ტკივილი ისე მძიმეა,
ო,... ეს სურვილი ისე დიდია...
მარი!.. მარიკა სადა ხარ, შვილო!..
გესმის?!.. გეძახი! – დედიკო გიხმობს!
სევდას, ტკივილებს ვერ უძლებს გული...
შენს მგზნებარე და ანთებულ თვალებს
ვხედავ, შენს სახეს ვეხვევი თითქოს.
მარი, მარიკა, სადა ხარ, შვილო!..
მითხარ, სიკვდილმა რად არ დაგინდო!..

კმარა დუმილი!..

კმარა დუმილი, უგრძნობელი ვეღარ გავხდები,
ბობოქრობს სულში დამწყვდეული გოლიათები...
ამ ჯოჯოხეთურ ორომტრიალს თუ არ გავცდები,–
მწამს, ყინულივით, – ქვის ლოდივით გულქვა
დავრჩები.
თვით შეშლილ ფიქრებს აუწეწავთ და ჰქრის ქარები,
ამხედრებულა მიჯაჭვული ჩემი აზრები...
ჩანს, მაჩქარებენ, თქარა–თქური მესმის წამების,
მელოდებიან ფრთააშლილი თეთრი რაშები!..
ჩემი ცხოვრების აჩრდილები თანამგზავრები,–
უკან მომსდევენ აქოჩრილი შავი ტალღები!..
მიმაქროლებენ, ცას სწვდებიან ბუმბერაზები,
ჩემი რაშები, გაწვრთნილები და ფრთამალები.
მალე, ამ ფრთებით, გამოგონილ საზღვრებს გავცდები!..
ვგრძნობ, დაიმსხვრევა ბორკილები – მძიმე ჯაჭვები,
დრო დაილევა მოთმინების – ტანჯვა–წამების
და გაიხსნება ნეტარების ყველა კარები...

რომ მისი სული ზეცად ამაღლდა...

თვალცრემლიანი, ხშირად რომ დგახარ,
წმინდა გიორგის სალოცავ ხატთან,
ჩურჩულით გეტყვი: ნუ დარდობ, თამთა,
ვედრება შენი, გწამდეს, რომ ახდა!..

ხომ დაიჯერე და გქონდა განცდა.
რომ მისი სული ზეცად ამაღლდა,
რომ სიყვარული, რომელიც გწამდა,
არ შეიძლება უფსკრულმა შთანთქას...

ის სილამაზე, რაც ნახა თვალმა,
არ შეიძლება გასთელოს დარდმა
თეთრი მხედარი, ფრთამალმა რაშმა,
შენს ნატიფ სულზე გადაატარა...

მან ხომ გასწავლა ზეცაში ასვლა,
მისი ძახილი ხომ გესმის მთა–მთა,
შორეულ ტრფობის უძირო ზღვასთან
ის გელოდება და გიცდის ახლაც...

ეშმაკის გეზი არ მქონდა...

წუხელი ეტლით ვიმგზავრე,
გზა იყო აღმართ–დაღმართი.
გამომედევნა ეშმაკი,
თეთრი, ქერა და ლამაზი...
ხან გზაზე გადამეღობა,
ხანაც კიჩოზე ჩამოჯდა,
მთხოვდა: ტყის პირას, ამ ღამით,
ნუ დავტოვებდი მარტოკას.
პირველად რომ დავინახე,
ლამაზი ქალი მეგონა,
თვალები უციმციმებდა
და უელავდა ავხორცად.
ეტლში არ ჩავსვი ეშმაკი,
თუმც ამას დიდხანს ლამობდა;
ჩემთან ვერაფერს ვერ გახდა,
მერე მგზავრებზე ძალობდა.
ხანაც ჩაცმული მოვარდა,
ხანაც შიშველი დარბოდა,–
დროს არ აცდენდა ავსული
და ათას ხერხებს ხმარობდა.
ვერ გამიბზარა აზრები,
ვერ შემაცდინა დემონმა,
მე მივდიოდი ჩემი გზით,
„ეშმაკის გეზი არ მქონდა“...
ბოლოს შევხედე სხვა ეტლში,
ეშმაკი როგორ შეცოცდა,
მტერს არ ვუსურვებ არავის,
ჩასხდომის მერე, რაც მოხდა...

დედას

ყურში არ მესმის, თვალთ დამიბნელდა
და მოძრაობა ყველაფრის შეწყდა...
სამყაროს ყველა წერტილი გაქრა,
თვალებს ვერ ვახელ, ვერაფერს ვხედავ...
იქნებ მომესმა და მომეჩვენა:
–„თქვენ აღარა გყავთ მშობელი დედა“.
დედა–შვილობის გაწყდა კავშირი,
ვერ აღვუდექი განგების ნებას;
ვერსად შეგხვდები, ვერსად მოგნახავ,
ვერ მოგეხვევი კალთაზე დედა...
მე არ ვიცოდი და არც ვფიქრობდი,
თუ განსაცდელი კაცს აძლევს შვებას,
დიდი დარდი და დიდი წუხილი,
თურმე, საოცრად აღვივებს რწმენას...
ახლა, ჩემს სულში და ჩემს სხეულში
შენი მგზნებარე სურვილი ფეთქავს:
სადაც ვფერხდები იქვე გაჩნდები,–
მათამამებ და გზას მიკვლევ, დედა.
თბილი ალერსით და სათნოებით,
ჩუმი წასვლით და გარდასახვებით,
შენ საოცარი მაჩუქე რწმენა,–
„არ შეიძლება, რომ მოკვდეს დედა“.

სულაც არ მყოფნის ვიწრო ბილიკი

სულაც არ მყოფნის ვიწრო ბილიკი
და მდინარეზე პატარა ხიდი,
ჩემი მგონია მთელი სამყარო,
ეს ნაპირები აქეთ და იქით...

სხვისი აზრები არ მიძებნია,
ჯეშმარიტება მე ვიცი ერთი:
რომ ეს სამყარო ყველას ხვედრია,
საზღვარი არის ბოროტთა წესი.

შემოღამების სევდა

შემოღამების სევდა
გულზე მაწვება, მცელავს,
ჩამომიქროლებს ყორანი,
ლამის კისერზე მწვდება...

სიბნელე ტანში მაჟრჟოლებს,
მნუსხავს და მართმევს რწმენას,
ავი ფიქრი არ მასვენებს
ვერ გავექეცი ვერსად!..

ვუხმობ დიდსა და პატარას,
ვერავინ მაძლევს შვებას...

ნინიკოს

ისე ლამაზი, მშვიდი და წყნარი,
ისე ფაქიზი და მშვენიერი,
როგორც ყვავილთა უცხო სურნელი,
ჩიტის ბარტყივით სუსტი და ნაზი...

ანგელოზების ფრთების ფარფატით,
ლამაზ ფრინველთა ლაღი ჟღურტულით,
ცისკრის ქარების იავნანაში –
თითქოს ცვარივით ბალახზე გაჩნდი...

საკვირველი და სათნო ყვავილი,
მზისგან მოსული და ანგელოზი,
მტრედის ბუმბულზე უფრო მსუბუქი, –
ჩემი სიცოცხლის სიტკბო და აზრი.

როცა განგებით გზააბნეული
ბურუსში ვიყავ გამოხვეული,
ძვირფას საჩუქრად – ციცქნა ალმასი,
ღმერთმა მიბოძა მე შენი თავი...

ჩემო ლამაზო და სანატრელო,
ჩემო პაწია და ტკბილო შვილო,
შენი სახელი წმინდა ხატია,
მიტომ გიწოდე შენ წმინდა ნინო.

მინდა გაჩუქო სიცოცხლის რწმენა

(ლია თოფურიას)

აპრილის თვეში, მოზღვავებულ გრძნობების თვეში,
მე მოვალ შენთან ყვავილების თაიგულებით!..
მუდამ ბავშვურ და სიყვარულის სითბოთი სავსე
შენს თაფლისფერ და ლამაზ თვალებს მოვეფერები.

მარადიული გაზაფხულის ტურფა ყვავილო,
სიყვარულის და სათნოების, მართლაც, ქალ–ღმერთო,
მინდა, რომ ჩვენი მეგობრობის წმინდა სიმბოლოდ,
კვლავ სიყვარულის და სიცოცხლის რწმენა გაჩუქო!

რად იღვიძებთ ადრე...

თვალებს რატომ ახელთ,
რად იღვიძებთ ადრე,–
დილის ყვავილებო,
რატომ დაგემგვანეთ?..

რა გაშფოთებთ ასე,
რატომ დაიღალეთ,
მწუხრის ჟამის მოსვლას
რატომ დაემალეთ?–
დილის ყვავილებო,
რატომ დამემგვანეთ?

ვგრძნობ, მის საცეცებს ამებას მსგავსად...

ყოველგვარ საგანს ზომები ახლავს,
ჩემი სხეულის ვერ გეტყვით ამბავს.
განა ყოველთვის? ალაგ და ალაგ
ვგრძნობ მის საცეცებს, ამებას მსგავსად...

სადღაც, ზეცაში მტკივდება თავი,
მირიადებში ვგრძნობ გულის ცემას,
ამ უსასრულო ვარსკვლავთ ცვენაში
გაფანტულია ჩემი გონებაც...

მიუხედავად რომ ზომა არ მაქვს,
ვეღარ გაუგებ ავანს და ჩავანს:
ვგავარ მცენარეს – მიწაში ნაზარდს
და მაინც, ფესვებს მიწაში ვმარხავ.

იმედის დარად!

არა, ცათამდე კოშკებაზიდულში,
არა, მოოქროვილ–მოსევადებულში,
არა, გაბრწყინებულ–გაჩირაღდნებულში,
არა, განდიდებულ–პატივდადებულში,
შევალ პატარა ეკლესიაში,
მუხლმოდრეკილი
ავანთებ სანთლებს...
და აღსარებას გეტყვი, უფალო!
შენ – ერთადერთი,
მარადიული სიყვარულის
ამინთებ ლამპარს,
გზას გამიკვალავ!
შენ, უტყუარი!
იმედის დარად,
ცის კაბადონზე
იბრწყინებ მარად!

სიჩუმე დადიანების სასახლეში...

ვინ აშენებდა სურვილით –
სათნო ხელებით ბაღნარად?
ასე ლამაზად ჩაგაწყოთ,
ასე ლამაზად დაგხატათ...
ახლა კი ასე განძარცვულთ–
რა სიმდიდრენი დაგრჩათ კვლავ?
თქვით, რაღაც სათქმელი გქონდათ,
სიჩუმემ ასე დაგღალათ?..

აბა, ვკითხოთ ბებერ ხეებს,
რას გვეტყვიან წარსულზე,
ნიკოს, დავით დადიანის,
ჯავჯავაძის ასულზე;
შევეკითხოთ ამაყ მუხას,
ცაცხვი გვეტყვის მთავარ სათქმელს;
დადიანის ტურფა ქალი,–
რაში ცვლიდა თავის ძაღლებს.
თურჩუს მთის ქარს შევეკითხოთ,
ის გაგვანდობს ნაფიქრალს,–
ახალ ამბავს თუ გაიგებს,
მთის მწვერვალზე აიტანს...
ნაძვი, წყნარად განაბულა,
ტოლს არავის არ უდებს,
იქნებ, ბანოვანთა კაბის
კალთის შრიალს ყურს უგდებს?..
შენ რას იტყვი, გულყვითელა,
გუშინ თელამ რა გითხრა?–

მომავალი რას გვიქადის,
გულთმისნობა აღგითქვა?..

მუხას, ნეკერჩხალს, წაბლს
კვლავ მოლოდინი აქვთ–
შეყვარებულთა წყვილები
შემოჰკლებია თვალს...
მოჰბეზრებია სიჩუმე,
ბზის ხეივანში მდგარ–
მიწის გულიდან ამომსკდარ
თავად დედოფლის წყალს.
დადიანების სასახლეს
ახლა სურვილი ჰკლავს,
წარსულს, აწმყოს და მომავალს
ხიდს ვინ გაუდებს კვლავ...

იბოძეთ ნება...

შენ, ბევრი იცი – ძალზედ ბევრი
და მაინც სდუმხარ...
ვიცი, გგონია მოსული ხარ
ცოტა ხნით სტუმრად,
მაინც, სათქმელი ვერა და ვერ
გ ა მ ო ი მ ე ტ ე!..
თუმცა, სათქმელი დაუგროვდათ
სხვებსაც და სხვებსაც.
შენი თვალები მეტყველებენ
სიტყვაზე მეტად!..
გთხოვ, ნუ იჩქარებ, არ წახვიდე,
რად გინდა ხვეწნა?
შენი სათქმელი დაგვიტოვე,
იბოძე ნება...

ცხენისწყალს სული ჩაუდგამს...

ცხენისწყალს სული ჩაუდგამს,
გაუღწევია დაბლობსა,
გადაკლაკნილა რიონი
ნამზეურ ჯაობნარზედა,
ქარი მიჰყვება ზუზუნით,
საქშენარ–სანავარდოსა,–
რარიგ გარჯილა ბუნება,
თავად რომ გაიხაროსა?..
კოლხეთს მაღლიდან სხივს აფენს,
კალმით რომ დაიხატოსა;
ნეტა, რო ნახო ოდესმე,
თუ თვალი დაიღალოსა.
ხან მზეს უგზავნის, ხან – წვიმას,
ხანაც ჭრელ – უცხო სამოსსა.
ლურჯ ფერს იისფერს ამსგავსებს,
მერე სიმწვანით ხარობსა, –
ხომ უნდა ნახოს, მზის გულზე,
ცისარტყელების ჩამოსვლა...
...მისგან თუ არ დაიბადა,
ნეტა, რა დარი დარობსა?..

არ დამინახავს გავლილი სხვებთან...

არ დამინახავს გავლილი სხვებთან,
მას ვხედავ მხოლოდ დედასთან ერთად.
რომ დაატარებს ქალიშვილს დედა,
უკვე წლებია, მაკვირვებს მეტად!..
ქალი, ლამაზი, არ დაუთმო არავის ხვედრმა,
ამ ცისქვეშეთში ვერ იპოვა სასიძო დედამ,–
ყურს უცნაურად, გაუგებრად, უხეშად ხვდება,
რის ასახსნელად ეს სიტყვები არ გამოდგება...
იქნებ ვერ ვხედავთ, რა ხანია დავბრმავდით ყველა,
რომ დაატარებს, რომელიღაც ლამაზ ღვთაებას,
ან ანგელოსი ჩააბარეს ცით მოწყვეტილი...
ანგელოსს რომ ჰგავს!..
მაპატიეთ, რა მრჯის, რად ვადრი?..
უცნაურობას ვერ ვუყურებ ახლა სხვა თვალით...

ასე გვატარებს – ჩვენც ბედისწერა?
ხელკავს ჩაგვჯიდებს და არ გვეშვება?
არ მიკვირს, არა! ქუჩაში გასულს
„ისინი" კვლავ რომ შემეფეთება...

სოსო შალამბერიძეს

შენს ქუჩაზე მივაბიჯებ ხშირად,
შენს ნაბიჯებს მივუყვები... ვითვლი...
ამერია, ვერ ავუწყვე რითმი,–
კაცურ კაცის ვერ ავწონე ფიქრი...
...ეს გიტარა შენს სიმღერას აწყობს,
ეს გიტარა შენს შეხებას ნატრობს,
უთრთოლდება ყველა ნაზი სიმი,
რა ხანია გელოდება – გიცდის...
საქეიფოდ გამომივლი – ვამბობ,
ჩემი ნატვრა რა ამაო არის...
შენ სამოთხე თან წაიღე, ძმაო,
ჩვენ კი უღვთოდ ჯოჯოხეთში დავრჩით...
შენს ბილიკებს მივუყვები ნელა,
უკან ბევრი სინანული მრჩება;
შენთან მოვალ, თავს წავიყრით ერთად
და ვიმღერებთ იმ სიმღერას ერთად,
მაშინ!.. ჩემთან ბუხართან რომ შეწყდა...

გადაიბირეს ოცნებებმა ჩემი ფიქრები...

გადაიბირეს... ოცნებებმა, ჩემი ფიქრები,
და მე ვიზრდები!..
თუ ჩემი ფრთები დამატარებენ?!..
ეს ემოციაც, ხომ ფრთებია
ჩემი, ლამაზი...
ო, მადლი იმას!..
ვინც ამ ფრთების იცის მოქნევა,
ვინც ეუფლება მისი ფრთებით
ფრენის ხელობას!..

მე განთიადს გამოვყევი...

ვის რა უყვარს,
ვინ რას აქებს:
ვინ წვიმას,
ვინ შემოდგომას,
ვინ გაზაფხულს,
ღრუბლებს, ქარებს,
ზოგიც ღამეს,
ზოგიც მთვარეს,
ვინ კი, ეტრფის ცის ვარსკვლავებს...
მე განთიადს გამოვყევი,
ცისკრის ვარსკვლავს დავემსგავსე!..

ნეტავ რას ზომავ?

მარადისობას გამოედევნე
და დაუდევრად მოსწყვიტე ჩქამი!..
მას შემდეგ წამებს ითვლი...
და ზომავ...
საიდან მოდის,
ან საით მიდის...
ნეტავ რას ზომავ?!
გ ულ მ ო დ გ ი ნ ე ბ ი თ,
დასაწყისი არ იცი, როცა!..

რა აფერადებს კაცის გვირგვინს?...

თუმცა, ტოლები – ფრთამოფარფატე,
შენს ირგვლივ ლამაზ გვირგვინებს წნავდა...
შენ შეცბუნებამ შეგიპყრო მაშინ
და გაიკვირვე პატარა ბავშვმა...
როგორც ყვავილის გვირგვინის ფურცლებს,
სხვადასხვა ფერი ამკობთ და ფარავთ,
ირგვლივ... სუყველას სხვადასხვა ფერის
წამოსასხამი მანტია ახლდა:
ზოგს ჭრელა–ჭრულა ან მუქი ფერის,
ზოგს დაფოთლილი ლაქები აჩნდა,
ზოგს – არ ემოსა არც ერთი ფერი
და უბადრუკი უსახურს ჰგავდა...
მას შემდეგ ფერებს აღმერთებ ისევ...
და ეძებ!.. ეძებ!.. მას შემდეგ ახსნას,
რა აფერადებს, – რა ამკობს ასე,
კაცის გვირგვინს და მის წამოსასხამს...

ვკრიბავ, ვაგროვებ...

ვკრიბავ, ვაგროვებ,
ძაფებზე ვასხამ
და მოწიწებით
ვამაგრებ – ვაბამ,
წლების წინ მოწყვეტილ,
დაბნეულ, შავ მძივებს,
შენს დაძველებულ
ქიშმირის კაბას...
და კვლავაც ბავშვურად ვბუტბუტებ...
ა ხ ლ ა ც,
არასდროს დაგიბნევ...
არასდროს მოვწყვიტავ,
დედიკო, ამ მძივებს,
შენს ლამაზ,
საყვარელ,
ქიშმირის კაბას...

კვაკუტის წყალთან

ბავშვმა ხბორები მირეკა წყალთან,
იქვე მიცოცდა პატარა გველი–
ისიც წყალს სვამდა...
არცერთს არ ჰქონდა შიში და განცდა
და არ უცდიათ გაქცევა – წასვლა...
ბავშვმა შენიშნა გვირგვინი თავზე,
მას არ ენახა მსგავსი რამ არსად...
დიდხანს უცქერდნენ ერთურთს ორივე,
არ ეშინოდათ და არ გარბოდნენ.
ლამაზი იყო გვირგვინი გველის...
ლამაზს და ჯკვიანს ორივე ჰგავდა,–
გვიან დაასკვნა თავისთვის ბავშვმა...

ეს უკვე მოხდა...

„ეს უკვე მოხდა“–
ნუ დაარქმევ გარკვევით სახელს,
„ეს უკვე მოხდა“–
ნუ დააწერ დროსა და თარიღს,
„ეს უკვე მოხდა“–
გაიფანტა და გაიშალა,
არავინ იცის,
არავინ, საით!..

დედამიწა

ბუბუნებს, გრგვინავს,
ბღავის და გმინავს!
და... ვერ გვაგონებს,
რომ ავად არის...
ვით, ჩაგრულ მონას
და ურჩ სახედარს,
სახრეს უჭირებს,
ლურსმნებით წიხლავს!
და... არ ასვენებს
ა დ ა მ ი ა ნ ი!
მაგრამ, ვაითუ, გავიგონებთ,
ს ა ბ ე დ ი ს წ ე რ ო დ!
ერთ დღეს, მის ბღავილს,
ვაი, ჩვენ, მაშინ!..

არასდროს არ ჩქარობ...

ხან ვარსკვლავებიდან დავცქერი
ს ა მ ყ ა რ ო ს,
ხან მზეზე დავფრინავ,
ხან , ცაში ვნავარდობ...
გმადლობ, შენ, უფალო,
თავხედს და უბირს,
მომეცი უფლება ამგვარი ფიქრის...

...თუმცა, შენ, არასდროს,
არასდროს არ ჩქარობ!..

ქალი და სარკე

ქალმა სარკეში სახეს შეხედა
და გაკვირვებით მასთან შეჩერდა:
როგორ? – შენ ჩემი ორეული ხარ?
თუ მატყუარა და მოჩვენება?..
შენს მაცდურ ხერხებს განა ვერ ვხვდები?
შენ მეუბნები, რომ ვარ ბებერი?–
შენმა ნიღბებმა სახე დაღარა,
კმარა, სიცრუე! – სტყუი, სატანავ!–
ეს, შენ მატყუებ, ცრუ და წყეული,
შენ მიმაქანებ მტანჯავ უფსკრულში,
გამოამწყვდიე მახინჯ სხეულში,
ჩემი ნატიფი, უმანკო სული!..
აი, სატანას ნამუშევარი,
მან არ იცოდა ჩემი დანდობა,
მაშ, ვინ შესძლებდა თუ არ მსახვრალი,
ჩემი ლამაზი სახის დაჯკნობას?..
ის ჩააცქერდა ჩაცვენილ თვალებს,
სიცოცხლის ჟინმა ისევ ააგზნო
და ნაპერწკლები ახალგაზრდული,
თვალთა ციმციმმა ისევ აანთო...
ეს მე არა ვარ – ეს შენ ხარ ეშმა,
შენ ასამარებ სიყრმესაც, ეშხსაც,–
გულდაწყვეტილი და გულმოსული,
შემოუბრუნდა აჩრდილს მოხუცი...
ვერ დამარწმუნებ, რომ ვარ ხნიერი,
ეს შენ ხარ ურცხვი და კადნიერი:
სიცოცხლის საზრდოდ მყოფნის იები,
გულის ანთებად - მორცხვი ტიტები.

კვლავ გაზაფხულის მესმის ძახილი,
ისევ მგზნებარედ მიყვარს აპრილი
და მელოდება ცვარით დაღლილი
იასამანი – ტოტებდახრილი...
ათას ნაფიქრალ განაპირები,
შემოეძალა მოხუცს ფიქრები...
გვიან შეხედა და შეამჩნია,
როგორ უთრთოდა ხელის თითები.
დახედა ნაშრომ – დაძარღვულ ხელებს,
ნუთუ, ამ ხელებს სწყევლის მოხუცი?..
ისევ დაფიქრდა საკუთარ ბედზე,
გულდაწყვეტილი და გულმოსული...
ის ხომ სიცოცხლის საზრდოს აძლევდა
და ათას საქმეს ხელებს ანდობდა:
დააძლევინა ლხინი და ჭირი,
გამოუზარდა ობლები წვრილი...
თვალზე მოადგა ცხარე ცრემლები
და თავი ჩარგო დამჭკნარ ხელებში;
მან დაინახა ავი შედეგი...
რომ არ ყოფილა მტკიცე – მედეგი...
...თუმცა, ბევრი რამ ეშმაკს მიანდო,
მაგრამ თავის გულს მას არ მიანდობს,
ახლა, მან იცის, რა გზით იაროს,–
სულს სამოთხეში როგორ მიაგნოს!...

მასთან ჭიდილში...

მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნად მოვედი,
მტანჯავს, მაწვალებს და არ მასვენებს,
რომ უცნაური ტვინი მაქვს, ვიცი –
საუბედუროდ, ამას ხომ მივხვდი.
ვერ მეუფლება, ვერც ვეუფლები...
ბოლოს და ბოლოს, სიმართლეს ვიტყვი:
მასთან ჭიდილში, ორთაბრძოლაში
ჩემი ცხოვრება მიფრინავს მიდის...

განთიადისას...

დაღამებისას... ბნელი ფიქრები
მზის ჩასვენებას ელოდებიან.
დაღამებისას... მძიმე ხუნდები
გულს მარწუხებად დაედებიან;
ყველა იმედი, ყველა ნუგეში
ბნელ ხევ–ხუვებში ჩაეშვებიან;
დამატარებენ ავი სულები,
სამარის კართან გაჩერდებიან...

განთიადისას... თეთრი რაშები
ცის ტატნობებზე გამოჩნდებიან...
მორთულ–მოკაზმულ – დარახტულები
ჩემს კიბეებთან გაჩერდებიან...
სანამ მზე აისს თვალებს გაუხელს,
ცის კიდეებსაც გადასწვდებიან,
ჯადოსნურ ქვეყნებს მომატარებენ,
ქანცგაწყვეტამდე დაიღლებიან...

შორენა

ყოველდღე გხვდები მედიდურს – ამაყს,
შენს მწვანე თვალებს ზღვის ფერიც ახლავს,
ამ სილამაზის და ეშხის გარდა,
რაღაც იდუმალს, შეუცნობს მალავ...
შენ ელანდები მუზაში მხატვარს,
როს ანგელოზებს ფრესკებზე ხატავს...
ბევრი ვეძებე მაშინაც...
ახლაც...
ვერასდროს შევხვდი შენნაირს –
სხვა ქალს!..
ჩემთვის შენა ხარ ქალი – ხატება
გამოკვეთილი – ქალი ღვთაება,
ნაპერწკალი და გამონათება,
სხვა სიყვარული და მონატრება!...

თვითმკვლელობა

კაცმა, რომელმაც მთელი ცხოვრება
ლამაზ ოცნებებს თავი შესწირა,
არ მოელოდა და ვერ დაფიქრდა,
თუ ბედისწერა მისი განსჯიდა...

სვე დაუნდობლად ძალას აცლიდა,
ის კი არასდროს ფარ–ხმალს არ ჰყრიდა,
მან მიზნებისთვის თავი გადადო
და საკუთარი ხორციც გასწირა...

აგურს აგური როცა დაადო,
ცათამბრჯენები როცა აზიდა,
ოცნების კოშკი როცა ააგო,–
ეშმაკმა სწორედ მაშინ დასცინა...

მან რომ იფიქრა – წარმოიდგინა
ტანჯვა–წამება თითქოს დასრულდა,
გადმოიხედა ამ მწვერვალიდან
და გამოერკვა ძილბურანიდან...

ამპარტავანნი, ფარისეველნი
ქება–დიდებით პატივს აგებდა,
გზასაცდენილი, ტანჯვა–წვალებით
თურმე, ამ კოშკებს მათთვის აგებდა...

მას შემოესმა სიცილ–ხარხარი,
ნიშნის მომგები და შემზარავი,
გამოწვეულმა მზაკვრულ თამაშში,
ვერ დაინახა არსი მთავარი!..

სიბრაზისაგან ისე გამწარდა,
სიცარიელეს სილა გააწნა,
ის გადმოეშვა ცათამბრჯენიდან
და ყველაფერი ამით გათავდა.

მიზნის მიღწევა თუ დააპიროთ,
ცამდე კოშკები აღარ აზიდოთ.
უნდა დაფიქრდეთ, კარგად განსაჯოთ,
სიცარიელეს არ შეეჯახოთ!..

ბაბუ და ბებო

(ზუზუს)

ჩვენც, შენთან ერთად ხომ დავიბადეთ,–
ხელახლა გავჩნდით ბაბუ და ბებო,
ბავშვურად ტიტინს ვიწყებთ შენსავით
და დავბაჯბაჯებთ შენსავით, ბებო.
სულ შენს ჯკუაზე ხომ დაგვატარებ,
შენთან თამაშობს ბაბუ და ბებო.
მივდი–მოვდივართ საბავშვო ბაღში
და არ ვიღლებით ამისთვის, ბებო,
შენ რომ იზრდები, ჩვენც ხომ ვიზრდებით,
მალე სკოლაში წაგვიყვან, ბებო,
ალბათ, სულ მალე ახალგაზრდები
გავხდებით ისევ, ბაბუ და ბებო.

მე ისევ ვცდილობ...

მე ისევ ვცდილობ ღრმა ძილიდან გამოგაფხიზლო,
რომ დაგატყვევო, ათასნაირ ბადეებს გიქსოვ.
შენ, უგრძნობელი, საწამლავით – ბანგით ხარ
მთვრალი,
ამ საზღვრის მიღმა დახშულია შენთვის სამყარო.

გიხმობ, გეძახი, თავს გევლები, გეალერსები,
მინდა, რომ წლებით დაგროვილი სინაზე – სითბო
თავს მოგახვიო, გაგაბრუო და გაგიტაცო,–
ჩუმად გაგიხსნა სხვა სამყარო და დაგანახო.

ვერ შევარხიე შენს ფიქრებში ნაზი სიმები,
გაყინული ხარ და გართული მდარე გრძნობებით.
ვერ გაგიწვიე საცეკვაოდ, მსუბუქ ღრუბლებში,
რომ სიჯაბუკე შორეული გამოვიძახოთ...

თითქოს ეძებდი და ვერ ნახე ვერავინ სანდო,
მდორე დინებას გაჰყოლიხარ და აღარც ნანობ,
ყოველგვარ სურვილს მონდომებით და ბოღმით ახშობ,
მთავარი არსი დაგიკარგავს – ცხოვრების საზრდო!

ო, ეს სხივი...

ო, ეს სხივი, ჯადოსნური სარკე,
რამდენ აჩრდილს გამოაბნევს გარეთ:
მე ეს არ ვარ!
არც ეს!
არც ეს!
არც ეს!...
მაშ, ვინა ვარ? – მიპასუხე, სარკევ!...

არ მიყვარს ქებაᲔ!..

მე ვერ ავიტან ხოტბა–დიდებას,
იგი შემარყევს,
ის გამაგიჟებს,
და იგი მომკლავს!..

ვდგავარ მზის ჩრდილში...

ვდგავარ მზის ჩრდილში
გაშლილი ხელით...
და დაჩლუნგებულ
გონებას ვალღობ...

სკვინჩავ, რას ამბობ?..

სკვინჩავ, რას ამბობ, რატომ დაგვძახი,
ნეტა, რა იცი, რამ აგაღელვა?
ცუდს ვინ გვიქადის – რა გვემუქრება,
პატარა გული რას გეუბნება?..

ვიცი, შენა ხარ ჩვენზე ჭკვიანი,
შენა გაქვს ჩვენზე ფაქიზი სმენა,
შენ იცი კარგად ბუნების ენა,
ვიცი, შენ ამბობ სიმართლეს მეტად!

არ აგვეხილა გონების თვალი,
არ დაგვიბრუნდა ნამდვილი სმენა,
შენი რომ ვერა გავიგეთ – ვერა –
ალბათ, ბრაზდები და გული გწყდება...

ძველი ურმის მგზავრი ვარ...

ძველი ურმის მაჩანჩალა
მგზავრი ვარ,
წილად მერგო
ოღრო–ჩოღრო გზანია.
სულ ეს არის, ქვეყნად
რაც მაბადია...
მივუყვები და
ურმული მწადია,–
წინაპრების სიმღერა და ბანია.

ეს მერამდენედ?..

ეს, მერამდენედ, შეიყარა
ღრუბლები ზღვასთან,
ეს, მერამდენედ, მომივლინა
წყეულმა ტალღა?...
ავმა უფსკრულმა დაუნდობლად
დააღო ხახა,
შავ ჯოჯოხეთში ჩამითრია
ცეცხლმა და ალმა!..
გმადლობ, უფალო, ამარიდე
წყეული ტალღა,
შენ მომანიჭე – ტიტანური
დამითმე ძალა,
ეს, მერამდენედ, დამაფარე
ღვთიური კალთა,
რომ დამენახა სანატრელი სხივი
ცის კართან!..

გამოედევნენ ღრუბლები მთვარეს...

გამოედევნენ ღრუბლები
მთვარეს...
მთვარე მაცდური და
ალმაცერი,
ღრუბლის ნიღბებით
იფარავს სახეს...
მათ არ მოსწყინდათ,
დილამდე სდიეს
და ერთობოდა დილამდე
მთვარეც...

წუხელი მესიზმრა უცნობი პოეტი...

წუხელი მესიზმრა
უცნობი პოეტი...
მას ხელში ეჭირა
იები, ტიტები.
მაგნოლიებზე, თუთებზე
გალობდა,
ყაყაჩოს აქებდა,
ღვიას და ენძელას...
რაც გაშლილ, გაფანტულ
ველებზე ეპოვა,
მოჰქონდა და თავზე
მაყრიდა ყვავილებს...
ველ–მინდვრებს, ცის თაღებს
ფერები ამკობდა,
არაფრის შეგრძნება
მე, თითქოს, არ მქონდა...
და... ვკანკალებდი,
ვით, უფრთო ჩიტი,
რომელიც ამაოდ
გაფრენას ლამობდა...

მარიამობას

(ვუძღვნი ძმის – ვალერის ხსოვნას)

მარიამობას, სურნელთა კმევა,
დამცხრალი ვნება და წყნარი ზეცა,
დარდთა, წუხილთა, ტკივილთა თმენა,
სულთა მოფენა – გაფრენა მტრედთა.

მარიამობას, ზარების რეკვა,
გარდასახვა და მეტყველი ზეცა,
მონანიება – კვლავ პატიება
და მიტევება ცოდვილთა მდებთა.

ფერისცვალება – დღეთა და ფერთა
სულთა ზეიმი, უსაზღვრო შვება,
გარდაუვალი, დათქმული ბედთან,
ამ დღეს იქნება ყვავილთა ფენა...

მარიამობას, ბორკილთა მსხვრევა,
გაჭირვებულთა დაცვა და შველა,
მარიამობას, წყურვილთა მოკვლა
და უკვდავების წყაროთა დენა.

მარიამობას შენ მოხვალ ჩვენთან,
განგებამ რადგან ასე ინება,
გადაიხსნება კამკამა ზეცა,–
ამ დღეს გვაჩუქებ საოცარ რწმენას.

რად ხარ მთვარევ უტყვი...

რად ხარ, მთვარევ, წყნარი, უტყვი, მშვიდი?
მაცდურ ნიღბებს წარამარა იცვლი...
თუმცა, ყველას საიდუმლო იცი,
არ გაღელვებს ღალატი და შიში...
შენს სხივებში ქვის ლოდივით ვჩანვარ,
მე ეს ლოდი სრულებითაც არ მგავს,–
ვერ გაგყვები, ვერ ამირევ თავგზას,
შენს ნაბიჯებს ბევრი ჩრდილი ახლავს...

რომ კაცი მოკვდა...

რომ კაცი მოკვდა – წარსულს ჩაბარდა,
არ შეგაძრწუნოთ ფიქრმა ამგვარმა,
რომ მოიხადა ვალი ამ ქვეყნად
და ყველაფერი ამით დამთავრდა...
თუ თქვენ სიცოცხლე ღმერთმა გაჩუქათ,
არ დაიჯეროთ, რომ კაცი კვდება,
ბუნების ნიჯი არ იკარგება
და აღსასრულიც არასდროს დგება.
სამყაროს ბრუნვა და მოძრაობა,
არსად იწყება, არსად მთავრდება,
მარადიული და უსასრულო
ნათელი სხივი არასდროს წყდება!..

დგება დრო...

დგება დრო, როცა ვერაფერს ცვლი
და მხოლოდ ხედავ:
შენი ნივთები აკრეფილი
ზურგზე გკიდია...
რომ ჩამოგართვეს, ჩააბარე,–
დამთავრდა ღელვა
და მიუყვები დანანებით
შენს ბილიკს ნელა...

დაბადებიდან მე მქონდა შიში

დაბადებიდან მე მქონდა შიში...
ყველაზე მეტი – ყველაზე დიდი,
ქების, პატივის და განდიდების
დაბადებიდან გამომყვა შიში...

უფერო ფერი...

ჭიანჭველებიც აგებენ ბუდეს,
აგებენ თაღებს – ლამაზ კოლონებს,
ფუტკრებიც ფლობენ სივრცის კანონებს,
გეომეტრიის ფლობენ ნახაზებს,
მართავენ ცეკვებს და რიტუალებს
და ასრულებენ თავის განაწესს...
ამას ხომ უნდა ყველაფერს ახსნა?
ამასაც უნდა ფიქრი და განსჯა...
ზემოთ ნახსენებ მწერების კვალად
თუ დაფიქრდებით ამაზე კარგად:
მათ შეგრძნებებში ფორმა აქვს გემოს,
ზომას საკვების ფერი და სუნი,
არევ–დარევა რომ არ დაეწყოთ,
დოზა – საკმაოდ მყარი და ზუსტი...
ხომ გაგიკვირდათ?
მეც დავიბენი...
ამ კანონებში
ვერც მე გავერკვი...
საიდან, საით?
საიდან, როგორ?
არ აქვს საწყისი,
არა აქვს ბოლო...
რომ ვთქვა, რომ გითხრათ,
ვინ დამიჯერებს?..
ანდა, ამ ნათქვამს
როგორ გაიგებს?..
რომ მოვინდომო, გარკვევით ითქვას–
მას შესაფერი არცა აქვს სიტყვა:

უზომო ზომა,
წამი უდროო...
ჯერ არ შექმნილი,
ჯერ არ სმენილი...
ერთი ათასში,
ათასი ერთში...
მილიონები
და არაფერი?..
ბევრი ვეცადე და ვერ
გავერკვი...
ტანჯულ ცხოვრებას როცა
გავცდები,
ერთ მშვენიერ დღეს – როცა
გავქრები,
ან ვინ ვიქნები, ან რა
გავხდები?..
სად მომათავსებს უზენაესი,
ათასში?..
ერთში?..
თუ არაფერში...

ხელგაწვდილსა და მშიერს

ხელგაწვდილსა და მშიერს
უფალი - მოწყალე,
საზრდოდ და საკვებად,
მიგზავნის სტრიქონებს –
როგორც უკანასკნელ,
საცოდავ,
დაძონძილ,
ჩამომხმარ, მათხოვარს...

როცა ვნახავ განთიადის ვარსკვლავს

როცა ვნახავ განთიადის ვარსკვლავს,
ათრთოლდება ყველა სათნო სიმი,
თუ ტოროლა შეასკდება ლაჟვარდს,
მე ვიქნები ის პატარა ჩიტი...

თაკოს!

შენს გაბრწყინებულ, ლამაზ თვალებში
ვარსკვლავების და მზის ელვას ვხედავ,
შენი ფიქრები და ოცნებები,
ახლა, ზღაპრული სამოთხის ხეს ჰგავს.

ფრთხილად და ფრთხილად გეძახი ისევ,
თითქოს ნაბიჯებს პირველად დგამდე.
მშვიდობით გევლოს ცის კიდით–კიდე,
დიდი მიზნები გქონდეს და ახდეს.

იყავი მართლის მტკიცე მსახური
და ეტალონი სინდის–ნამუსის,
თამარ დედოფლის და ქეთევანის
მოდგმის და ჯიშის გამგრძელებელი.

ღმერთმა გიბოძოს სიბრძნე და ნიჯი,
მარცხის არ გქონდეს მონური შიში,
გაჩნდეს სამშობლოს ლხინი და ჯირი
და ღირსეული იყავი შვილი.

მეგობარს

(გულოს)

შენს კარებთან ახლაც თავდახრილი ვდგავარ,
ისევ, ყვავილების თაიგულით ხელში,
ჩემო მეგობარო, თუკი მელოდები,
სითბო გაზაფხულის – გულით მოგიძღვენი.

ათას წვრილმანებით ნუღარ დავიღლებით,
წარსულს გავატანოთ – კმარა სინანული,
გული მოვიჯეროთ ლაღი გაცინებით,
ისევ გველოდება დიდი სიხარული.

სუფრა გაგვიშალე, წლებს ნუ მივნებდებით,
გული დაიღალა ყალბი დაპირებით,
თავი მოგვაწონე შენი სიმღერებით,
თავბრუ დაგვახვიე ლაღი გაღიმებით.

ისევ გაზაფხულის სუნთქვით ვიყოთ მთვრალი,
კვლავაც სიყვარულში გაილიოს წამი,
მტრობას არასოდეს გაეჩინოს ბზარი,
რომ ვიცოდეთ ჩვენი მეგობრობის ფასი!...

ბედის ხათაბალა...

უძლურია ახლა
ფანტაზია – განცდა,
მომდგომია კართან
ბედის ხათაბალა...
ჩანს, ამაოდ ვცდილობ
ყველაფერი ავხსნა –
წუხილმა და დარდმა
ამირია თავგზა...
იჯორავეთ ჩემზე,
ააგორეთ ტალღა,
არ დავეძებ, არა –
ვის აუგი დაგცდათ,
თქვენს სარკეში, ალბათ,
უკეთესად ვჩანვარ...
არ მღალატობთ ვიცი –
მომეხმარეთ ახლაც...

უგულესი!..

(ბადრი უგულავას)

გულის გულში – უგულესი
არის წვა და დაგვა,
გულის გულში – აღმაფრენა,
ვარსკვლავებსაც წვდება!..
მზე უნათებს – უგულესი,
მზეს ეტრფის და დნება,–
რაც ბუნებამ დაუწესა
და თავად ინება!..

მადლო, უფლისავ!

ო, ნათლისღების სასწაულო,
მადლო, უფლისავ!...
შენ კაცთა შვებავ!
მომეცი ნება,
მოვიხარო ქედი უფლის წინ,
რომ, სასწაული მომივლინო–
გამეხსნას ხედვა...
და გავიაზრო – წამიერად,
დაცემის ვნება...
ო, სასწაულო, მომეცი ნება,
მოვიხარო ქედი უფლის წინ...
მომეცი ძალა,
მომეცი რწმენა...
მუხლმოდრეკილი გევედრები,
მიმიღე მსხვერპლად,
გამოვისყიდო, კიდევ ერთხელ,
წმინდანთა გვემა,
რომ არასოდეს დაიბინდოს
კამკამა ზეცა!..

ეხება ზოგს!..

სისხლს და ხორცს ნუ მოიგლეჯთ,
ნუ მოიშორებთ,
ნუ გაიწბილებთ თავს.
და თუ მშობლებმა და–ძმა გიბოძეს,
ილოცეთ მათთვის,
ილოცეთ მათთვის,
თუ გაუმრუდდეთ გზა...
თქვენს პატარებს რომ ზრდით და ევლებით
და მათთვის გინდათ ოქრო–კოშკები,
თქვენმა და–ძმებმა რა დაგიშავეს?
სისხლს და ხორცს თქვენგან,
მითხარ, რად დევნით?..
დაფიქრდით, როცა სიტყვას წარმოთქვამთ,
სასწორზე დადეთ თქვენი ფიქრები...
და თუ ვერ განსჯით
სწორად თქვენს ნაბიჯს,
თქვენს შვილებს ავნებს,
რომ არ იქნებით!..

ღმერთო, მომეც მიზანი...

თავგზას მიბნევს, არ მასვენებს
საოცარი ზრახვანი,
უკვდავებას როგორ ჯედდა
ჩემი მამა–პაპანი...
ერთი თხოვნა შემისრულე,
ღმერთო, მომეც მიზანი,
მეც გავჯედო უკვდავების
მხოლოდ – ერთი ფიცარი,
ერთი ასო ამოვტვიფრო,
მხოლოდ ერთ მარცვალი,–
მეც შემასვით უკვდავების
საოცნებო შარბათი..

ბუხარი გიზგიზებს

ბუხარი გიზგიზებს,
პრიალებს, ბრიალებს,-
ლიკლიკებს შამანთა ენით.
ალებში ალს ახვევს,
ფიქრებში ფიქრს ახვევს,
სულს ატკბობს,
გულს ათბობს,
ტვინს ალღობს,
ფიქრს ართობს
და ჰყვება არაკებს უცნაურ გზნებით!..

ზოგჯერ...

ზოგჯერ, წამოსროლილი
სიტყვა ლამაზია –
გულისთვის სალბუნი –
ოქრო ალმასია.
სხვა დროს, ბრაზისგან
მ ი ზ ა ნ მ ი მ ა რ თ უ ლ ი
და ორლესული
ბასრი ხანჯალია...

ბედისწერასთან ვინ გვათამაშებს?

ხშირად, სიცოცხლეს სიკვდილს ვადარებთ,
სიკვდილის შიშით ვკრთით და ვკანკალებთ,
სიცოცხლეს ვეტრფით და ვაზვიადებთ,
საკითხავია, რად ვადიადებთ?

ცრუ დაპირებებს მუდამ თავს გვახვევს,
მთელი ცხოვრება, მაშ, ვინ გვაწვალებს?
მრუდე სათვალით ვინ დაგვატარებს?
ბედისწერასთან ვინ გვათამაშებს?!

საკვირველია, ვისაც ვაძაგებთ,
ვინც არასოდეს იმედს არ გვაძლევს,
დიდს და პატარას აღარ ასხვავებს,
ღარიბს და მდიდარს ის ათანაბრებს!..

ყველაზე ლამაზს ვთელავდით ფეხქვეშ...

ადამიანებს სულს ვართმევდით
და ვყიდდით სხეულს,
მერე ვაგებდით სასახლეებს
ზღაპრულს და მდიდრულს,
ქანდაკებებში ვასახლებდით
საკუთარ ვნებებს,
ყველაზე ლამაზს და მშვენიერს
ვთელავდით ფეხქვეშ...
დახარბებული ვაგროვებდით
ბრჭყვიალა ნივთებს,
ამაო ცდებით სულს ვბერავდით
უსულო საგნებს,
თუმცა, დრო–ჟამი არ ინდობდა
ჩვენს გულქვა კერპებს,
აცამტვერებდა და გვაცლიდა
ამ ცრუ დასაყრდენს.
კაცობრიობის ეს სიმძიმე
კარგახანს ვზიდეთ,
ამ ცოდვებისთვის გოლგოთაზე
ეწამა ქრისტე.
მას შემდეგ, ისევ, ბევრი რამე
გადავივიწყეთ,
უდაბურ ტყეში დავემგვანეთ
გზააბნეულ ცხვრებს...
ხსნას ვერ ვპოულობთ, დაგვიფარე,
უფალო, გვიხსენ!
ახალი მადლი მოანიჭე
შენს გულქვა შვილებს.

ცაცხვის ხეივნები

იქნებ, ვერ გავიგე, იქნებ, ვერ ვიგრძენი,
უცხო სურნელება ცაცხვის ყვავილების,
ჩემო მეგობარო, თუკი გენატრები,
მე ამ ბილიკებზე კვლავაც გელოდები...

ვხედავ, შორი გზიდან ისევ იღიმები,
ისევ მუჯა–მუჯა მოგაქვს გვირილები,
ცაცხვის ხეივნებში ისევ მელანდები,
ჰოი, მეგობარო, როგორ მენატრები...

ჩვენი ჟრიამული თითქოს ისევ მესმის,
მათი სურნელებით ახლა უფრო ვთვრები,
ფიქრში, ოცნებებში – მართლაც არ ვიღლები,
მე ამ ბილიკებზე ისევ გავირბენდი...

ჩვენი წარსულიდან დიდი ძალა გვიხმობს,
კვალი – შორეული, კვალი – იისფერი,
სიზმრად, მოგონებად ისევ თავს გვახსენებს,
ჩვენი ბილიკები, ჩვენი ბილიკები!..

მამას

(ვუძღვნი თენგიზ უგულავას)

ბევრჯერ ნაღველი აწვალებს,
ბევრჯერ აწვება ცრემლია,
ვაჟკაცი შვილი დაკარგა
და იტანჯება წლებია.
თავის დარდს არავის ახვევს
იცის, ეს მისი ხვედრია;
ოჯახს ცრემლები არ უყვარს,
ოჯახს სხვა რამე სჩვევია.
მის შვილებს დედა არა ჰყავს
და შვილიშვილებს ბებია,–
ოდესმე ხომ უნდა გათბეს
გაცივებული კერია.
იცის, ოჯახის ბურჯია,
ქალი და კაციც ის არის,
ცხოვრებას აზრი მაინც აქვს
და მაინც ჩნდება მიზანი...
ვერ უღალატებს სხვა შვილებს,
მათაც ხომ უნდა გაუგოს,
ყველას მის მისი მიაგოს
და სიყვარული გაუყოს.
მისი ვალია არ შედრკეს,
ოჯახს სიმყარე დაუდოს,–
ვით ფესვმაგარმა ბერმუხამ,
წლების სიმძიმეს გაუძლოს!..

თენგო ბაბუს ზღაპარი ...

აბა, დამწკრივდით, ბავშვებო,
უნდა გავფრინდეთ ზღაპარში,
ბაბუამ გამოაცხადა:
–სიზმარი რამ მაქვს ნანახი...
ამბავი ყველას ეუწყა:
ლელას, თამთას და თეონას,
ნინის, თაკოს და თენგულას;
ყურს არ უჯერებს დათუნა
ამბავი თუა მართალი;
ძლივს მიატოვა საბანი
ბოლოს გამოჩნდა აკაკიც,–
ყველას გაფრენა მოუნდა
ბაბუს მოგონილ ამბავში...
ბრძანება იყო ასეთი:
„ხელები უკან დაიწყვეთ,
ჩემსკენ ზურგებით დადექით,
თავები სწორად აღმართეთ
და დაიხუჯეთ თვალები“...
ბავშვები უცებ გასუსდნენ,
შეწყდა ჩოჩქოლი – ხმაური,–
ბაბუას ნიშანს ელოდნენ
ფორმაზე გამოწკაპულნი...

ჰოდა... ბოლოში ასრულდა
ბაბუს რაც ჰქონდა ჩათქმული...
სუყველას ჩამოუარა
და უთავაზა პანღური...
როცა გაბრაზდნენ ბავშვები,
მასაც მზად ჰქონდა პასუხი:
რა ვქნა, ბაბუა, ხომ იცით,
ასეთი არის თამაში...
ატყდა სიცილი – ხარხარი,
ასე დამთავრდა ზღაპარი...

თაგუნას

(თამარ ლობჟანიძეს)

„ჩქარა, სოფელში მივდივართ“–
ატყდა ჩოჩქოლი, განგაში:
არ ავიწყდება თაგუნას,
თოჯინას აწვენს აკვანში;
მგელს, დედოფალას, დათუჩას
ნინოს ულაგებს ჩანთაში;
ლუკას და ზურას აჩქარებს,
სახელდახელოდ ამზადებს,
თითქოს მიჰყავდეს კინოში
ან მესხიშვილის თეატრში...

მართლა სოფელში მივდივართ?–
ლუკა თავისთვის იძახის:
ამდენი თეთრი პიჯაკი
ბებო, რად მინდა, მითხარი?

არადა, ვიცი, რომ ვუთხრა,
არაფერი არ გამივა.
იქ სისუფთავეს ვინ იცავს?..
სანაძლეოსაც ჩამოვალ,
ხომ ვიცი, ბაბუ, რომ მივალთ,
თივის ზვინიდან გამოვა...

გაფრინდა წლები, გავიდა,
ასე ჩოჩქოლში, ქაქანში.
გეტყვი სიმართლეს, რაც მინდა:
შენ არ გეტყობა ასაკი,
ახალგაზრდული გული გაქვს
და შემართება სხვაგვარი.

ასეთი გენი სად არის?
აბა, შენს ხელებს რა დაღლის?
ელენეს ქალიშვილი ხარ
და ნინას შთამომავალი!..

ორ არსენას - ბაბუას და შვილიშვილს

ის აღმერთებდა უროს და საჯრისს–
ჩვიდმეტი წლისამ ააგო სახლი,
(დადიანები ბრაზობდნენ ამით:
რატომ დადგაო სასახლე თავის).
ბაბუა ქვითკირს ანდობდა ფიქრებს,
ქვაში აწრთობდა საკუთარ მიზნებს:
ბორჯღალოს თლიდა, – მუშთარს და მთიებს,
აჯახრაკებდა ქორბუდა ირმებს,
„სიცოცხლის ხეში" აქსოვდა იმედს
და ამაგრებდა ბუხარის ფილებს;
ბაბუ წასარეთს ამყნიდა კვირტებს,
ის აშენებდა „სამოთხის კიდეს";
თავის საფიქრალს, საქმეს და სიტყვებს
ის უტოვებდა მომავალს – შვილებს.
ალბათ, მის გენებს მოჰყავდა ჟინზე,–
ბაბუა წვრთნიდა ჯიშიან კვიცებს,
წისქვილს აგებდა ოკაცის პირზე,
ხან, იზაბელას ეძებდა ჯიშებს.
არსენაც, მისას მიჰყვება ფიქრებს,
ურთხმელს დაეძებს კლდეების პირზე,
გაზაფხული რომ მოახლოვდება –
ისიც აგროვებს დასამყნობ კვირტებს.
ალბათ, ბაბუა სახავდა მიზნებს,
ალბათ, მისდევდა ამდაგვარ ფიქრებს:
წინაპრებს თუ აქვთ ჯკუა და სიბრძნე,
მას შვილიშვილიც კვალდაკვალ მისდევს!..

მთელი ცხოვრება რაღაცას ვკრიბავთ

ხან მონდომებით, ხანაც გულგრილად,
მთელი ცხოვრება რაღაცას ვკრიბავთ,
რაღაცას ვეძებთ და ვახარისხებთ,
ერთ დიდ ჯურჯელში ვყრით და ვაგროვებთ.

დგება წუთები, როცა ჯურჯელი,
პირთამდე სავსე, მეტს ვეღარ იტევს,
ადრე თუ გვიან – ერთ მშვენიერ დღეს,
სუყველა ვხედავთ, რა დავაგროვეთ.

რადგანაც იგი ნელ–ნელა ჟონავს,
საუბედუროდ, გვიან ირკვევა:
ვინ რას ეძებდა, ვინ რა იპოვა,
სიკეთე, ბოღმა თუ სათნოება.

თუკი, მხატვარი – უცნობი ქალი,
თამამად ხატავს ლამაზ ყვავილებს,
მისი გრძნობების სიფაქიზეში
ეჯვს ნუ შეიტანთ და არ გაოცდეთ...

რასაც ეძებდა, რასაც კრიბავდა
და მთავარ მიზნად რაც დაისახა,–
ლამაზ კონებად შეკრა, დაქარგა,
გადმოიღვარა და გაიშალა.

ზოგ მეგობარში მტერს თუ შეიცნობთ,
თვალი და ყური სჯობს, რომ დაიხშოთ,
რას აგროვებდა, თქვენ არ იცოდით,
მაგრამ ჯურჯელი უკვე აივსო...

ზოგის ჯურჯელში სხვები ფათურობს,
ზღვარი თავისას ვეღარ დაუდო,
ზოგმაც მიაგდო უმეთვალყუროდ
და ცარიელი უფრო ხმაურობს.

ყველა სიბილწეს, რასაც შევხვდებით,
ნუ დავაგროვებთ საკუთარ სულში,
თუ არჩევანი ჩვენვე გვეკუთვნის
და მართლაც!? – გვიან არ არის, თუკი...

მაწამეთ სხვის გამოც...

მაწამეთ, ჩემს გამო, სხვის გამოც,
ათასჯერ მესროლეთ ტყვია!..
ნაძრახი არ მომცეთ სიცოცხლე!
არა მაქვს სხვა რამე მიზნად,
ოღონდაც, ტალახში ნუ გამსვრით,
სხვის გამოც, მესროლეთ ტყვია!...

განაჩენი

თუ მათხოვარი შემოგხვდათ გზაში,
ჩამოფლეთილი, კბილჩაცვენილი,
ის ხომ სარკეა მთელი ცხოვრების,
გადასახედი - ღია სარკმელი.

და თუ თქვენ ფიქრობთ, რომ სასჯელს იხდის,
წარსული დროის ცოდვების გამო,
მით უფრო მეტად, უნდა იწამოთ,
თუ მაგალითი გიდევთ სასჯელის.

მას ხომ პროტესტი არ გამოუთქვამს
და განაჩენსაც არსად არ ეძებს,
რომ მისი ტვირთი ზიდოს ამქვეყნად,
ამით ხომ ამბობს სათქმელს თავისას.

მიზანსწრაფული და შორსმჭვრეტელი,
თუ სხვისას არ ჰგავს გონება თქვენი,
მაშინ, მით უფრო, კარგად ჩასწვდებით
აზრს და შინაარსს ჩვენი გაჩენის.

ვინ შეაზავებს ფერებს ზღაპრულად,
ანდა, ვინ შექმნის ლამაზ მუსიკას,
ერთი ტონით თუ ასწევს, ან დასწევს –
მთავარი არის მათი მიგნება.

გულთმისანი თუ არ იშლის მისას
და საიდუმლოს ამოხსნის ცისას,
ბედისწერას თუ დახატავს სხვისას–
მთავარი არის, სათქმელი ითქვას.

თავს ნუ იწონებ, რომ ხარ პირველი,
სიტყვის ოსტატი, ან ვირტუოზი,
ძეგლს ნუ დაიდგამ, ნუ განდიდდები,
ამ ქვეყნად შენი იცოდე როლი.

თუ თქვენში აზრი გამოისახა
გენიალური, ანდა ზღაპრული,
იცოდე, იგი სხვასაც ეკუთვნის,
იქ სხვების წილიც არის ჩართული.

თქვენში რამდენი კოდი ჩაიდო,
ანდა რამდენი გენი შეზავდა,
ამიტომ, აზრი როცა მოგივათ,
ის საკუთრება თქვენი არც გახლავთ.

შექმნა სამყარო – ადამიანი,
ამით, ყოველი სათქმელიც ითქვა,
ღმერთმა არავინ გამოარჩია,
მხოლოდ როლები გაგვინაწილა.

ლადო ასათიანს

ამომღერება, არაკრაკება
ჩიტების ენა, ბულბულის სტვენა:
ყვავილთა სუნთქვა, ყვავილთა ცვენა
და უკვდავების წყაროთა დენა...
სხვა სიყვარული... სხვა შეთანხმება...
ლექსთან ლამაზი გათამაშება.
ეს მონდომება ყველა დროს ხვდება,
ეს აღმაფრენა უკუნეთს სწვდება,
ოქროდ დაგადნო – დაგლოცა ღმერთმა,–
ეს სიყვარული მან დაგაწესა.
თითქოს, დაწრიტა მელანი სევდამ,
თითქოს, დამთავრდა სათქმელი ყველა,
თითქოს დაისვა წერტილი ყველგან,
აღარ აღიძვრის გრძნობები მეტად...
შენ სულ სხვა იყავ – სხვა გაელვება,
სხვა სიყვარული და მოფერება...
შენ შეგიყვარა ყველა ქართველმა,
აი, პოეტი! – ვინც არ მოკვდება!...
ჩემს სამშობლოში პოეტს რა დალევს,
ან მათ სახელებს დრო რას დააკლებს?
ამ ყველაფერში ღმერთის წვლილია,
დედა ღვთისმშობლის ქვეყნის წილია...
მათი სახელი ორიონია…
განა ერთი და განა ორია?
რომ შეფასება არ იოლია–
ვარსკვლავი, განა, ყველა ტოლია?
ღმერთს ყველა უყვარს – ასე მგონია,
მისი შექმნილი თანატოლია!...

მათ სინამდვილე გამოაწრთობთ!..

ახალგაზრდობას ახალ სიტყვას
            რატომ არ ანდობთ?
თითქოს, არ გინდათ ქარ–ცეცხლისთვის
            რომ გაიმეტოთ...
მათ წილად ერგოთ უცნაური,–
            სულ სხვა სამყარო,
რატომ არ გინდათ, სინამდვილე
            რომ დაანახოთ?
ნუ შეგაშინებთ მათი ქცევა
            თავაშვებული,
ან სისასტიკე, ზოგჯერ მართლაც,
            წრეგადასული;
მთავარი ბრძოლა – წინაღობა
            გადასატანი,
ჯერ ხომ წინა აქვთ გასავლელი
            და დასანახი.
მისწრაფებები არ არსებობს
            უკიდეგანო,
მეორედ მოსვლა, ანდა წარღვნა
            ნუღარ დაგაფრთხობთ,
ხელს რატომ უშლით? – დაბრკოლება
            რომ გადალახონ.
ცხოვრება თვითონ მოუმზადებს
            მათ მკაცრ კალაპოტს!..

მაშინ იშვება ადამიანი...

ქართაგან ხენი დაილეწება,
ცეცხლისგან მიწა გადაიწვება,
გადმოიღვრება სიბილწის ზღვანი
და მოვა მხეცი – აღვირახსნილი...
მოვა, განგმირავს, დაჰყოფს, წაბილწავს
და ნაკუწ–ნაკუწ ხორცთა დაფლითავს,
სისხლის წყურვილით ბრაზმორეული,
საკუთარ სხეულს თვითონ დაგლიჯავს!..
რომ ეს იქნება – დღე განაჩენის,
რომ ეს იქნება – დღე აღსასრულის,
მოვლინებული, კვლავ, განსაცდელი,
ტანჯვა–წამების დღის დასასრული.
განიდევნება კაცთაგან ეშმა,
განიდევნება სულთა დემონი,–
მაშინ იშვება და შეიქმნება
კაცი, ნამდვილი ადამიანი!

თუკი სათქმელი...

თუკი, სათქმელი ბევრი დაგროვდა,
დამძიმებულმა რომ არ იარო,
უნდა დაწერო, უნდა გამოთქვა,
სხვას ფიქრი შენი გაუზიარო...

სხვასაც ჰქონია სათქმელი ბევრი,
რითმები თითქოს კიდეც გახედნა,
თითქოს სწყალობდა ამაში ბედი,
სიტყვის თქმა მაინც ვეღარ გაბედა...

გამბედაობა თუკი გეყოფა:
იყოს თამამი სიტყვა და აზრი...
მკითხველი მაშინ უფრო გენდობა,–
თუ არის სიტყვა წრფელი და საღი.

რა განიცადე, რა დაინახე,
ხალხს ყველაფერი აინტერესებს
და ელოდება დამშეულივით,
გრძნობით გადმოღვრილ ნამდვილ სტრიქონებს.

ყოველი აზრი – აზრია ქვეყნად
თუ წარმოიშვა იგი საერთოდ;
იპოვის ალბათ, მას ვინც დაეძებს
და აქვს უფლება რომ იარსებოს!

„ის“ პირველობას ჩემობს...

ღალატს, ქურდობას, სიშლეგეს
ყველა აბრალებს მთვარეს...
რატომ მზეს ვეღარ შეჰბედავთ?
არ ეკადრება რამე?
რატომ?
მზე ხომ მზე არის!..
ის ერთადერთი მხოლოდ!
ცის ტატნობებზე ზეობს,
მის მიმკლავებზე მეფობს!
არც ეკადრება რამე,
რაც ეკადრება მთვარეს...
„ის“ ერთადერთი მეფობს.
„ის“ პირველობას ჩემობს!...

❖❖❖

ხან უნდა იყო სულელი,
ხანდახან ჭკუაც გეყოს...
აბა, მითხარით ვინ არის
ჭკუა რომ უნდა ეყოს?

სიცოცხლის ბოლოს...

გამუდმებულად კრთის და კანკალებს,
როგორ მიაგავს სიცოცხლე ფოთოლს;
მისი სიმშვიდე ჰკიდია ყუნწზე,
ჩვენი - ყოველთვის დალეულ ბეწვზე...

გაჰყვება წვიმას, ქარიშხალს, ნიავს,
თუ შემოდგომის ღამეულ წყვდიადს;
იქნებ, ნარნარით ჩაეშვას წყალში
და მდინარებას გადაყვეს მისას.

იქნება იცდის, თუ როდის მოთოვს,
სიცოცხლეს მისას რარიგად მოშთობს...
არავინ იცის – სიცოცხლის ბოლოს,–
რა ელოდება გაცრეცილ ფოთოლს...

გზის გასაყართან მორჩილად ვიცდით,
როდის მოვწყდებით არავინ იცის...
ჩვენ ვემსგავსებით ცახცახა ფოთოლს,
სიცოცხლის ბოლოს, სიცოცხლის ბოლოს!..

ვჩქარობ, არ ვჩქარობ, ერთი ფასი აქვს...

მე ვიცი, ჩემი თვალების ფერი,
ოდესღაც, ჩემში მზე რომ აანთეს...
ახლა, თანდათან ყველაფერს ვხვდები,
არ ვიცი მხოლოდ, დრო რას დაარქვეს...

ამის გაგება ყოველთვის მიჯირს:
საიდან მოდის... საითკენ მიდის,
მაინცდამაინც აქ რატომ ვიცდი...
ან ჩემი დროის რატომ ვარ შვილი?..

მაშინ და როცა, ახლა და მერე,
რა იზომება? რას ადარებენ?..
ვჩქარობ, არ ვჩქარობ ერთი ფასი აქვს
და ვერ ვგებულობ, წინ ვარ თუ ბოლოს...

რაღაცას რაღაც ხომ უნდა მოჰყვეს?...
არადა... რაღაც, მეც ვგრძნობ, რომ იძვრის...
მას ვერ ვუწოდებ ჩქარულს, ან მდორეს,
ის ერთი ტემპით მიდის და მიდის!..

ცეკვავენ, ცეკვავენ ბავშვები!..

(ზუზუს დაბადების დღეზე
2013 წ. 25 მაისს)

შეჩერდით ბავშვებო, შეჩერდით,
ცოტა ხნით ჩაგხედოთ თვალებში...
მე გხედავთ...
    მე გხედავთ...
        და გატყობთ,
მომავალს ვუყურებ ლანდებში...
შენ დავით,
    შენ რატი,
        შენ ხატი,
ნათია, ლუკა და ზაური...
ცოტა ხნით შეჩერდით, ბავშვებო,
მინდა, რომ ჩაგხედოთ თვალებში...
მიყვარხართ, მიყვარხართ, მიყვარხართ!
განაგრძეთ სიმღერა და ტემპი...
გიყურებთ, თქვენს გვერდით დავდექი
და მაინც სევდა მაქვს რამდენი...
შეჩერდით, ცოტა ხნით შეჩერდით,
წინაპრებს ჩახედეთ თვალებში
და მერე განაგრძეთ, იცეკვეთ...
თქვენ მოგაქვთ სიცოცხლის სხვა ტემპი!..

მეგობარს

(ნონა გუმბერიძეს)

ნიჭი, უნარი და სილამაზე
ღმერთმა გიბოძა მართლაც ნატიფი,
გამორჩეული რომ ხარ – ვამბობდით,
შენ კი არასდროს არ ამაყობდი.

თვალთა ციმციმით და ნაპერწკალით
სხვებსაც აძლევდი სიცოცხლის ხალისს;
შენ იყავ ქალი – და მარტო ქალი?
შენი გონების ვერ ვნახე კაციც.

ასეთი უცხო – შენა ხარ კარგი,
ასეთი ქალი – შენა ხარ ნაზი,
ხანდახან ვფიქრობ, მაინცდამაინც,
რომ შენი თავის არ იცი ფასი.

ახლა მე გეტყვი, რომ ვარ ამაყი:
ქართული ჯიშის, ქართული გვარის,
ყველასთვის კარგი და მისაბაძი,
თბილისში დადის ლამაზი ქალი
და ჩემი ჰქვია მას მეგობარი!..

„იორეთ“*

(როლანდ ჯანაშვილის ხსოვნას)

მეგობრები ჯანას საფლავზე - გეთსიმანიის ბაღში, მისი გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ

რადგან წლებმა ყველაფერი შეიწირა,
ჩვენ ცოცხლებმა ერთმანეთი ვერ მოვნახეთ.
ახლობლებმა წმინდა მიწას მიგაბარეს
და სიმშვიდით ამ ქალაქში განისვენებ...
ამ მიწაზე ფეხი დავდგი მოწიწებით...
შენს ძმობას და ვაჟკაცობას გეფიცები,
ახლა შენთან ჩამოვჯდები ცივ საფლავზე,
ახლა ტირილს ვეღარავინ ვერ დამიშლის,
აქ ვერავის გავაკვირვებ ცხელი ცრემლით,
არც არავის არ აკვირვებს მწარე ხვედრი,
ეს ხომ ცრემლით გაჟღენთილი ძველისძველი–
ქალაქია „ირა შლემის“ და გოდების...
ძველებურად მიღიმოდე როგორ მინდა,
ძველი გრძნობით, იმ დროის და იმ ხალისით,
აჰა, ძმაო, მოგიტანე ჩვენი მიწა–
დიდი სუნთქვა ქუთაისის და მაისის.
ჩამოვჯდები... ჩემს ამბებსაც მოგიყვები;
სად ვიყავი, რა ვიყავი, რა გადამხდა...
რომ დავლიე ბევრი წლები მოთმინებით,
მეგობარო, შენი ხელი რარიგ მაკლდა...
ალბათ, გიკვირს შევერცხლილი ეს ჯაღარა,
ამ ცხოვრებამ განა მარტო ეს მაკმარა?

* „იორეთ“ შემოდგომისა და გაზაფხულის პირველი წვიმა ისრაელში.

შენ კი, ძმაო, ეს ჯაღარაც არ გეღირსა,
მიგვატოვე უდროოდ და ახალგაზრდამ...

გეტყვი, ალალად, გულში რაც მიდევს:
რომ გადავლახეთ ყველა კარიბჭე,
რომ შევასრულეთ ყველა პირობა,
არც რას ვეძებდით, არც რა გვინდოდა,
ვინა ვართ, რა ვართ – არ გვიძებნია
და სიყვარული არ გაგვიყვია.
რომ მეგობრობის დავდევით ფიცი,
რომ მეგობრობა რა არის ვიცით,
ჩემო ძვირფასო, არც ვაზვიადებ,
ჩვენ მეგობრობა გავადიადეთ!..

როცა ქალაქის კედლებს გამოვცდით,
როცა ქალაქი დავტოვეთ მაღლა;
მალე ღრუბლები წამოიშალა
და გაგვაკვირვა წვიმამ და ქარმა,
ვთქვით: ჩვენთან არის ახლოში ახლა
და მიგვაცილებს მეგობრებს ჯანა...
ჩვენ გავიხსენეთ მისი სიტყვებიც,
როცა წავიდა ზეცაში მაღლა:
„წვიმა პირველი – უკანასკნელი“...
წვიმა პირველი – მაისის წვიმა
საბედისწერო აღმოჩნდა, მართლაც...
ის მოუთმენლად გველოდა ალბათ,
წვიმას ატანდა თავის დარდს – სათქმელს,
მისი ღიღინი და ქარის ნანა
მიგვაცილებდა დაკლაკნილ გზაზე:

„შალომ იორეთ,
გეშემ იორეთ,
თოდა ხავერიმ, ანი სმეხა...
ლეითრაოდ ხავერიმ,
ბეზეირუთ ხავერიმ,
ლეათ, ლეათ, ხავერიმ!..“
პირველი წვიმით მოგესალმებით!..
მადლობა, მეგობრებო, ამიხდა ნატვრა!..
მადლობა, მეგობრებო!..
ნახვამდის, მეგობრებო!..
იარეთ ფრთხილად, იარეთ წყნარად!..

მეგობარს!

(ნინო ცანავას)

სხვისი დარდით და სხვისი ნაღველით
ცრემლით გევსება ბევრჯერ თვალები;
ცდილობ, როგორმე, ყველას გაუგო,
და ლუკმა პური ბევრსაც გაუყო.

შენა ხარ, კარგო, სულით მდიდარი
და საამაყო ჯიშის – ჯილაგის;
ასეთი ხალხის შთამომავალი,
არ შეიძლება იყო სხვაგვარი.

მზეს დაატარებ – მზე დაგაქვს გულით;
ჯანსაღი, სათნო, ნაზი ღიმილით,
ამ ენერგიით და სიყვარულით,
გაწვდები, დაო, ალბათ მთელ თბილისს!..

ადრეული გაფაფხული

(ვუძღვნი მეუღლეს - რამაზ კერძაიას)

მოგონება

**დიდი ზამთარია... გადაუღებლად თოვს...
ის ციხეშია გამომწყვდეული, მე კი გორდის
მთებში... სიცივეა და თოვს:
უიმედობა, უიმედობა, უიმედობა...**

შენ გაყინული ზიხარ ბუხრის წინ
და თვალს უშტერებ, იმედით შექმნილ,
ამ გაზაფხულის კიდევ ერთ აპრილს...
ბუხარში ცეცხლის გიზგიზებს ალი,
ფანჯრებს ასკდება წყეული ქარი...
შიში თუ გიპყრობს, სიცივეს თუ გრძნობ?
თუ უკვე გახდი ყინულის ქალი...
დარჩები, წახვალ, მოვლენ თუ წავლენ
ნუთუ ეს შენთვის სულერთი არის?
ხედავ? დაფარა მიდამო თოვლმა,
გესმის? საშინლად ზუზუნებს ქარი,
მაგრამ შენ უკვე მთლად გაყინულხარ
და აღარაფრის არა გაქვს თავი...
...მაგრამ, შენ იცი, ახლა სადღაც შორს,
ვიღაცას შენზე აწუხებს დარდი,
ვიღაცა შენგან მოითხოვს შველას –
სიცოცხლეს ითხოვს შენგან ის კაცი...
იცი, რომ ახლა ზამთარი არის,
იცი, რომ ახლა სიცივე არის...
შენ ისიც იცი, მოვა ზაფხული,
პაპანაქება აგვისტოს დარი...
მაგრამ... ყინული აღარ გადნება,
თქვენ ვერ გაგათბობთ სიცხე და დარი...
შენ გაყინული ზიხარ ოთახში,
ბუხარში ცეცხლის გიზგიზებს ალი,
შენ აღარაფრის არა გაქვს თავი...

ავი ღრუბლები

ცის კიდე ჩამოაბნელეთ,
კარვები გიდგათ საავდრო,
სამგლოვიაროდ მორთულხართ,
ცისიერ გინდათ დაჯაროთ.
საით მიდიხართ ღრუბლებო,
დარდი რამ მინდა გაგანდოთ:
ავი ფიქრი და წუხილი
ცხოვრებამ რატომ დამანდო?!
ან უიმედო ცრემლები,
რამდენი უნდა დავღვარო?..
გსურთ, დააბნელოთ ცის კარი,
ჯექა–ქუხილი გამართოთ;
თქვენი მრისხანე სურვილი,
ვის მიმართ უნდა აღმართოთ;
ეს ჩემი ტანჯვის ცრემლები
ვის კარზე გინდათ დაღვაროთ?
იქნებ, ის მაინც დაინდოთ,
იქნებ, ეს მაინც გადადოთ!..

როცა შენს სახეს...

როცა შენს სახეს ვერ გავიხსენებ,
თუ აეფარა ჩემს ფიქრს ღრუბელი
და თუ დავკარგე ფერთა შეგრძნება,
თუ მახსოვრობაც ვეღარ მიშველის;
მე მივატოვებ ყველას – ყველაფერს,
გრძნობადაკარგულს ვეღარ მიპოვით...
ვერ მიპოვიან წყალში, ხმელეთზე,
არც დავიწვები, რომ ფერფლად ვიქცე;
უსასრულობა წამიღებს, ალბათ,
უსასრულობას მივეკედლები...
თუ ერთეულებს არ სწყალობს ღმერთი,
თუ ბედისწერა არსებობს ერთი;
წაიღონ მსხვერპლად ჩვენი სიყვარული,
შეგვინდონ სურვილი ჩვენი ერთად ყოფნის!..

იქნება, ინანოთ თქვენ!..

წვეთ–წვეთად დაღვრილი სისხლი...
ბოღმად მორეული ცრემლი...
გრძნობები – გამოუთქმელი ენით,
დაღლილი, დაღლილი ტვინი...
მომეცით, სავალი გზები,
მომეცით, საფრენი ფრთები...
ნუ დამღლით! ნუ მომცემთ
საწამლავს დღეს,
იქნება, ინანოთ! ხვალამდის, თქვენ!..

სიცარიელეს ეძებდა ალბათ...

ვდგავარ ცის კაცი და მიწიერი,
არარაობად ქცეული ახლა;
მე ვარ გვემული და ნაწამები
თუმცა, ვინა ვარ არ ვიცი კვლავაც...
არ მახსენდება ჩემი წარსული,
არც ფიქრს, არც წუხილს არა აქვს ახსნა;
სულში ეშმაკი თუ ჩამისახლდა –
სიცარიელეს ეძებდა ალბათ.
ვგრძნობ, ჩემს სუსტ მხრებზე ეშმაკები ზის,
სულშიც ეშმაკი ალაპარაკდა;
მე ანგელოზებს დავეძებ ირგვლივ,
ვხედავ, დრო მიდის, ხსნა კი არა ჩანს...
მე ცრემლს ვერ დავღვრი – გრძნობა არა მაქვს,
ვერ გაგიხსენებ – ფიქრი არა მაქვს,
ვერ მოვალ შენთან – ვერ გადაგიშლი გულს,
ვერ გეტყვი: – ტკივილს იგრძნობს თუ არა;
არ იხსნებიან თვალნი აისის,
ღამემ სარკმლები მკაცრად დაკეტა;
აღარ ყოფილა ასე ადვილი
ჯოჯოხეთისგან თავის დაღწევა.

მაშინაც წვიმდა...

მაშინაც წვიმდა, მაისის თვეში,
მე კი მგონია, ეს გუშინ იყო,
როგორ გაგვათბო მაშინ იმ წვიმამ,
როგორ მიყვარდი, ძვირფასო, მაშინ...

მე ახლა სადღაც უნდა წავიდე,
მაგრამ არ მინდა გავიდე ხალხში,
რომ, მეშინია ახლა სიცივის,
რომ, ქვეყნად ახლა სულ მარტო დავრჩი.

ჩემს ირგვლივ ხალხის ტრიალებს ჯარი,
მაგრამ ჩემს გვერდით არავინ არის,
როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე,
ნუთუ, ამ ტანჯვას არა აქვს ზღვარი...

ნუ მეღობებით...

თუ შემიძლია ვწერო ლექსები,
უსაზღვროდ ვხატო ფიქრის ფერები,
თუ შემიძლია შევქმნა მუსიკა,
მოვაჩუქურთმო დიდი ტაძრები.

თუ შემიძლია ვიფრინო ცაში
უსაზღვრო დროით, უკიდეგანოდ;
მომეცით დრო და თავისუფლება,
სულს ნუ მიხუთავთ, ნუ მეღობებით!..

ცხოვრების წესით გადაქანცული,
გზააბნეული და არეული
ხსნას ვერ ვპოულობ, გასაქანს ვეძებ,
ჯაჭვით შეუკრავთ ჩემი აზრებიც.

უსაზღვრო ძალით და ენერგიით
ვიღაცა მიწვევს საფრენ ბილიკზე,
დამძიმებული ჭუჭყის გროვებით,
გზის გასაკვლევად ამაოდ ვიწევ...

ლამის ჩამახრჩოს, ლამის ჩამსილოს,
ტრიალებს, ბრუნავს ავი მორევი;
მომეცით დრო და თავისუფლება,
ნუ მეღობებით, ნუ მეღობებით!..

დაღამებისას

დაღამებისას...
რამდენი მწველი – ანთებული თვალები მიმზერს
უკუნეთიდან...
და რომელია „ის“,
რომელსაც დღემდე დავეძებ?!..
შენ იცი, მთვარევ,
შენა ხარ, მთვარევ,
შუამავალი...
ჩემს სიყვარულთან,
იდუმალთან და უცნაურთან...

ნუ დარდობ!..

იტირებ?
ცრემლად დაიღვრები.
იცინებ? –
სიცილით აივსები.
არ გინდა!
ნუ დარდობ,
ნუ სტირი, ნუ!..

ხანდახან მოვა აჩრდილი ჩემთან

ხანდახან მოვა აჩრდილი ჩემთან,
ხანდახან ვიგრძნობ შენს უცხო სუნთქვას,
ჩამისახლდები ძვირფასო სულში
და ჩემს სხეულში დაიდებ ბინას.
მაშინ სურვილი მიჩნდება ფრენის,
მაშინ დამათრობს სხვაგვარი გრძნობა,
მაგრამ ეს წუთი მალე გაივლის
და სიმარტოვის ამიტანს თრთოლვა;
მე მიმატოვებს ყველა სულდგმული,
აჩრდილები და ხორცშესხმულები,
მერე უფსკრულში გადამაგდებენ,
გამატარებენ ათას ქარცეცხლში.
როცა, ყველასგან მიტოვებული,
გზააბნეული დავეხეტები,
კვლავ შემიჩნდება შენი აჩრდილი,
კვლავ ჩემ სხეულში დაბინავდები...
ამაოდ ველი განმეორებას,
ამაოდ ველი შენს დაბრუნებას,
ნუ მიმატოვებ – ერთს გევედრები,
მე, შენ კი არა, შენს აჩრდილს ველი...

ორი სიტყვა

ორად ორი – ორი სიტყვა,
ნუთუ, დარჩეს აუხსნელი?
იქნებ, ჯობდეს სიკვდილამდე –
სიკვდილამდე სულ არ მითხრა.

ჩუმი დარდი და ნაღველი
გულს მიღრღნიდეს, მქონდეს ფიქრად;
ბევრი რამე ისე ხდება,
ჩვენ არ ვიცით, ჩვენ არ გვინდა.

ბევრ დარდს სახელს ვერ დაარქმევ,
ვერ გახდები საფერ მისნად,
გაურკვეველ ეჭვად გვიჩანს,
ჩვენდა ჭირად, ჩვენდა ჭირად.

კიდევ ერთი – ერთი სიტყვა
კიდევ ერთხელ, მინდა გითხრა...
მავიწყდება, მავიწყდება...
გახსენება აღარ მინდა...

შეიძლება...

შეიძლება მე ამეღამ გავგიჟდე
და შეშლილი დამიძახოთ ქალი...
შეიძლება მე აქედან წავიდე
და არაფრის არ დავტოვო კვალი...

ჩემი ფიქრი არ არსებობს რაკი,
გრძნობა ჩემი გაიყინა რაკი,
ჩარაზული გამოაღეთ კარი,
შენობები ვერ დაიტევს აჩრდილს...

სადღაც მიჰქრის ანთებული კვარი,
ახალ მნათობს გზას უთმობენ ცაში,
მე არა ვარ ამ მიწის და ამ ცის...
ვარსკვლავის გზას მიუყვება კვალი...

რომ სიყვარული გადამირჩინა...

უძილობისგან დავღალე ღამე...
მეჩურჩულება – არ მაძლევს საშველს,
ეს მერამდენედ მახსენებს მთვარე:
ამ სიყვარულზე რომ გაიგებენ,
იტყვიან აუგს... ზურგს შეგაქცევენ:
დაგწყევლის დედა...
დაგმობენ სხვებიც,
წინ აღგიდგება ერი და ბერი,
უფსკრულთან მისულს არ დაგინდობენ,
გაგატარებენ ათას ქარცეცხლში...
მე უკმეხობით ვაკვირვებ მთვარეს:
კაცის სულისგან არ ველი საშველს,
ღმერთო, მიშველე,
ღმერთს ვევედრები:
რომ სიყვარული გადამირჩინოს
და დაიფაროს მისი ხელებით...
ჩანს ეჯვიანი და გადახრილი,
სევდა უღამებს დამრეცილ თვალებს,
ღამენათევი და გადაღლილი
გაკვირვებული დამცქერის მთვარე...

...იმ ღამით... ჩემთან მოვიდა ღმერთი...
ულამაზესი და უწყნარესი...
განათებული... მან მითხრა სიტყვა:
რომ სიყვარული გადამირჩინა...

მე მოვალ შენთან...

მე მოვალ შენთან
და გადაგიშლი გულს–
გეტყვი: ძვირფასო,
გავიდა წლები...
და მოგიყვები სიცოცხლის ბოლოს,
როგორ მიყვარდი, როგორ მიყვარდი...
ალბათ, მიხვდები, როცა შეგხვდები,
რომ დაუნდობლად მათოვდა წლები;
გამოვიარე ზამთრის სიცივე,
დაუნდობელი ყინვა და სუსხი...
ქარშიც, წვიმაშიც და ქარიშხალშიც
მე შენ მახსოვდი...
მე შენ მიყვარდი!..
როგორც გამზრალი – საბრალო ჩიტი,
შევიკედლე და ჩავბერე სული,
დიდი სიფრთხილით და მოფერებით
გადავარჩინე ეს სიყვარული!...
..,მე მოვალ შენთან
და გადაგიშლი გულს,
არ ვიცი, „ტკივილს იგრძნობს თუ არა“,
მაგრამ, მე მჯერა, გამოწრთობილი
და გამოცდილი ეს სიყვარული
ზეცაში ავა!..

ახდენილი სიზმარი

მზე მონასტრის ლაჟვარდს აელვარებს – ფერავს,
ზურმუხტისფერ მთაზე ჩემს საბედოს ვხედავ;
თეთრი რაში მოჰქრის, მთაგრეხილებს კვეთავს,
თეთრი ბედაური მოაქროლებს მხედარს,
გული სიხარულით, სიყვარულით ფეთქავს...
გვირილების ველზე ჩვენ გვერდიგვერდ ვდგევართ;
გუნდი მღერის, გალობს და ფერხულში დგება,
მათი შეძახილი მთა–მწვერვალებს სწვდება,
ჩვენც ამ წრეში ვცეკვავთ ფრთები გამოგვესხა...
ვხედავ, შორით ცაზე, უცხო სხივი კრთება;
ვიღაც გამალებით სამრეკლოს ზარს რეკავს...
ყველაფერი მყისვე თავდაყირა დგება–
ბედნიერი წამი დაუდევრად ქრება;
ჩემს საბედოს მკერდზე მძიმე ჯვარი წყდება,
გაოგნებულს, იგი შიშველ ფეხზე მხვდება–
ტკბილი ზმანებები სიზმარშივე ქრება.
გამომწყვდეულს, სატრფოს ჯურღმულებში ვხედავ;
მხოლოდ გაოცება, დანანება მრჩება...
ჩვენი ერთად ყოფნა არ ინება ღმერთმა...
ჯვარი მოვიძებნე – გვიან გამახსენდა...
„ჯვარი დავკარგეთო" – ჯვარს დაეძებს ყველა...
ვხედავ, ანგელოზი უფალს ევედრება...
მალე, ყველაფერი ბურუსივით ქრება,
მერე... ყველაფერი ცხოვრებაში ხდება:
ჩემი ოცნებები როცა ჩაიფერფლა,
როცა ნანგრევები თავზე ჩამომექცა,
ჩემმა ანგელოზმა ვეღარ გამიმეტა,
დიდი სიყვარული უფალს შეავედრა,–
ჯვარი მაპოვნინა, გული გამიმრთელა!...

რატომ მიყვარდი?

რატომ მიყვარდი? – გეტყვი სიმართლეს,
შენ გიზიდავდა სულის სიმაღლე,
აზრი გიჭრიდა ჭკუა–გონება,
არ ხარბდებოდი ოქრო-ქონებას.

რატომ მომწონდი? – გეტყვი სიმართლეს,
არ გატყუებდა ყალბი სიმაღლე,
სხვისგან სამართალს შენ არ ელოდი,
გამუდმებულად შენს თავს ებრძოდი.

რატომ მიყვარდი? – გეტყვი სიმართლეს,
შენ გაკვირვებდა უფლის სიმაღლე,
შენ მის კარებზე აკაკუნებდი
და მის სამართალს ელოდებოდი.

რატომ გელოდი? – გეტყვი სიმართლეს,
შორეული გზის სხივი - სინათლე
აღმოგაჩინე და დაგინახე...
მე შენ მიყვარდი, მე შენ მომწონდი,
მე შენ ყოველთვის გელოდებოდი!..

პოლიტიკას და პოლიტიკოსებს



Allstars
7



2011 წლის 26 მაისის ღამის ქრონიკა "ემერჯენსის" საავადმყოფოში

ემერჯენსის კლინიკაში თავგაჩეხილი და დარბეული მომიტინგეები შემოჰყავთ...

ასევე შემოიყვანეს დაზიანებული პოლიციელებიც. სიტუაციას სპეცნაზელები აკონტროლებენ...

არავინ არაფერს იძახის, არავინ არაფერს ამბობს, ისედაც ყველაფერი ნათელია...

მხოლოდ, დროდადრო, ერთ პალატაში მყოფი დაპირისპირებული ბანაკის წარმომადგენლები, სისხლიან თვალებს უბრილებენ კბილების ღრჭენით ერთმანეთს...

ექიმები ხმაამოუღებლად მუშაობენ... სანიტრები გამალებული წმენდენ იატაკზე დაღვრილ სისხლს...

ვხედავ, საკაცით მოჰყავთ თეთრწვერა მოხუცი, რომელსაც თავიც და სახეც სისხლში აქვს მოთხვრილი... ნაზი, მშვიდი, მოსიყვარულე მისი თვალები არავითარ წყენას არ გამოხატავდნენ. სადღაც ერთ წერტილში იყურებოდნენ... ეს სამყარო მისთვის თითქოს უცხო გამხდარიყო... ამის ხილვამ წონასწორობა დამაკარგვინა...

ამ წუთში, სწორედ აქ... სიცოცხლეს ელფერი დაეკარგა... გადავინაცვლე, სადღაც შორს, მიღმა სამყაროში და ვიმეორებდი ჩემთვის:

„თქვენ მოევლინეთ სამყაროს როცა...
მაშინ, მას შემდეგ და რა ხანია,
დაუზოგავად ერთმანეთს ხოცავთ.
რა არ გასვენებთ, რას ვეღარ იყოფთ,
ძმა ძმის წინაშე რატომ ამხედრდით?
მაშინ, მას შემდეგ და რა ხანია,
ერთი ნაბიჯით წინ ვერ წახვედით!..
საკუთარ ხორცის ტანჯვა წამებით,
თქვე ცოდვის შვილნო, რით ვერ გაძეხით?"

...თავგაჩეხილი მოჰყავთ მოხუცი...
მას ვინ შეეხო – ნეტა რა ხდება?!
და უნებურად წამოვიძახე:
ვაი, სირცხვილო, ძვალის დატეხვა!..
...მოხუცმა მშვიდი, წყნარი თვალებით,
თითქოს იმწამსვე სულში ჩამხედა...
მე ვერ ვიცანი და გამიკვირდა:
ასე კეთილი და ახლობელი,
ვინ შემომცქერის მისი თვალებით,
მშობელი მამა? ძმა? ახლობელი?..
და მაშინ მივხვდი!..
ო, საქართველოვ, თავგაჩეხილო,
ფერდშელეწილო, გულში დაჭრილო!..
და განწირულო!..
ვაი, რომ გვიან,
ვაი, რომ გვიან,
ვაი, რომ მაინც,
მე შენ გიცანი!..
გამოვედევნე საკაცეს უკან,
დიდხანს მივსდევდი თვალცრემლიანი...
ის აქ იყო და არ იყო აქაც...
განთიადისას... ბურუსში გაქრა!..

26.05.11

გამოიღვიძე, საქართველოვ!..

აღსდექი საქართველოვ!..
მ ი ძ ი ნ ე ბ უ ლ ო,
აღსდექი ერო!..
და ღირსეულად შეეგებე
სიკვდილს მოარულს!
სისხლი დაღვარე ალისფერი –
წ ა უ ბ ი ლ წ ა ვ ი ...
რომ ძველებურად იყივლოს
და კვლავ იჩქრიალოს!..
შენ, მეტი მტერი არ გყოლია, დროს ნუ დაკარგავ,
შენმა უღირსმა შინაურმა მტერმა დაგჩაგრა:
როგორც ყოველთვის, შენს ციხეებს კლიტე ახადა,
როგორც ყოველთვის, განსაცდელი გაგიორმაგა...
ამ უწმინდურმა საქართველო ფურთხში განბანა,
ამ უწმინდურმა საქართველოს ტანზე გახადა,
ამ უწმინდურმა საქართველო ჯოხზე ააცვა,
ახლა უნდა, რომ ყოველ ქართველს სული ააართვას,
რადგან ავხორცმა, უწმინდურმა დედამ დაბადა...
ერო და ბერო,
გ ა მ ო ი ღ ვ ი ძ ე!..
დროა განგაშის, დროა ზარების!..
აანთე სისხლი!
აანთე გულით,
ყველა იმედის, ყველა სანთელი!..
დროს ნუ დაკარგავ,
დროს ნუ დაკარგავ
და გადაგარჩენს შენი მფარველი!..

27.05.11

დღეს შენი დროა!

დღეს შენი დროა!..
ეს შენი დღეა!..
ზეობ, სატანავ!..
ეს მოსახდენი, ვაი, რომ მოხდა!..
მოხველ და მოგყვა ცოდვილთა ხროვა,
გულამაზრზენი ხორხოცი, როკვა.
შენ გაიმარჯვე ეშმაკის ძალით,
შენ „დიონისეს" ღიმილი მოგყვა...
აღარ დაინდობ კეთილს და მოყვასს,
შენ ხითხითს მხოლოდ სიკვდილი მოაქვს!
სისხლით, გვამებით ვეღარ გაძეხი
და ნთქავ ყველაფერს, რასაც წახვდები...
დაგიძიძგნია სისხლიან პირით,
ჩემი სამშობლო – ღვთისმშობლის ღირსი.
სძინავს?! – ქვეყანას საღათას ძილით,
ეშმაკმა მართლაც მიიღო წილი?!
ვერ გაუყვია, ბოლოს და ბოლოს,
ჩემი სამშობლო კეთილს და ბოროტს...
გადაშენდები, წყეულის მოდგმავ!
რადგან სიკვდილში დაეძებ სიკვდილს...
საკუთარ სხეულს დაფლითავ, მოკლავ,
„შენი დრო" როცა თავის თავს მოჯამს!

15.01.11

კაცის ღირსებები
რადგან გაიწირა!..

სული სიმწარისგან ისე დამიმცირდა,
ჩემი სათნოება, ვგრძნობ, რომ დამიმწირდა,
კაცის ღირსებები რადგან გაიწირა–
ჩემი კიდობანი რადგან ჩაიძირა!..
გულმა ჯრილობები ვეღარ დაიმშვიდა,
მტერმა იმედები ისე დამიმიწა,
მხედარს დავემგვანე მორთულს ბრძოლის წინათ,
მძიმე საჯურველი მხრებზე დამიმძიმდა...

29.05.11

თქვენ ხართ გმირები!

(ნიკა კვინტრაძის და სულიკო ასათიანის ხსოვნას)

ისტორიას ხომ ყავდა გმირები
და შეწირული თქვენებრ მრავალი,
სამშობლოს ფიქრით განადიდებით,
თქვენა ხართ კიდევ ერთი ზვარაკი.

სისხლი ხომ სისხლით არ იბანება,
ნეტავ, საშველი როდის დადგება?..
დაჭრილი გული თუ გამრთელდება,
ჩემი სამშობლო თუ გადარჩება?..

მგლოვიარეა
ახლა ქალაქი...
ხვალ რა იქნება,
ისევ ღალატი?..

ახლა, იმედი ამ გულს ამაგრებს...
ხვალ, საქართველო ლოცვას აღავლენს,
თქვენი სამშობლო აღარ გაგწირავთ,
ხვალ, საქართველო გულში ჩაგიკრავთ.

30.05.11

ვერ გაპატიებ!

უთანასწორო თუნდაც,
ბრძოლაში თუ დამამარცხებ,–
მე გაპატიებ...
ღალატს!
სიშლეგეს!
ფუძის ამოთხრას!
ქვეყნის დაქცევას!
ვერ გაპატიებ!..

23.06.11

ქაღალდის ტყვია

დიდი ხანია ჩვენს თავზე,
ტრიალებს ცოდო–ბრალია,
ტყუილი გახდა სიმართლე
და მრუდე სამართალია.

ვერ მივაწვდინე ჩემი ხმა,
ვეღარ ვამტვრიე კარია,
თემიდამ სმენაც დაკარგა,–
მე მოთმინების ძაფია.

ასეთი საქმის ჩამდენებს,
ტყვია ახალო – ახია.
ვერ შევძელ, ვერ გავიმეტე,
ვეღარ აღვძარი ბრალია...

ამ უთავბოლო ბრძოლაში
დავჭმუჭნე გულის ძარღვია,
ქაღალდის ტყვია გავჭედე -
ჩემი „ფარი და ხმალია"!..

23.04.12

„მ“–ას

(ხალხურიდან)

ბრიყვსა, ტექნოლოგიები პიარს როგორ აგიგებსა?
სიტყვა – სხვაა, საქმე – სხვაა,
ხალხი როგორ გაგიგებსა?!
ააოხრე ეს ქვეყანა,
ნეტა ვინ არ გაგინებსა.
თუ არ გჯერა, მალე ნახავ,
როგორ წესსაც აგიგებსა!..

25.08.12

რა ჰქვია ამას?..

(„მ“–ას)

ცხოვრების ეშხში შესვლა–გაბნევა
შეუცნობელი ბანგის დალევა,
ყურის დახშობა, თვალის დაფსება
და ღირსებების ფეხქვეშ გათელვა;
აი, რა არის ცოდვით დაცემა,–
გზასაცდენილი კაცის წახდენა!..

05.03.11

გაუცნობიერებელი ინტიმი მტერთან

თქვენ დაგიბნელდათ გონება ყველას,
ბოდვას დაარქვით „სხვაგვარი" ხედვა.
ახლა თქვენს საქმეს, უკუღმართ ქცევას
ლომეხუზების* საკვები კვებავს!

მიდი–მოდიან თქვენს საბუდარში,
არავინ უშლის კვერცხების დებას,
თქვენ კი იფიქრეთ, წინაშე მტერთა
ახანგრძლივებდით თქვენს მეუფებას.

---

* „ლომეხუზომანია" - გაუკუღმართების საკმაოდ უცნაურ და შემზარავ მაგალითს წარმოადგენს ხოჭო-ლომეხუზას მიერ ჭიანჭველების ბუდის დაპყრობა. ერთი პაწაწინა, ხეშეშფრთიანი ხოჭო ლომეხუზა შეაღწევს თუ არა ჭიანჭველების ბუდეში, იქვე შესანსლავს კარის შესასვლელში მდგარ იმ ჭიანჭველებს, რომლებიც მცველად უდგანან ნაშიერის გამოსაზრდელ ადგილებს. აქედან იწყება მათი უბედურება. ხოჭო ლომეხუზა კვერცხებს დებს სწორედ ჭიანჭველების ნაშიერის გამოსაზრდელ ადგილებში ისე, რომ დანარჩენი ჭიანჭველები ვერც კი ამჩნევენ და კვებავენ სხვის შთამომავლებს... ხოჭოების მატლები იმდენად ღორმუცელები არიან, რომ ჭიანჭველების მატლებსაც ჭამენ, მაგრამ მასპინძლები ყველაფერს პატიობენ მათ, რადგან ლომეხუზა ყოველთვის მზად არის, ასწიოს უკანა თათები და ჭიანჭველებს მიუშვიროს ტრიქომები - ნამიანი ბეწვები. ჭიანჭველები ხარბად ულოკავენ ლომეხუზებს ამ ადგილებს, მაგრამ ამით ისინი სასიკვდილო შარბათს სვამენ. ადგილობრივი ჭიანჭველები ეჩვევიან ტრიქომების გამონაყოფს და საკუთარი კოლონიის აღსასრულსაც ამზადებენ - გაუკუღმართებული და გადაგვარებული ფსიქიკის წყალობით...

გადაივიწყეთ წინაპრის საქმე
და რეალური დაიხშეთ სმენა,
თქვენი ერთგული გასწირეთ ყველა,–
თქვენ უარყავით მშობელი დედაც.

უფალო, გმადლობ, გამეხსნა ხედვა,
შენი დამანდე კეთილი ნება,
ვერ დააბნელებთ ჩემს ნათელ ზეცას,
თუნდაც გაგიჟდეთ სუყველა ერთად!..

29.09.11

გიგა ბოკერიას

სიტყვები ჩაგიყლაპავს,
წარსულიც ჩაგიყლაპავს!..
ნეტა ვინ დაგწყევლა,
რა წერამ აგიტანა?!
დროს კვნეტავ კბილით
და ანადგურებ?!
საპყარო მიწის!...
გესმის? ფეხის ხმა,
თქარა–თქური გარკვევით ისმის!..
დრო გადაგივლის,
დრო ფლოქვებით ჩაგტკეპნის უმალ,
გაგანადგურებს,
დ ა უ ნ დ ო ბ ლ ა დ
უგნურს და გულქვას!..

27.07.11

❖❖❖

**წიკლაურს, მინაშვილს, გაბაშვილს,
უგულავას, დარჩიაშვილს, თაქთაქიშვილს,
ნადირაშვილს და მისნაირთ...**

განგებამ მოგცა, დაგიმზადა საგზალი როყვით,
ცოტა ხომ უნდა გაისარჯო გზადაგზა ცოხნით,–
სუყველას როდი აჯილდოვებს ნიჯით და ცოდნით...
თანდათან ფრთებიც შეგიღუნღლა – წინსვლის და
სრბოლის,
ტახტი დაგიდგა მოგიმზადა – შენნაირ მოდგმის,
გაგათამამა, მოგახურა მანტია ძონძის...
შემდეგ? – სასმისი მოგაწოდა დამცრეულ გრძნობის...
კიდევ? – იზრუნა დაგამსგავსა ურცხვსა და ცოდვილს.
ნუ ჩქარობ, უნდა შეეჩვიო მოთმენა ლოდინს,
ცოტაც აცადე, გაგიჯედავს – გიმზადებს ბორკილს!..

16.08.12

ზურა ადეიშვილს

„რას დაგამსგავსა არქიფომ“? – უჟმურთა სენი შეგყარა,
ისეთი საქმე დაგმართა, თითქოს დაგწყევლა დედამ.
გამოედევნა ვარსკვლავებს და თავად იქცა ხელადა,
ევროპის კარიბჭეებთან სიტყვა აფრქვია მეხადა,
სიცრუე გააპიარა, ცამდე აზიდა „ბელადმა“,
ფულით და დაპირებებით „დემოკრატებიც“ შეშალა,–
ილუზიაში გაგხვია შენაც და მთელი ქვეყანაც!..
ვირთხა გაგცია ლომკაცად, – შენც დაიჯერე ბედშავმა...
სათქმელი მეტი რომ არ ვთქვა – ჯობდა, რომ ეს არ გეკადრა,
დაგაკარგვინა სამშობლო, შენი ხალხი და ქვეყანა...
...ვეღარ გაუძელ გამოცდას, პატარამ, სუსტმა, მკვეხარამ!..

18.02.13

...მე რომ მყავს მტერი...

მე რომ მყავს მტერი...
არა აქვს სქესი,
გვარი და რჯული და არც სახელი...
მომეცით ხმალი!
სატევარი!
მახვილი!
თოფი!..
და ვის ვესროლო?..
სახე არა აქვს, ფორმა და გული...
ან სად მივეჯრა მტარვალს და ურდოს?
ჩავცემდი ლახვარს!
ს ა უ ბ ე დ უ რ ო დ!
არც საზღვარი „გადმოულახავს"...
ხმა მოღუღუნე, ტკბილმოუბარი...
ჩემს ნაბიჯებს თვლის,–
თვლის და აგროვებს!..
კუთხე ყურეში ის ყველგან არის,
ჩემს მაგივრად ზის,
წერს და აზროვნებს!..

20.04.11

ფრთხილად, მარიონეტებო!..

მათ, ვინც ჩვენს კულტურას ანგრევს
თავისი „მოღვაწეობით და შემოქმედებით“.

ჩვენ შეგვშვენოდა დამპყრობლებთან ბრძოლა გმირული,
გვაძლიერებდა **წამებული** ასიათასი.
ახლა კი მოდის განსაცდელი სახეშეცვლილი,
ახალი ჯირი, ვერაგული და შემზარავი!..
გსურთ! აღასრულოთ სამარცხვინო თქვენი გეგმები,
ხელის მოქნევით დაანგრიოთ ჩვენი სიმდიდრე!
ვერცერთ დამპყრობელს, თუნდაც სასტიკს, ვერ შეგადარებთ,
თქვენთან ბრძოლაც კი დაგვამცირებს, დაგვასამარებს!..
თქვენ იკვებებით, უსუსურნო, ბილწი ბალღამით,
გადმოგდებული, ნათხოვარი, სხვისი მათარით.
ვინ გამოგთითხნათ – აგაშენათ ბილწი მასალით,
საიდან მოდის დაწყევლილი თქვენი მარაზმი,
რა შთაგონებას მივაწერო თქვენი ნასაქმი
ან ისტორიას რა უფლებით უნდა შეეხოთ?!..
თქვენი ნაღვაწი – მკრეხელური შემოქმედება
კაცობრიობის ნაგავსაყრელს მალე აავსებს!..
...არც კაცი გქვიათ და არც ქალი, უსახურებო!..
მოგზავნილებმა, დემონებმა ხორცსხმა დაიწყეთ.
დაწყევლილი ხართ, დაგმობილი – თავად უფლისგან,–
მართლაც, ეშმაკის ნაშიერნო, არაკაცებო!..
პრეტენზია გაქვთ, გააშავოთ თეთრი ფურცლები,
გადმოანთხიოთ მომწამლავი თქვენი აზრები.
გადაშენდებით! კლონირების სუსტო კლანებო,–
კაცობრიობის სამარცხვინო ეგზემპლარებო!..

07.12.07

უცნაური ტანდემი

არ მიკვირს, არ მიკვირს,
სხვა რამე არ მიკვირს!
სხვა საკვირველება არ მახსოვს, არ ვიცი...
თუ მკითხავთ, რა არის?
ანდა, რომელია?..
ნუ მეტყვით, რომ მარტო ბრაზი მომერია...
ყველასთვის ნაცნობი -
დადგმული ნომერია:
„ქალი – ბოკერია,
კაცი – ბოკერია".
რომელი, რომელია?
ეგ ერთი ოხერია!..
ხალხისთვის, ის, ერთი
ჯუჯყის მორევია!...

25.04.13

დავით ბაქრაძეს

რომ გაკვირდები, გენიოსს ჰგავხარ,
ეგ აზროვნება ბევრს შეშურდება,
თუმცა, რომ არა!..
შენისთანები დიდმა გოეთემ
ჰომუნკულუსის* კოლბაში ჩასვა;
ვეღარ მომწიფდი დედის საშოში,
ვეღარ შესდექი ნორმალურ კაცად!...
არ გაგაჩნია ფორმა და ზომა –
შენი შემქმნელიც ვერ არის ნორმად!..
თუ არ მოიშლი ხოხვას და გორვას,
სადმე დასტოვებ მაგ „გენიოს" თავს,
სადმე მიამტვრევ მაგ შუშის კოლბას!..

19.04.13

---

* ფაუსტის მიერ მიტოვებულ ლაბორატორიაში, მისმა შეგირდმა, მეცნიერ-ექსპერიმენტატორმა ვაგნერმა „ნივთიერებათა აღრევისა" და „კრისტალი--ზაციით" - მყარ და ერთფეროვან მდგომარეობაში გადაყვანის მეშვეობით (მოძრავ-ცვალებადი სამყაროს კანონზომიერებების გაუთვალისწინებ-ლად), შექმნა ჰერმეტულად დახშულ კოლბაში გამომწყვდეული, არანამ-დვილი, უხორცო და სქემატური - ხელოვნური არსება „ჰომუნკულუსი", რომელიც ანტიკურ ბრძენთ - ფილოსოფიის მამებს თხოვს რჩევას, თუ რო-გორ იხსნას თავი კოლბისაგან და „ნამდვილად იშვას"...

ნიშანდობლივია ის, რომ იგი თავიდანვე უსიცოცხლოდ და მკვდრად შობილად მოიაზრებოდა და დედამიწაზე ფეხის დადგმა არ ეღირსა...

ზურაბ ჯაფარიძეს

ტუჩებს აცმაცუნებს,
თვალებს ახამხამებს,–
დანარჩენს ვერ გეტყვით კარგს.
წიგნები ბევრი ვფურცლე,
მითებიც გადავშალე,
ვერაფერს მივამგვანე,
ვერაფერს მივახამე.
და ბოლოს...
გაყინულ სკულპტურას მივამსგავსე...
რომელსაც... რატომღაც?..
ტუჩები მიაკერეს,
რომელსაც რატომღაც?..
თვალები მიამაგრეს...

04.05.13

კაცი ყიჟინა!

(ახლობელს, მეზობელს
რა გითხრა „ძამია“...)

ამხედრებული,
ხმალამოღებული,
საით მიდიხარ?
ანდა, ვის ეომები?!..
–აკაკი, შეჩერდი!..
–აკაკი, შეჩერდი!..
მოგდევენ,–
გეძახის,
სამშობლოს ქედები.
ცხენებსაც ინდობენ დევგმირი მხედრები,
ნუ მოიხიბლები, მაცდური მხლებლებით!..
–აკაკი, შეჩერდი!..
–აკაკი, შეჩერდი!..
ხმა–ექოს გასძახის,
ხევები, კლდეები...
ნუ მოიხიბლები, მაცდური მხლებლებით!
ჯიუტი ჯენებით ქანცს წყვეტენ ცხენები!..

27.11.11

„პოლიტიკოს“ – ტაკიმასხარებს!

ტაკიმასხარებო, შეჩერდით!
შეწყვიტეთ დაცინვა, ლაყბობა...
რას იხდით?!
სანამდის შიშვლდებით, ნეტავი?..
სული რომ არა გაქვთ?!
თუმც იხდით ბოლომდე, – რაც გმოსავთ,
მეტი არც არაი გაბადით.
სხვასაც ხდით, თქვენნაირ გარეწარს– უმეცარს!..
რას მეტყვით?..
რა გითხრათ?..
დაცინვაც არ მინდა...
შეჩერდით, შეჩერდით!..
ს ა ნ ა მ დ ი ს,
ჯერ კიდევ,
გვიანი არ არის!..

20.11.07

❖❖❖

შესდექი, ბრბოვ!..
შენ, მხოლოდ მასალად
სჭირდები „გენიოსს“,
რომელიც შენს თავზე,
ვით ქვაფენილზე,
ფეხებით შესდგება,
ყოველთვის,
ყოველ დროს!..

28.01.11

❖❖❖

ჩემს ლექსებს ფსიქოზი დაემართა,
ჩემს ლექსებს ნერვები არ ჰყოფნის,
ამ ხალხს რომ „სიმუნჯე" დაემართა,
ვატყობ, რომ მე ყელში ამომდის!...

08.07.11

„ცნობადი" – „არაცნობიერებადები"

„ცნობადი სახის"
რა გითხრათ მაგრამ...
ამ თქვენს ქცევაში,
ამ თქვენს ყოფაში,
ვხედავ სახეებს არაცნობიერს...

25.04.11

ტელევიზიის ზოგიერთ თანამშრომელს!..

გამოპრუწკული, ტვინს უბნევს მასას,
გადაქცეულა ჯინკად და მაქცად,
ხალხის კუთვნილ ფულს აბნევს და ხარჯავს,
კარგა ხანია, რომ გვიგდებს მასხრად, –
რა ქვია ამ ქალს, მიხვდებით ალბათ!..

29.09.11

ვერ გამაკვირვებს...

სიშიშვლე მიკვირს?
არამც და არამც!
ვერ გამაკვირვებს
თქვენი სხეული.
ვფიქრდები დიდხანს...
და მიკვირს მარტო;
თქვენი სხეულის
სიშიშვლის გამო,
მე თქვენი სულის
სიშიშვლე მაკრთობს...

07.07.12

საკაკაშვილის რეჟიმს

თუ გაიმარჯვებთ – ეშმაკის ძალით,
ვიცი, ჩემს სისხლს რომ წვეთ–წვეთად დაღვრით.
ადამიანის თქვენ არ გაქვთ ძარღვი,
სულს ამომაძრობთ ოხვრით და ტანჯვით!..
ახლა, სხვა რამის არა მაქვს დარდი,–
ღმერთს ვევედრები – დაინდოს ხალხი...

27.09.12

აზრის უფლება

სჯობს, რომ არა თქვა
და თუ მაინც თქვი,
იქვე შეცდომაც დაშვებული არის უთუოდ!..
აზრი ვის უნდა?!
ვინ დაეძებს,
ანდა ვის აწყობს?!
აზრს დაცვა უნდა
იარაღის ძალით,
„მანქანით"!..
უიარაღოს, სუსტს, უმიზნოს, უმისამართოს
აზრი რად უნდა?!
სასაცილოა მისი აზრი და უადგილო...
აზრს აზრი აწყობს,
აზრი იცავს, აზრი განაგებს!..
თუ ზღაპრებს ყვები,
ბაიათებს, ანდა არაკებს,
არავინ გეტყვის: ჰეი, მეზღაპრევ,
დროა გუდას პირი გაუკრა!
მაგრამ?! – ვაითუ, გადაადგი ფეხი ნაკრძალში...
ნუ გაირჯები, ნუ დახარჯავ დროს მის დაცვაში.
...სასაცილოა, მაშინ აზრი და უადგილო...

28.05.10

„საახალწლო სალაღობო"

დაპატიმრებული, შეურაცყოფილი,
სულამოძრობილი ქართველების
2011 წლის ახალი წელი...

სანამდის სატანას დორბლები ახრჩობდა...
საკუთარ ბორკილებს ქურაში აწრთობდა,
მხდალმა და ლაჩარმა დაკარგა კაცობა...
რა მოხდა?..
– დაფლითა, გათელა!
– სიმართლე ავხორცმა.
რა მოხდა?
სირცხვილმა სიკვდილს რომ აჯობა?
აღზევდა ღალატი, დასმენა, ლაჩრობა!..
საბრალომ ბორკილი თავად რომ გაჯედა,
ადგა და ჩლიქოსნებს ფერხულში ჩამოჰყვა!..
სად არის ქართველი? – რა სასაცილოა...
ვის უყვარს მამული? – რა სასაცილოა...
გათელეს მამული!
არენა არ ჰყოფნით!..
სცენიდან სცენაზე ლიფტებით დაჰქრიან!
გამოდით!.. გამოდით!.. ახალი წელია;
ტაკიმასხარები ყირაზე დგებიან!..

12.02.11

„ჰუმანიტარული“ დახმარება ქართველებს

სულ არ მჯირდება შრომა და გარჯა...
ხელს რომ უყურებს ნახევრად გაწვდილს,
ლუკმას ნახევრად დაღეჯილს მაწვდის...
პატარაც კიდევ რომ მოვინდომო,
ლამის საჯმელიც მან მოინელოს...
ბრიყვი თუ იტყვის მათზე აუგებს,
ასეთ მოყვარეს ხელს ვინ აუქნევს?
ასეთ მოკეთეს ვინ ეტყვის უარს,
ვის არ ეყოფა ამისთვის ჯკუა?..
...ასე ვდნებით და ვპატარავდებით...
მტერს უბრძოლველად როგორ დავნებდით?!
ლაღად მოქნეულ ფრთებს ვინ დაეძებს,
ჩვენ დავემსგავსეთ მფორთხავ არსებებს...
ლამის უფსკრულის ფსკერზე დავეშვეთ!..

10.07.09

„გონივრულ ზღვარს" მიღმა

უფლებაშელახული ქართული საზოგადოება.
პატივაყრილი კონსტიტუცია,
ჯკუაშერყეული პრეზიდენტი!..
და თავს მოხვეული კოაბიტაცია...

კაცი კაცს რომ კლავს, არ ახალია,
პატივაყრილიც ბევრი გვინახავს,
თუმცა საწყენი, დასანანია,
პოლიტიკა რომ საწამლავია!..
ახლა ამ თამაშს რა ჰქვია ნეტავ?–
რა მასკარადი გაგიმართიათ,
რატომ?! სხვის თამაშს თამაშობთ ყველა;
ჯკუა–გონება დაგიკარგიათ.
ჩაგონებებით ფონს ვერ გავედით,
ნეტავ, თუ არის სადმე საშველი.
დიდი ხანია ყელი გაუშრა,
„წყაროს" დაეძებს ახლა ქართველი!
...წყარო დაშრიტა – „ბრძენმა" ევროპამ?!
სიმართლე „დევებს" გაუტაცნიათ?!
ცისკარა ჯურში ჩაუძახნიათ?! –
ვაგლახ!.. სიბნელეს გაუმარჯვია!..

28.03.13

დაუცველი ფიგურები...

ფიგურები ამ ჩვენ აზრში
თავისთავად იჯერ ადგილს,
არც დაცვა ჰყავთ, არც პატრონი,
ზოგი ადის, ზოგი ჩადის...

ვალაგებთ და ვახარისხებთ,
სათითაოდ ყველას ვჩიჩქნით,
რომ ჩვენც გვიკვირს, საბოლოოდ
დავალაგეთ რა მოტივით?..

არც ჯადრაკის დაფას არ ჰგავს,
აქ არ არის ფარი – დაცვა,
ფიგურები დაუცველად
მოძრაობენ უფრო კარგად.

პირველობას ვინც იკავებს,
ის ყოველთვის აღებს კარებს,
სამუდამოდ რჩება გარეთ,
ამ თამაშში ვინც წააგებს.

თუმცა არც ერთს არა ქონდა,
გავლენა და დიდი სფერო,
ზოგი მოხვდა სულ მწვერვალზე,
ზოგსაც – გადაგდება ერგო.

(მივიხედავთ, მოვიხედავთ
და ის არის დასანანი,
ვინც ჩვენ ხშირად გადავაგდეთ,
თავზე სწორედ ის რომ გვაზის!..)

გადავწყვიტოთ ახლა ყველამ
და ეს არის, მართლაც, შველა,
დაუცველი ფიგურებით
ვითამაშოთ, მოდით, ყველამ!

20.02.12

❖❖❖

ახლა ვატყობ!..
თქვენს საფლავებს დავსტირი,
თქვენს კუბოებს
ორ ხმელ ფოთოლს მივაყრი...
გამიკვირდა,
გამიკვირდა ძალიან!
რატომ გავხდი
თქვენი ჭირისუფალი?!..

07.07.13

„ბოროტსა სძლია კეთილმან“...

ბოროტმა კაცმა თქვა:
„დამწყევლა ჩემმა გამჩენმა,
სისხლის მადინა ზღვა,
გესლი მიბოძა და ბოღმა,
ჯოჯოხეთი კი გზად.
ვერ გავახარებ მოყვარეს
და ვერც საკუთარ თავს,
ჩემი ხელებით ნათესი
უნაყოფოა მკაც.
არ მომცა შთამომავალი,
ქვას ვერ დავადებ ქვას,
ერთ აგურს ვერ ავაშენებ,
თუ შევძლებ – კაცის კვლას.“
კეთილმა კაცმა თქვა:
„სიკეთე ღმერთმა მიბოძა
სამყაროს ძალის მკლავითა,
მტრობით და შუღლით დანგრეულს
ვაშენებ კეთილ ძალითა,
არ ვზომავ დიდს და პატარას,
არ ვანაწილებ თვალითა,
სიკეთეს ვთესავ სიკეთედ,
ვიმკი ორ მოსავალითა!“

17.07.02

ამბები...

◆ ◆

ულირსი სიამაყე სიკვდილის ტოლფასია, ღირსეული კი - უკვდავებისა.

◆ ◆

ადამიანებს უნდა დაუმტკიცო, რომ არსებობ!..

◆ ◆

დგება მომენტი, როცა სიტყვები ძალზე უძლურია. დგება ენით აუწერელი მდგომარეობა... როცა სიტყვა მკვდარზე უფრო მეტად მკვდარია.

◆ ◆

ცხოვრების მანძილზე ადამიანის აზროვნებაში არის სამი მომენტი: გაღვიძება-გაღვივების, ცოდნის შეძენის და გაფართოების და მესამე, - ამოკრების, შეჯამების და ინტეგრირების. პირველი ორის ასაკი შედარებით განსაზღვრულია, მესამეს არავითარი ზომა, გამოვლენის ფორმა და ასაკი არ გააჩნია. არავინ იცის, ცოდნის შეძენის შემდეგ ადამიანის აზროვნება რა ფორმას მიიღებს...

◆ ◆

დასრულებული ნაწარმოები არ არსებობს. ის იმისთვის იწერება, რომ გაგრძელდეს...

◆ ◆

პოეზიაში ილუზიას და ფანტაზიას თავისი საზღვრები და ჩარჩოები აქვს...

◆ ◆

ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როცა მივხვდი... რომ ადამიანები დაეძებენ და აღიქვამენ ყნოსვა-გემოვნების ფერს პოეზიაში, ფერის ყნოსვა-გემოვნებას მხატვრობაში... რომ, საერთოდ, მადა ადამიანებს არასოდეს ღალატობს...

◆ ◆

ლექსს რა კვებავს გასაგებია, რას ჩაცმევ კი არა...

◆ ◆

მკვეთრი გრძნობები არის უხილავი საცეცების მქონე, რომლებიც უსაზღვროდ იზრდებიან და უსაზღვროდ გარდაიქმნ-გადაიჯაჭვებიან ერთმანეთში...

◆ ◆

ჩემი მატერიალური მდგომარეობის გამო, მოლაქუცელეკვად ვერ გადავიქცევი და არც არასდროს არავის დავემონები...

მატერიალური სიმდიდრე არ მომყოლია და ვერც წავიყოლებ!..

◆ ◆

მაკვირვებს, რატომ გვიცნობენ სხვები უფრო კარგად, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ საკუთარ თავს...

საკუთარი სარკე ტყუის?..

◆ ◆

ძალიან ბევრი დავკარგე, მაგრამ უფრო მეტი შევიძინე...

◆ ◆

ჩემი აზრით, პოლიტიკა ეშმაკის ერთ-ერთი უმძლავრესი იარაღია.

◆ ◆

შენი აღმაფრენა სადღაც რომ მიგაქანებს, არ უნდა გაჯიუტდე...

◆ ◆

ნებისმიერი ადამიანი უნდა მიხვდეს ან იგრძნოს პოეტმა რა დაწერა. თუ ვერც მიხვდა და ვერც იგრძნო, მაშინ ცუდადაა საქმე...

◆ ◆

ავტორის გულწრფელობას თავად ნაწარმოები გვამცნობს.

◆ ◆

პოეტური მინიატურები პოეტური მარგალიტებია.

◆ ◆

მუსიკა სამყაროს ხმაა და შეგრძნებათა ჯამია.

◆ ◆

კეთილშობილება წვრილმანებში უნდა ვეძიოთ...

◆ ◆

მაშინ, როდესაც საზოგადოებისათვის უქონელი და უბადრუკი ვიყავი, მომიხდა იმის მტკიცება, რომ მეც შემეძლო მატერიალური კეთილდღეობის შექმნა. დღეს, როდესაც ყველაფერი მაქვს, მიხდება იმის მტკიცება, რომ „ვაჭარი“ არა ვარ...

◆ ◆

გამუდმებულ ცდუნებებში მყოფი ადამიანი გადაწყვეტს რა, ხელი აიღოს ყოველივე მაცდუნებელზე, ვარდება გაცილებით დიდ ცდუნებაში, რომლისთვისაც სულაც არ კმარა ამქვეყნიური სიკეთეების დათმობა...

თუ ყველა დაადგება ამ გზას, მაშინ დასაგმობი და დასათმობიც არაფერი იქნება... ცხოვრება არ შედგება!..

არ შედგეს ცხოვრება, ამის გაფიქრებაც კი დანაშაულია... უმჯობესია დავიცვათ ზომიერება, რომლის უფლება მართლაც გვაქვს.

◆ ◆

მოზარდი თაობა შემიძლია შევადარო მზის ამოსვლას, ვიდრე ის ამობრწყინდებოდეს და განათებას დაიწყებდეს, მას მოუხდება თავისი ენერგიის დათოკვა და დარეგულირება.

იცოდეთ, თქვენა ხართ უძლიერესი მზის ენერგიის მატარებლები, რომლის საზღვრებში მოქცეული ზომიერება განაპირობებს „უმშვენიერეს სიცოცხლეს“ დედამიწაზე.

◆ ◆

ნაწარმოებში თუ შინაარს აამღერებ, ან აატირებ – მიიღებ ფორმას...

◆ ◆

კრისტალური სიცრუის ფანტაზია არც ჩვენ ბედოვ-ლათ პოლიტიკოსებს აღმოაჩნდათ. შუა გზაში ფანტაზია შემოელიათ... ესეც ხელოვნების დარგი ყოფილა...

◆ ◆

მორჩილებამ შეიძლება თავ-ბედი გვაწყევლინოს.

◆ ◆

ადამიანების მისწრაფებებში ქრის ბედისწერის სიო...

◆ ◆

რაგინდ ოცნებებმა გაგიტაცოთ, სჯობს, სიღარიბის და სინამდვილის ირგვლივ იტრიალოთ. მიწის ოხშივარი ცხვირიდან არ მოიშოროთ.

◆ ◆

მწვერვალზე ასვლისას ფრთხილად იყავით... არა იმიტომ, რომ მაღალია ან საშიშია, არა, იქ სხვანაირი გა-მოცდა გელოდებათ...

◆ ◆

ადამიანური ფენომენი გაურკვეველი, შეუსწავლელი და აუთვისებელი ყამირია.

◆ ◆

ადამიანში რეალობა ტალღისებურად, მომენტ-მო-მენტ გამოსხივდება, ამის შენარჩუნების ძალა კი არ შეს-წევს...

◆ ◆

ნურასოდეს ეცდები, საკითხი გააშუქო ბოლომდე, სულერთია, ამას მაინც ვერ შეძლებ, სჯობია, დავტოვოთ იდუმალების საბურველში გამოხვეული.

◆ ◆

მრცხვენია, წარმოვადგენდე რაიმეს, როცა ჩემს ირ-გვლივ უამრავ გენიალურ ადამიანს ვხედავ... სწორედ ისი-ნი მაწერინებენ...

◆ ◆

წმინდანები მარტო ღვთისმეტყველების გამო კი არ არიან წმინდანები, არამედ იმიტომ, რომ რაც საჭიროა, ადამიანების ენით გადმოსცემენ, დანარჩენი საიდუმლოს შენახვის პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებენ.

◆ ◆

როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება ადამიანის ცხოვრებაში, ამას ძალიან უბრალოდ, ჩვეულებრივად ვუყურებთ. ჩვენს თვალში ბოლოს და ბოლოს ყველაფერი უბრალოვდება, მაგრამ ეს ყველაფერი, თუნდაც უმნიშვნელო, ჩვენს გონებაში თავს იყრის და ფოკუსირდება. შემდეგში უმაღლესი ხარისხით ხდება მათი ხელახალი წარმოსახვა.

◆ ◆

ყოველივე ზედმეტი უნდა გადააგდო.

◆ ◆

წარმოსახვის დიდი უნარი, შესაბამისი ფორმის მოძებნის დიდი ტექნიკაა საჭირო – მკითხველს განაცდევინო, რაც გსურს...

◆ ◆

არ შემიძლია, ვიცხოვრო ფარისევლურ გარემოში იმიტომ, რომ ის მე არ მჭირდება. არ შემიძლია ყალბი ურთიერთობები და ვცდილობ დავწყვიტო ასეთი ჯაჭვები...

◆ ◆

ნიჭიერს ყოველთვის აჯობებს ჭკვიანი... ჭკვიანი ნიჭიერი კი ყოველთვის მოხერხებულად ხმარობს ლაგამს.

◆ ◆

არ შეიძლება, სიბრძნე ერთმა ადამიანმა წარმოშვას, ანდა მას მივაკუთვნოთ. მას ადამიანების თანაცხოვრება წარმოშობს და მისივე კუთვნილებაა.

◆ ◆

ქმედებას ხომ მოჰყვება უკუქმედება. ბუნების კანონზე უკეთესს ადამიანი ვერაფერს დააკანონებს. რომ მოძალადე დაიღუპება, არავითარი წინასწარმეტყველება არ სჭირდება ამას.

◆ ◆

ისე ვთქვი, ასე ვთქვი... შევეცადე რაღაც შემეცვალა...

◆ ◆

რატომღაც, ადამიანი, დღესდღეობით, თავისი გამანადგურებელი იარაღის შექმნით არის დაკავებული, არადა, სიცოცხლე სამყაროს განუსაზღვრელი სივრცის და პირობების რა პატარა ზოლშია მოქცეული და განა შეიძლება, ადამიანს მის მიმართ მოწიწება არ გაუჩნდეს?

მჯერა, სიცოცხლის შენარჩუნება მარტო ადამიანის ამბიციაზე არ იქნება დამოკიდებული...

◆ ◆

ბუნებას უყვარს ანალოგია...

◆ ◆

რთული ძალიან უბრალოდ უნდა გადმოსცე...

◆ ◆

...შედის ტანჯვაში კვლავ, რათა კიდევ ერთხელ იგრძნოს ნეტარების სიტკბო - არსი ჭეშმარიტებისა...

◆ ◆

მსოფლმხედველოებრივი საზრისის გარეშე დარჩენილი მეცნიერება, ერთ მშვენიერ დღეს, უსაზრისოდ დატოვებს თავად კაცობრიობის არსებობის საზრისს...

◆ ◆

შენში პატარა ბავშვი არასოდეს ჩაკლა - ეს თვითმკვლელობის ტოლფასია.

◆ ◆

არასოდეს იფიქრო, რომ რაიმე აღმოაჩინე და არ გაგიხარდეს!..

◆ ◆

ქართველები ნიჭიერი ხალხია...

დახატეთ, დაწერეთ ლექსები და პოემები, შექმენით მუსიკა, რაც გნებავთ, ოღონდ! – საკუთარ დედებს ნუ შეაგინებთ!..

◆ ◆

აგრესია მოთხოვნილებებში და განწყობილებებში უნდა ვეძიოთ, განწყობილებები კი მატერიალურ საფუძვლებში... ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური განწყობილება - აუცილებლად ფიზიოლოგიურ განწყობილება-გადაწყობაში. ფიზიოლოგიური გადაწყობა ესაა ონტოგენეზის განვითარების თანმდევი - მემკვიდრულ საფუძველზე აღმოცენებული.

◆ ◆

ბავშვი რეალურობის საზღვრებში უნდა იზრდებოდეს. თავისი სახლის კარიდან გასული, იგი უამრავ აგრესიას წააწყდება. აგრესიის სტერილიზაციის ჩატარებას ნუ შევეცდებით.

◆ ◆

დასრულებული იდენტიფიკაცია ადამიანის სამოქმედო სქემად - პარადიგმად გვევლინება, რომელიც დროთა განმავლობაში გაძვალებას განიცდის, თუმცა ადამიანის ინტელექტიდან, გენეტიკური განწყობილებიდან და ღვთიური მადლიდან გამომდინარე გამონაკლისებიც არსებობს.

◆ ◆

ქვეცნობიერება შეიძლება შევადაროთ მძინარე ვულკანს, რომელიც ქერქქვეშ მძინვარებს და არ ჩანს, მაგრამ ის შეიძლება, ერთ დღეს, სავალალოდ, გამოჩნდეს...

◆ ◆

რა სულითაც იწერებოდა ფსალმუნები იმ სულითვე უნდა იკითხებოდეს.

◆ ◆

ადამიანის კვლევის, შესწავლის თანამედროვე ტექ-ნოლოგიები, გენეტიკა და თავად კლონირების სენსაციუ-რი მეთოდები ფუჭი და ამაოა, მის დაუკავშირებლად სუ-ლიერი ზემოქმედების და სულიერი განვითარების მოვლე-ნებთან, რომლის მეთოდები, ფაქტიურად, არ გასცდენია უძველესი აზროვნების, - ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის საზღვრებს.

სულიერი განვითარების ნიშნები სრულებითაც არ შეინიშნება სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის საჭირო ტექნოლოგიების პარალელურად. ადამიანის გარეგნობის (ესთეტიკის) დახვეწასთან დაკავშირებით ტექნოლოგიების განვითარება, სულიერი სამშვინველის დეგრადაციასთან ასოცირდება.

◆ ◆

ისეთ პატარა არსებას, როგორიც ადამიანია, არ უნ-და ჰქონდეს ცოდნის პრეტენზია სამყაროზე, ან თავის თავზე – დასრულებულად გამოაცხადოს ან დაბეჯითე-ბით ამტკიცოს პარადიგმებად მიღებული მოსაზრებებიდან გამომდინარე გადახრა.

საყოველთაო ცოდნასა და მტკიცებულებებში ყო-ველთვის არის შავი ხვრელები, რომლებიც არ ვიცით, სად მიგვიყვანენ...

◆ ◆

ადამიანი მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ – ეს უდავოა, მაგრამ მან არ იცის როგორ უნდა, რის ხარჯზე, რა საშუალებით და მოქმედებით. თუ ეს თავისუფლება თავისი მსგავსის შეზღუდვის და შევიწროების ხარჯზეა, ამას, ბიოლოგიური ნიშნით, ბრძოლა არსებობისათვის ჰქვია. თუ იგი თავისი მსგავსის პატივისცემის, არსებობის

გათვალისწინებითაა, მას შეიძლება ვუწოდოთ ჰუმანური და ამაღლებული.

◆ ◆

სიცოცხლის გაგრძელება ანუ გამრავლება მშვენიერების კანონებით არის განსაზღვრული. ამას ადასტურებს სიყვარულის ულამაზესი ფორმა ადამიანებში შეწყვილებისას; დამატკბობელი, ჭიკჭიკა სიყვარულის ენა და ბუნებისგან მინიჭებული მორთულ-მოკაზმულობა ცხოველებში; ულამაზესი, უმშვენიერესი, დამათრობელი, სურნელოვანი ყვავილობა მცენარეებისა.

◆ ◆

როცა მეცნიერთა დიდი ნაწილი რაღაც „ვარაუდს“ ეთანხმება, ის უსათუოდ ელოდება გამომზეურებას.

◆ ◆

აზროვნება მხოლოდ ცნობიერებითი არაა. აზროვნება არის ორგანიზმის სასიცოცხლო ტენდენციის განხორციელებისათვის საჭირო „აზროვნება“, რომელიც ხშირად არაცნობიერია.

◆ ◆

ცნობადი ხის ნაყოფის სწრაფი გასინჯვა კრახით მთავრდება (ნოვალისის მაგალითი).

◆ ◆

არასოდეს არა ვარ სერიოზული, იმიტომ რომ კარგად არ ვიცი ვინა ვარ...

◆ ◆

ზედმეტი, გაუანალიზებელი ფანტაზია, ზოგჯერ, საკუთარი არსებობისადმი მიმართულ გამანადგურებელ საშუალებებს წარმოშობს...

◆ ◆

რაგინდ უბადრუკი იყოს აზრი, ან შეხედულება, თუნდაც, საწინააღმდეგო აზრის წარმოსაშობად მაინც გამოდგება...

◆ ◆

მწერლისათვის და პოეტისათვის კონკრეტული არ არსებობს, კონკრეტულს ხატავს ზოგადი ნიშნით.

ხელოვანს ეუფლება მშვენიერების განცდა. ამ დროს ხშირია ხატოვანი წამოცდენები, ხილვები და ორიგინალური ასოციაციური კავშირები. გამოვლენის ფორმა ინდივიდუალურია.

რა ზონაში და რა გემოვნებით მუშაობს შემოქმედი, როგორ აღიქვა და დაინახა ეს სამყარო?..

ჭეშმარიტ არსთა ძიების და შეგრძნების თავისებურების მიხედვით გადაამუშავა რა თავის ქურაში პრობლემური საკითხები, შექმნა მხატვრული ტილო და დაუბრუნა იგი საზოგადოებას. ამ მხატვრულ ტილოში იკითხება: ზეციურ და მიწიერ ძალთა ჭიდილში მიმართებითი დამოკიდებულება არსთა წვდომით, სიღრმის და მისი გადმოცემა-გადმოტანის, დაოსტატების ხერხების შეთვისება-შეთავსების ხელოვნება, სულიერი განცდა, სიღრმე, მრავალსახეობა, თუ შემეცნების რა გზა აირჩია და მისი შესაბამისობა რეალობასთან, რომელიც ხელოვანის ინდივიდუალიზმზე, გემოვნებასა და დახვეწილობაზე მეტყველებს.

◆ ◆

მიზეზი ფართო ცნებაა და წარმოშობის უამრავი პირობა შეიძლება გააჩნდეს, რომელიც ბევრჯერ გაუგებარია და აუხსნელი... იგი „არარას“ შემცველიცაა, რომელზედაც წარმოდგენა არა გვაქვს. უმჯობესია დამდგარი შედეგის – მიზეზად, პირობითად მიჩნევა. როდესაც ვამბობთ, მიზეზი შედეგს იწვევს, ეს აზრობრივად არასწორია. სწორია: ამ შედეგით – მეორე შედეგის დადგომა... ამ შედეგიდან იმ შედეგამდე, სწორედ რომ, განსაზ-

ღვრულ და განუსაზღვრელ მიზეზთა მთელი ჯაჭვია ჩართული...

ტერმინს – „მიზეზს“ როცა გამოვიყენებთ, მიგვაჩნია და ვგულისხმობთ „ამ შედეგის“ გამომწვევ სხვა „შედეგებს“.

◆ ◆

ადამიანის მიწიერი ფანტაზია ხელოვნება არ არის. მხატვრული აზროვნების ინსტიქტები მუდმივ კავშირში უნდა იყოს სოციალურ ყოფასთან და შექმნას ხელოვნება ჭეშმარიტებისა და სილამაზის მარადიული კანონებით.

◆ ◆

სანამ მუშა-ცხენის ტვირთს იტვირთავდეთ, კარგად დაფიქრდით...

◆ ◆

ბიოლოგიური მასა, თავისთავად, ადამიანის გარეშეც იარსებებდა. რადგანაც ადამიანს წარმმართველი როლი დაეკისრა, – იგი მესაჭეა, ხომალდი სადღაც უნდა მიიყვანოს (ზოგადი იდეის შესაბამისად). ბიოლოგიური ბირთვის არსებობა ადამიანისაგან დამოუკიდებელია, მისი გადაადგილება კი ნამდვილად ადამიანს აქვს დაკისრებული...

◆ ◆

ინტუიცია ზოგად განსაზღვრულობათა გამონაშუქია...

◆ ◆

ნუ ვამბობთ, რომ ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების უმრავლესობა არის უინტერესო და მით უმეტეს – ბრბო..

გენიოსი შენთვის არის გენიოსი, ბუნებისთვის ყველა ერთნაირად საინტერესოა.

◆ ◆

ლოგიკა ბევრჯერ ექცევა ჩიხში...

ჩვენი ლოგიკა ხშირად სწორი არ არის და სულაც არ მივყავართ იქ, სადაც უნდა მივიდეთ...

ლოგიკა ეს არის ტვინი - ცნობიერება, მაშინ, როცა ინტუიცია - გრძნობა, რასაც გულს ვეძახით, ეს არის ადგილი, სადაც ცნობიერების - ლოგიკის ადგილი არ არის. ის, რასაც ცოდნას ვეძახით, არ არის ნამდვილი ცოდნა... მასთან ბევრი რამ გვაშორებს.

◆ ◆

ყველაზე დიდი სურვილი რაც გამაჩნია, ეს არის, - ვთქვა სიმართლე. ყველაზე დიდი ბუნდოვანებაც ჩემთვის სწორედ სიმართლეა.

◆ ◆

მსოფლიოს კატასტროფა რომ ავაცილოთ, საჭიროა მეცნიერები მონობისგან ვიხსნათ!..

◆ ◆

ცხოვრება ისე უნდა აღწერო, რომ ნამდვილს მიამგვანო...

არც სინამდვილეა მთლად ნათელი და კაშკაშა...

◆ ◆

მე არ ვიცი ვისი აზრები ამოვკრიბე, არ ვიცი ვისი მემკვიდრე ვარ... შეიძლება, ვიმეორებ იმ პიროვნების აზრებს, რომელმაც იცხოვრა წინა საუკუნეებში და არც კი უცდია წარმოეთქვა, ან დაეწერა თავისი მოსაზრება... და საერთოდ, აზრების მისაკუთრება იდეაფიქსად მეჩვენება... ნააზრევი კაცობრიობის მემკვიდრეობაა და მისი მისაკუთრება აზროვნების უსუსური მცდელობაა...

◆ ◆

წერის დაწყება სულიერი და ხორციელი დაუკმაყოფილებლობის შევსებისაკენ სწრაფვაა.

◆ ◆

სხვადასხვა სტრუქტურის, მაგრამ ერთი და იგივე სეგმენტებისაგან შემდგარი სფერო არის საზოგადოების

მუდმივობის ფორმა, რომლის ფორმის და სეგმენტების შეცვლის მცდელობა უშედეგოდ მთავრდება.

სფეროს გააჩნია მცირედი პლასტიკურობა... შეიცვლის რა ფორმას, უბრუნდება საწყის მდგომარეობას...

◆ ◆

„ეს“ სილამაზე, რომელსაც ვხედავ ჰგავს „იმ“ სილამაზეს, ამიტომაც ვარ აღფრთოვანებული... თუმცა მგვანება იდენტობა არ არის...

◆ ◆

მთელი არსი ადამიანურობისა – მისი „ბუნებრივი ფენომენი“ იყო...

შიშველი სხეული დაიფარა, ცხოველური განდევნა... იმიტომ, რომ მას „ასეთად“ ქცევის მისწრაფება ბუნებრივად გააჩნდა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამას, თავის თავში ცხოველურის წინაშე წინააღმდეგობით და ბრძოლით აღწევდა. ბუნებას ვერაფერს ვასწავლით და თუ შევეცდებით მის წინააღმდეგ ქმედებას, მისი კანონები დაგვაბრუნებს „საწყის მდგომარეობაში“. ცხოველისაგან ადამიანმა გადმოდგა ნაბიჯი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი არ მოქმედებს ჩვენში, არ არის და არ გვიპყრობს ბევრ მომენტებში.

ადამიანი, დღეს, ბუნებრივი და ხელოვნური კატაკლიზმების, უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში დგას და ფიქრობს, საით აიღოს გეზი. უკან ვერ დაბრუნდება. „ბუნებრივი ფენომენი“ ამას ასე არ განსაზღვრავს; მან უნდა გააგრძელოს ეს წინააღმდეგობა და თავის უნივერსალურ წიაღში იპოვოს სწორი გადაწყვეტილება.

◆ ◆

აზრს მაგიპნოზირებელი ზემოქმედების დიდი ძალა აქვს. მჯერა, მსოფლიო გაერთიანდება და დაიძვრება დამონების ტექნოლოგიური საშუალებების წინააღმდეგ.

საჭიროა თავისუფლების და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება მასებში.

◆ ◆

ავტორიტეტული მოაზროვნეები და აზროვნების მოძალადეები არ გვჭირდება. საზოგადოებას სჭირდება კომპეტენტური აზროვნება.

„გენიოსი“, რომელიც შენიშნულია ადამიანების მოდგმის სიძულვილში და პათოლოგიური აზრის მატარებელია, საჭიროა, რომ მოვაქციოთ ფსიქოლოგიურ იზოლაციაში. სავალდებულო არ არის პათოლოგიური მუხტის და აზროვნების ადამიანები მართავდნენ მსოფლიოს.

ახლა საჭიროა, ამოვალაგოთ მთელი ჩვენი „მინაღწევარი“, რაც კი კაცობრიობას ადამიანისმცოდნეობის დარგში შეუქმნია და დავიწყოთ ინტენსიური აზროვნება სიცოცხლის გადასარჩენად!..

◆ ◆

როდესაც ის წერს, კარგია, როდესაც მე ვწერ, არ ვარგა...

◆ ◆

ყველაზე დიდი სერიოზულობა და პასუხისმგებლობა სახუმარო ნაწარმოების შექმნას სჭირდება.

◆ ◆

ლექსის წერაში ყველაზე მეტად მედიცინა მეხმარება...

◆ ◆

მეამბოხეები სიკვდილის შემდეგ უფრო მეტს საუბრობენ...

◆ ◆

მსოფლიოს ყველა კულტურა მისაღებია ჩემთვის. უკულტურობა, - არც ჩემი და არც სხვისი.

◆ ◆

აზროვნება ადამიანში, ეს არის გონებრივი სამუშაო, თანმიმდევრული ფსიქიკური პროცესი (ქარხანა), სადაც ხდება ადამიანური პროფილის შესაფერისი პროცესის აწყობა და დაშლა (კონსტრუქცია-დეკონსტრუქცია).

◆ ◆

ჩაურევლობა უფრო მეტი დანაშაულია ზოგჯერ..

◆ ◆

„ქვე“ და „ზე“ ცნობიერება გამუდმებულად თვით და ურთიერთასახვაშია და ისეთივე რეალობაა, როგორც თავად ცნობიერება.

◆ ◆

როდესაც მეცნიერულ კანონზომიერებას ვადგენთ, მის ბუნებრივ შინაარსსაც უნდა ჩავწვდეთ. ჩვენი ცნობიერება ბუნების ცნობიერებას უნდა მივუახლოვოთ. მხოლოდ მისი ქცევებით მას ვერ შევიცნობთ... ჩვენი ინტერესის წყალობით ბუნებამ ღრმა ტყეში შეგვიტყუა და ახლა იქედან გამოსვლის გზებს ვეძებთ.

მეცნიერული მიღწევებისაგან განსხვავებით, ბუნება ჩვენს პირობებს თავზე რომ არ მოიხვევს, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს.

...კატასტროფის წინაშე მდგარ ადამიანს სხვა გზა არ დარჩება... ბუნების „უნივერსუმს“ ჩაეკვრება გულში, აღიარებს და გაითვალისწინებს მის მკაცრ პირობებს!..

◆ ◆

ყველა წიგნი დახურულია და მე ვწერ... მაპატიეთ, თუ „რაიმე“ უნებლიედ გადმოვიწერე ამ წიგნებიდან ან თქვენი აზრებიდან... თუმცა მათ ჩემი ქურაც გამოიარეს...

◆ ◆

ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების გაზრდამ, „წარმატებების“ მიღწევის მცდელობებმა შეიძლება კაცობრიობა დაღუპოს. დროა, გონების განვითარების პარარელურად, ვიმსჯელოთ გონების „გონივრულობაზე“.

◆ ◆

ცნობიერება განსაზღვრულია სუბიექტური და ობიექტური რეალობით; თვითასახვის და ურთიერთასახვის დადასტურებული პროდუქტია და გულისსხმობს ორიენტაციას თავის თავში და გარემოში. მასში ხდება წარმატებულად განხორციელებული რეაქციების (პროცესების) შერჩევა და ფიქსირება (ინსტინქტების ჩამოყალიბება).

◆ ◆

ადამიანები რომ შედგეს, ცხოვრება უნდა შედგეს, ცხოვრება რომ შედგეს ადამიანები უნდა შედგეს.

◆ ◆

როგორც პატარა ბავშვი არ გაიშვება გარეთ სათამაშოდ მარტო, ასევე ფსიქიკა ვერ მოქმედებს ცნობიერების თანდართვის გარეშე (მოქმედებს თავისი ვიწრო კომპეტენციის ფარგლებში). ცნობიერება რაც უფრო განვითარებულია, მით უფრო ემორჩილება ფსიქიკა.

◆ ◆

ერთიანი რელიგია კაცობრიობის დაღუპვის წინაპირობა შეიძლება გახდეს... (ერთიანად მორჩილი ცხვრებივით გადავიჩეხებით...)

ტოტალური კონტროლი საერთო მსოფლიო წესრიგისათვის და ბოლოს მონობისათვის. კონტროლი „სხვებისთვის“ და არა „ერთეულებისთვის“, მეტი მონობა არც ერთ ისტორიულ საზოგადოებას არ ახსოვს. ვინ იცის, სხვადასხვა რელიგიების თავის დროზე წარმოშობა ხსნის გზაც იყოს მომავალში...

◆ ◆

არშემდგარი ადამიანები არასრულფასოვნების კომპლექსებით, მხეცებთან შეჯვარებული მანიაკების ხროვაა.

◆ ◆

ყოველი აღმოჩენა ფსიქიკის შესწავლის გზაზე, ანტიკურ ხანაში ახსნილი ფსიქიკის რთული ბუნების დადასტურებას წარმოადგენს.

◆ ◆

ყველაზე საშიში ადამიანები ნიჭიერთა შორის უნდა ვეძებოთ...

◆ ◆

განსაზღვრულ პირობებში განსაზღვრული არსებობა გარდაუვალი პრინციპია ცოცხალი ორგანიზმებისთვის (სისტემებისთვის). სინათლემ განავითარა მხედველობის ორგანოები მთელი მისი ურთულესი წარმონაქმნებით. ბგერამ განავითარა სმენის ორგანოები ასევე ურთულესი აგებულებით (ბგერამ ასახვა ჰპოვა ცოცხალ ორგანიზმში. ევოლუციის პროცესში ურთიერთასახვის მექანიზმით, გამოიწვია ამ ორგანოს ფორმირება). ასევე გარემოს სხვა პირობებმა გამოიწვია სხვა წარმონაქმნების წარმოშობა. განხორციელდა სიცოცხლე – როგორც ასახვა. საკმარისია, მცირედი ბიძგი (ტემპერატურის ან სხვა სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობების შეცვლა), ცოცხალი სისტემები შეწყვეტს არსებობას. მაშასადამე, მათი არსებობა მათ განსაზღვრულობაშია გარემო პირობებისგან.

◆ ◆

ოჯახური ტრაგედიების და სცენების დეტალური ჩვენება ტელევიზიით, აგრეთვე, ჯგუფური სექსის ამაზრზენი კადრები, არის აგრესია არა ნაკლები, ვიდრე სხვა საშუალებებით აგრესია. მოურიდებელი განსჯა და ინტერესი სხვისი უბედურებისა და დემონსტრირება, სულში ჩაძვრომა სენსაციის თუ სხვა მიზნის დასაკმაყოფილებლად, არაადამიანური, ამორალური მეთოდების გამოყენება, სულში ჩაძვრომა და ჩაფურთხებაა. საინტერესოა, როცა მათი ოჯახის წევრები ერთად შეიკრიბებიან (დედა,

მამა, შვილები, ოჯახის სხვა ახლობლები) ექნებათ თუ არა სურვილი, ნახონ ეს კადრები.

„გენიალური“ არსების ფანტაზიით შექმნილი „შედევრების“ მსგავსი მოვლენები, თქვენ წარმოიდგინეთ, ცხოველებში არ ფიქსირდება, უფრო მეტიც, მათი ოჯახური წყვილების არსებობა, ბუნების საოცარი სილამაზის და ჰარმონიულობის დამადასტურებელია.

◆ ◆

ფსიქომატრამვირებელ ზემოქმედებათა გავლენით, რატომღაც, ადამიანი ზეშთაგონებულ მდგომარეობაში გადადის (გადაისროლება) და ინტუიციური არხები ეხსნება. ეს ადამიანის ნების გარეშე ხდება.

◆ ◆

სანამ რაიმე „ახალის“ უკრიტიკო მონა გახდებოდეს, ყველა ადამიანმა უნდა მონახოს დროის საჭვრეტი, რომლითაც წარსულს გადააფასებს და მომავალს სწორად განსაზღვრავს.

◆ ◆

ქვეცნობიერებამ ბევრი უბედურება მოუტანა კაცობრიობას. მომავალშიც არავინ იცის, რას უქადის მას... არადა, ნეიროქირურგები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ იგი არ არსებობს...

◆ ◆

თანდათან ვრწმუნდები, რომ პროზაც პოეზიაა...

◆ ◆

ძალიან იოლია ცხოვრება, როცა გონებას არ აწვალებ.

◆ ◆

თავდაჯერებულობა და გამბედაობა მხოლოდ გარეგნული ფორმებია. სულში კი ეჭვებია – გამუდმებული ეჭვები...

სარჩევი

ავტორისაგან 5

გულის გულში 17
მედეას დაბრუნება 19
კოლხეთი 21
საფეხურები 23
რა უნდა გქონდეს, რომ დააფასო... 25
ნიღბები 27
„გულის გულში“ 29
გზა ნათელისა 31
ხეჭეჭური 32
გორდის მთებს 34
ვუძღვნი პატრიარქს 36
ეს ყველაფერი მაკვირვებს!.. 37
დედულეთი 38
ჩემს ანგელოზს 40
საზოგადოების კალაპოტში 41
არ მავიწყდება!.. 42
ნუ მითვალთვალებ!.. 44
ქარს 45
დაჟანგდა პაპის დუქანი 46
ბედის მხედარი 47
პოეტები ჯოჯოხეთის კართან 48
ოცნების ზღვას ავავსებ 49

ბებერ მუხას 50
საუბრობ მასთან... 51
საკუთარ სულის გასაღებს ვეძებ... 52
ბედისწერა 53
ცხოვრების საზრისი 55
რით მოიხიბლე? 56
ხანდახან ლექსი დაწერილიც მოფრინავს ციდან..... 57
ბრძენი - პოეტი 58
სასახლის ნაშთები 59
შემოდგომის ეტიუდები 60
არ გაქვს უფლება გასცდე ამ საზღვრებს 61
პოეტს... 62
...რომ დავიბადე აპრილის თვეში 63
შეხვედრა 64
ჩემს წინაპრებს 65
თეთრი ხიდიდან 66
ქართველ ხალხს! 66
რას ელოდები?.. 67
მეგობარს 68
გაჰყევი გუმანით გზას... 69
გთხოვთ, ჩემს მიმართ მოწყალება გაიღოთ... 70
მეგობარს... 71
მასზე და მანვე (ადამიანზე) 73
მამა არჩილს 74
ახალგაზრდობა 75
დედამიწაზე რატომ ჩამოდი? (ბიძინა ივანიშვილს) 76
თურჩუს მთის მელანქოლია 77
მინდოდა მეთქვა... 78

ფოთოლცვენა 79
განმეორება 80
დედიკო გიხმობს!.. 81
კმარა დუმილი!.. 82
რომ მისი სული ზეცად ამაღლდა... 83
ეშმაკის გეზი არ მქონდა... 84
დედას 85
სულაც არ მყოფნის ვიწრო ბილიკი 86
შემოღამების სევდა 87
ნინიკოს 88
მინდა გაჩუქო სიცოცხლის რწმენა 89
რად იღვიძებთ ადრე... 90
ვგრძნობ, მის საცეცებს ამებას მსგავსად... 91
იმედის დარად! 92
სიჩუმე დადიანების სასახლეში... 93
იბოძეთ ნება... 95
ცხენისწყალს სული ჩაუდგამს... 96
არ დამინახავს გავლილი სხვებთან... 97
სოსო შალამბერიძეს 98
გადაიბირეს ოცნებებმა ჩემი ფიქრები... 99
მე განთიადს გამოვყევი... 100
ნეტავ რას ზომავ? 101
რა აფერადებს კაცის გვირგვინს?... 102
ვკრიბავ, ვაგროვებ... 103
კვაკუტის წყალთან 104
ეს უკვე მოხდა... 105
დედამიწა 106
არასდროს არ ჩქარობ... 107

ქალი და სარკე 108
მასთან ჭიდილში... 110
განთიადისას... 111
შორენა 112
თვითმკვლელობა 113
ბაბუ და ბებო 115
მე ისევ ვცდილობ... 116
ო, ეს სხივი... 117
არ მიყვარს ქება!.. 117
ვდგავარ მზის ჩრდილში... 117
სკვინჩავ, რას ამბობ?.. 118
ძველი ურმის მგზავრი ვარ... 119
ეს მერამდენედ?.. 120
გამოედევნენ ღრუბლები მთვარეს... 121
წუხელი მესიზმრა უცნობი პოეტი... 122
მარიამობას 123
რად ხარ მთვარევ უტყვი... 124
...რომ კაცი მოკვდა 124
დგება დრო... 125
დაბადებიდან მე მქონდა შიში 125
უფერო ფერი... 126
ხელგაწვდილსა და მშიერს 128
როცა ვნახავ განთიადის ვარსკვლავს 128
თაკოს! 129
მეგობარს 130
ბედის ხათაბალა... 131
უგულესი!.. 132
მადლო, უფლისავ! 133

ეხება ზოგს!.. 134
ღმერთო, მომეც მიზანი... 135
ბუხარი გიზგიზებს 136
ზოგჯერ... 136
ბედისწერასთან ვინ გვათამაშებს? 137
ყველაზე ლამაზს ვთელავდით ფეხქვეშ... 138
ცაცხვის ხეივნები 139
მამას 140
თენგო ბაბუს ზღაპარი... 141
თაგუნას 143
ორ არსენას - ბაბუას და შვილიშვილს 145
მთელი ცხოვრება რაღაცას ვკრიბავთ 146
მაწამეთ სხვის გამოც... 147
განაჩენი 148
ლადო ასათიანს 150
მათ სინამდვილე გამოაწრთობთ!.. 151
მაშინ იშვება ადამიანი 152
თუკი სათქმელი... 153
„ის“ პირველობას ჩემობს... 154
*** (შენ უნდა იყო სულელი) 154
სიცოცხლის ბოლოს... 155
ვჩქარობ, არ ვჩქარობ, ერთი ფასი აქვს... 156
ცეკვავენ, ცეკვავენ ბავშვები!.. 157
მეგობარს 158
„იორეთ“ 159
მეგობარს! 162

ადრეული გაზაფხული 163
მოგონება 165
ავი ღრუბლები 166
როცა შენს სახეს... 167
იქნება, ინანოთ თქვენ!.. 168
სიცარიელეს ეძებდა ალბათ... 169
მაშინაც წვიმდა... 170
ნუ მეღობებით... 171
დაღამებისას 172
ნუ დარდობ!.. 172
ხანდახან მოვა აჩრდილი ჩემთან 173
ორი სიტყვა 174
შეიძლება... 175
...რომ სიყვარული გადამირჩინა 176
მე მოვალ შენთან... 177
ახდენილი სიზმარი 178
რატომ მიყვარდი? 179

პოლიტიკას და პოლიტიკოსებს 181
2011 წლის 26 მაისის ღამის ქრონიკა
„ემერჯენსის“ საავადმყოფოში 191
გამოიღვიძე საქართველოვ!.. 193
დღეს შენი დროა! 194
კაცის ღირსებები რადგან გაიწირა!.. 195
თქვენ ხართ გმირები! 196
ვერ გაპატიებ! 197
ქაღალდის ტყვია 198

„მ“-ას 199
რა ჰქვია ამას?.. 199
გაუცნობიერებელი ინტიმი მტერთან 200
გიგა ბოკერიას 202
*** (განგებამ მოგცა) 203
ზურა ადეიშვილს 204
...მე რომ მყავს მტერი... 205
ფრთხილად, მარიონეტებო!.. 206
უცნაური ტანდემი 207
დავით ბაქრაძეს 208
ზურაბ ჯაფარიძეს 209
კაცი ყიჟინა! 210
„პოლიტიკოს“-ტაკიმასხარებს! 211
*** (შესდექი, ბრბოვ!..) 211
*** (ჩემს ლექსებს...) 212
„ცნობადი“ - „არაცნობიერებადები“ 212
ტელევიზიის ზოგიერთ თანამშრომელს!.. 212
ვერ გამაკვირვებს... 213
სააკაშვილის რეჟიმს 213
აზრის უფლება 214
„საახალწლო სალაღობო“ 215
„ჰუმანიტარული“ დახმარება ქართველებს 216
„გონივრულ ზღვარს“ მიღმა 217
დაუცველი ფიგურები... 218
*** (ახლა ვატყობ!..) 219
„ბოროტსა სძლია კეთილმან“... 220

აზრები 221